

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი  
ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა

*ნინო რუხაია-მოსემღვდლიშვილი*

ექსპორტის მასტიმულირებელი აგრარული პოლიტიკა  
საქართველოში

## დისერტაცია

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:  
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
რევაზ გველესიანი



უნივერსიტეტის  
გამომცემლობა

თბილისი

2015

# შინაარსი

შესავალი .....	4
<b>თავი 1. რაციონალური აგრარული პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების პრობლემები საქართველოში</b>	
1.1. აგრარული პოლიტიკის როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში .....	10
1.2. დამოუკიდებელი საქართველოს აგრარული პოლიტიკის წინამძღვრები და სპეციფიკა .....	21
1.3. ექსპორტზე ორიენტირებული ევექტიანი აგრარული პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობები და პრობლემები .....	40
<b>თავი 2. ევროკავშირის აგრარული პოლიტიკა, შედეგები და წინააღმდეგობები</b>	
2.1 აგრარული სექტორის განვითარების თანამედროვე კონცეფციები .....	77
2.2 ევროპის ერთიანი აგრარული პოლიტიკა და მისი განვითარების პერსპექტივები .....	81
2.3 საქართველო და ევროპის სამეზობლო პოლიტიკა .....	103
<b>თავი 3. ექსპორტზე ორიენტირებული აგრარული პოლიტიკა საქართველოში</b>	
3.1 აგრარული პოლიტიკის მიზნები დღევანდელ ქართულ რეალობაში .....	124
3.2 აგრარული სექტორის რეგულირების თანამედროვე მექანიზმები და პოლიტიკის გამტარებლები .....	147
3.3 ექსპორტის მასტიმულირებელი აგრარული პოლიტიკის სტრატეგია და ინსტრუმენტები .....	161
<b>დასკვნები და რეკომენდაციები .....</b>	<b>180</b>
<b>გამოყენებული ლიტერატურა .....</b>	<b>194</b>

## გამოყენებული შემოკლებები

დსთ	დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა
ეეაპ	ევროპის ერთიანი აგრარული პოლიტიკა
პუი	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
ტნკ	ტრანსნაციონალური ორგანიზაციები
ფაო(FAO)	- გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ორგანიზაცია
COPA	ევროპის ფერმერთა გაერთიანება
DCFTA	ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება
ENP	ევროპის სამეზობლო პოლიტიკა
ENP AP	ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა
ENPARD	ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის
ENPI	ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტი
GATT	ვაჭრობის ტარიფების შესახებ, გენერალური შეთანხმება
GSP +	პრეფერენციათა სისტემას
IDA	მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაცია
ISPA	გაწვევრიანების წინა სტრუქტურული ინსტრუმენტის
IPR	ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დაცვა
MFN	უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი
RMP	იმპორტის შემოღწევადობის ინდექსი
RTA	ვაჭრობის შედარებითი უპირატესობის ინდექსი
RXA	ექსპორტის შედარებითი უპირატესობის ინდექსის
SAPARD	გაწვევრიანების წინა აგრარული ინსტრუმენტი
SPS	სანიტარული და ფიტოსანიტარული ღონისძიებები
SIGMA	მმართველობისა და მართვის გაუმჯობესების მხარდაჭერა
TAIEX	ტექნიკური დახმარების და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტი
TBT	ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერები
UNDAF	გაეროს განვითარების დახმარების სქემა

## შესავალი

*წარმოების გაჩაღება არის ერთადერთი ჩვენი ხსნა. უნდა მოვახერხოთ გარეთ მეტი გავიტანოთ გასაყიდი, ვიდრე უცხოელს ვთხოვთ საყიდ საქონელს. სანამ მოსაზიდი მეტი გვექნება, ვინემ გასაზიდი, მონობას ვერ ავცილდებით.*

*ნიკო ნიკოლაძე*

**თემის აქტუალურობა:** საქართველოს ოდითგანვე იცნობდნენ როგორც აგრარულ ქვეყანას. თვით ჩვენი ლათინური სახელწოდება "გეორგია"-ც ხომ მიწასთანაა დაკავშირებული. დღესაც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის 46% ცხოვრობს სოფლად (იხ. დანართი 1). თუმცა არაოფიციალურ რეალობას თუ გადავხედავთ, ცხადი გახდება რომ რეგიონული ქალაქების მცხოვრებთა დიდი ნაწილიც იმდენადვე დამოკიდებული სასოფლო-სამეურნეო აქტივობებზე, რამდენადაც სოფლად მცხოვრები და შესაბამისად ეს მაჩვენებელი ბევრად გასცდება 50%-ს.

შედარებითი უპირატესობის მიხედვით საქართველოს შეუძლია კონკურენტუნარიანი გახდეს აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების მიხედვით. კონკურენტუნარიანი პროდუქტების წარმოება გამოიწვევს ეროვნული რესურსების ეფექტიან გამოყენებას, შიგა და საერთაშორისო ბაზარზე წილების მოპოვებას, მოსახლეობის კეთილდღეობის ეფექტების გაზრდას.

დღეისათვის აგროსასურსათო სექტორის განვითარებას ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ევროპულ ქვეყნებში, მიუხედავად იმისა, რომ აგრარული სექტორის წილი მთლიანი შიგა პროდუქტის სტრუქტურაში დროში შემცირების ტენდენციით ხასიათდება, ზოგადად ეფექტიანობის მაჩვენებლები დარგში ზრდადია.

აგროსასურსათო სექტორში ყველაზე რთულია კონკურენციის გაწევა – ფერმერთა 66.7%-ს უჭირს კონკურენტებთან ბრძოლა, რამდენადაც იმპორტირებული პროდუქტები გამოირჩევიან დაბალი ფასით. აღნიშნულის ძირითადი მიზეზია აგრო-

სასურსათო პროდუქტებისა და აგრარული სექტორის კონკურენტუნარიანობის დაბალი დონე. [68]

მიუხედავად იმისა, რომ სექტორში ძირითადი კონკურენტები იმპორტიორები არიან, ქართული აგრო პროდუქტების კონკურენტუნარიანობის გაზრდა უნდა მოხდეს არა იმპორტზე ბარიერების დაწესებით, არამედ ადგილობრივი წარმოების პროდუქტების კონკურენტუნარიანობის და საექსპორტო პოტენციალის ამაღლებით.

ექსპორტის როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში არავისთვის სადაო არ არის, ვფიქრობთ ნებისმიერი ქართველი ეკონომისტისათვის შემაშფოთებელია საერთაშორისო ვაჭრობაში საქართველოს მზარდი უარყოფითი სალდო.

საქართველო აგრარული ქვეყანაა, თუმცა დღევანდელი მდგომარეობით საქართველოს სოფლის მეურნეობას საამაყო პერიოდი ნამდვილად არ უდგას. დაუმუშავებელი სახნავ-სათესი მიწები საკმაოდ დიდ ფართობს იკავებს. ისეთი გეოგრაფიული მდებარეობა, როგორც საქართველოს აქვს, მემცენარეობა-მეცხოველეობის განვითარების კარგ საშუალებას იძლევა, თუმცა ამ შესაძლებლობას ქვეყანა მხოლოდ სწორი მიდგომით თუ გამოიყენებს.

გასული საუკუნეებისგან განსხვავებით, თანამედროვე ქვეყნების ხელისუფლება სოფლის მეურნეობას დიდ ყურადღებას აქცევს და მთელ რიგ შემთხვევებში სახელმწიფოს უშუალო ჩარევით აგრარული სფერო მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს. ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან სოფლის მეურნეობის დაფინანსებას დიდი ყურადღება აქვს დათმობილი. იგივე სიტუაციაა ევროკავშირის ქვეყნებში, სადაც სახელმწიფო პოლიტიკის დონეზეა აყვანილი როგორც სურსათის ხარისხის კონტროლი, ასევე ამ სფეროს მიზანმიმართული დახმარება.

ვფიქრობთ ქართული აგრარული სექტორის ისეთ პროდუქტებს, როგორცაა: ღვინო, თხილი, ჩაი, ციტრუსები და ზოგიერთი სხვა ხილი, აგრეთვე მეფუტკრეობის პროდუქტები და ცხვარი, აქვთ შესაძლებლობა მოიპოვონ საკუთარი ნიშა მსოფლიო ბაზარზე. მაგრამ ამისათვის საჭიროა სწორი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება აგრარული სექტორის განვითარებისა და მსოფლიო ბაზარზე ქართული პროდუქტის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობისათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უკანასკნელ პერიოდში სოფლის მეურნეობის სექტორში საგრძნობლად გააქტიურდა სახელმწიფო, რაც თავისთავად მისასაღებელი ფაქტია, და კიდევ უფრო ზრდის ამ თემის აქტუალურობას. ქართული აგრარული სექტორი დღეს ისეთ მდგომარეობაშია, რომ მისი განვითარების სტიმულირება მხოლოდ სწორად შერჩეული და გააზრებული, კომპლექსური აგრარული პოლიტიკის გატარებითაა შესაძლებელი. მით უფრო, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებამ და ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებამ წარმოშვა თეორიული შესაძლებლობა ეკონომიკის გაზრდისა და ევროპულ ბაზრებზე გასვლისათვის.

**საკითხის შესწავლის მდგომარეობა:** აგრარული სექტორის განვითარების პრობლემებზე მრავალი შრომა არსებობს, რომლებშიც გამოვლენილია აგრარული სექტორის პრობლემები და მათი დაძლევისათვის საჭირო მეთოდები და ინსტრუმენტები. ამ თემაზე განსაკუთრებით საინტერესოა აკადემიკოსების: პ. კოლუაშვილის, თ. კუნჭულიას, პროფესორების- ე.ხარაიშვილისა და ნ.ჭითანავას ნაშრომები დარგის კონკურენტუნარიანობისა და მისი როლის შესახებ. აგრარულ პრობლემებზე მიძღვნილი საინტერესო სტატიების ავტორები არიან: რ. ასათიანი, რ. გველესიანი, კ. ერაძე, გ. ერქომაიშვილი, გ. თოდუა, რ. კაკულია, მ. კვარაცხელია, ზ. ლიპარტია, ი. მესხია, მ. ნაცვალაძე, ვ. პაპავა, ნ. ტერაშვილი, გ. ურიდია, ო. ქეშელაშვილი, ნ. ხადური, რ. ხარებავა და სხვები.

თუმცა ამ მეცნიერთა ნაშრომებში შედარებით ნაკლებადაა განხილული ევროპულ ბაზარზე ქართული აგრარული პროდუქციის ექსპორტის სტიმულირების მეთოდები; რა თქმა უნდა, არც ეს ნაშრომი ასახავს სრულყოფილად ქართული აგრარული სექტორის საექსპორტო პოტენციალის კვლევას და მისი განხორციელების ყველა შესაძლებლობას, თუმცა ვფიქრობთ, საკმაოდ საინტერესო და მნიშვნელოვანი ასპექტებია წინა პლანზე წამოწეული საექსპორტო პროდუქციის გამოვლენისა და მათი წარმოების სტიმულირებისათვის.

**კვლევის მიზანი და ამოცანები:** კვლევის მიზანს წარმოადგენს ქართული აგრარული პროდუქციის ექსპორტთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზი, კერძოდ, იმ დარგების(პროდუქტების) გამოვლენა, რომელთაც ყველაზე მეტი საექსპორტო პოტენციალი გააჩნიათ. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია აგრეთვე

საგარეო საექსპორტო ქვეყნების(ბაზრების) შერჩევა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პოლიტიკის განსაზღვრა. ევროპული ქვეყნების მაგალითის შესწავლა და ქართულ რეალობაში მათი გამოცდილების გამოყენების შესაძლებლობის ანალიზი.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, კვლევის განხორციელებისათვის დავისახეთ შემდეგი ამოცანები:

- დამოუკიდებელი საქართველოს აგრარული პოლიტიკის ფორმირების თავისებურებების შესწავლა;
- ქართულ აგრარულ სექტორში მიმდინარე მდგომარეობის ანალიზი და პრობლემების გამოვლენა;
- აგრარული სექტორის რესურსული პოტენციალის შესწავლა;
- აგრარული სექტორის განვითარების თანამედროვე თეორიების ანალიზის საფუძველზე, ევროპის ერთიანი აგრარული პოლიტიკის განვითარების პერსპექტივების პროგნოზირება(განსაზღვრა);
- საქართველოსა და ევროპის თანამშრომლობის, კერძოდ, განხორციელებული პროექტების, ახალი ვალდებულებებისა და შესაძლებლობების ანალიზი;
- საქართველოში ექსპორტის მასტიმულირებელი აგრარული პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტების და მისი განხორციელების ძირითადი ინსტრუმენტების განსაზღვრა.

**კვლევის ობიექტი და საგანი:** კვლევის ობიექტებია საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნების აგრარული სექტორი, აგროსასურსათო ბაზრები, აგრარული პროდუქტები, ბუნებრივი რესურსები და მათი რაციონალურად გამოყენებელი საზოგადოება. საგანი კი სექტორში არსებული პრობლემების ანალიზი, კერძოდ, საექსპორტო პოტენციალის მქონე დარგების გამოვლენა და მათი განვითარებისათვის რაციონალური და ეფექტიანი აგრარული პოლიტიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პროცესი.

**კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები:** ნაშრომში კვლევის მეთოდად გამოყენებულია ანალიზის, სინთეზისა და შედარების, ასევე ემპირიული სოციალური კვლევის მეთოდები; ჩატარდა აგრარული სექტორის სხვადასხვა წარმომადგენლების გამოკითხვა ინტერვიუების მეთოდით;

შესწავლილია საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის დადგენილებები და სხვა ეკონომიურ-სამართლებრივი ხასიათის ნორმატიული აქტები, ქართველი მეცნიერ-ეკონომისტების სამეცნიერო ნაშრომები; სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მასალები ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის შესახებ, აგრეთვე ქვეყანაში განხორციელებული აგრარული პოლიტიკის შესახებ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული დასკვნები. პირდაპირი ინტერვიუს გზით გამოკითხულია მცირე მეწარმეები, ახლადშექმნილი კოოპერატივების წარმომადგენლები და ფიზიკური პირები, რომელთა ძირითად შემოსავლის წყაროს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო აქტივობა;

#### **ნაშრომის მეცნიერული სიახლე:**

- ნაშრომში განხილულია ქართული აგრარული სექტორის სტრუქტურის ეფექტიანობის საკითხი;
- დასაბუთებულია ექსპორტზე ორიენტირებული აგრარული პოლიტიკის მნიშვნელობა;
- გამოკვლეულია ქართული აგრარული პროდუქტების ევროპულ ბაზრებზე შესვლის შესაძლებლობები;
- გამოკვლეულია აგრარულ სექტორში ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების დანერგვის მეთოდები;
- შექმნილია "რეგიონული კლასტერების" მოდელი, რომელთა განვითარებაც შეამცირებს სახელმწიფო ხარჯების მოცულობას აგრარულ სექტორში ისეთი დონისძიებებისათვის, როგორცაა: ახალი საექსპორტო ბაზრების მოძიება; ევროპულ და მსოფლიო ბაზრის მოთხოვნილებების მიხედვით წარმოების დაგეგმვა; ფერმერთა ცოდნის დონის ამაღლება; დარგში ფინანსების მოძიება; წარმოების ინოვაციური ტექნოლოგიების შემოტანა და სხვა.
- ჩამოყალიბებულია რეგიონული პოლიტიკის მართვის სქემატური მოდელი. სადაც გათვალისწინებულია ცენტრალური მთავრობის, რეგიონული მმართველობებისა და ბიზნესის კოორდინირებული თანამშრომლობის პლათფორმა.



- მოცემულია ძირითადი საექსპორტო პოტენციალის მქონე პროდუქტების SWOT ანალიზი;
- ჩამოყალიბებულია საქართველოს აგრარული პოლიტიკის განხორციელების სტრატეგიისა და ინსტრუმენტების ჩარჩო კონცეფცია;

**ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა:** სადისერტაციო ნაშრომის თეორიული დასკვნები და პრაქტიკული რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებულ იქნეს სახელმწიფო ორგანიზების მიერ, აგრარული პოლიტიკის შემუშავებისა და გატარების პროცესში. ამასთან, დისერტაციაში მოცემული თეორიული კვლევის შედეგები და პრაქტიკული მონაცემები შეიძლება გამოვიყენოთ სექტორისა და მისი განვითარების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკისადმი მიძღვნილ ლექცია-სემინარებზე.

**კვლევის შედეგების აპრობაცია:** კვლევის შედეგები პერიოდულად გამოქვეყნდა სტატიების სახით, ასევე, გაკეთდა მოხსენებები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

**ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა:** სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს 192 კომპიუტერზე ნაბეჭდ გვერდს. იგი შედგება შესავლის, სამი თავის, ცხრა ქვეთავის, დასკვნებისა და წინადადებებისაგან. ნაშრომს თან ახლავს გამოყენებული ლიტერატურის სია და დანართები.

# თავი 1. რაციონალური აგრარული პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების პრობლემები საქართველოში

## 1.1. აგრარული პოლიტიკის როლი და მნიშვნელობა, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში

ეკონომისტები სოფლის მეურნეობას განიხილავენ, როგორც ინდუსტრიული სექტორის განვითარების წინაპირობას, რამდენადაც იგი აქტიურად იყენებს სხვა დარგებში წარმოებულ პროდუქციას: მსხვილ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, შხამქიმიკატებს და სხვა საჭირო დანადგარებს, წარმოებული აგრარული პროდუქციის მოცულობა კი ასტიმულირებს გადამამუშავებელი მრეწველობის და სამაცივრე მეურნეობების განვითარებას. გარდა ამისა, ეს დარგი არის დასაქმების ერთ-ერთი უდიდესი სფერო. სოფლის მეურნეობის განვითარება ასტიმულირებს, როგორც მსხვილი ფერმერული მეურნეობებისა და კარტელების, ისე მცირე მეწარმეების ეფექტიანობის ზრდას.

სწორი აგრარული პოლიტიკის ჩამოყალიბება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნებისათვის, რომელთა ეკონომიკის სტრუქტურულ ტრანსფორმაციაშიც, სოფლის მეურნეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. სოფლის მეურნეობის განვითარებით მიღებული სარგებელი, თუ იგი მხოლოდ სოციალურ მიზნებზე აგებული სიღარიბის წინააღმდეგ პოლიტიკის განხორციელების შედეგია, სოფლის მეურნეობის პასიური როლის აღიარებაა, ხოლო თუ სახელმწიფოსთან ერთად კერძო კაპიტალდაბანდებებისა და ინფრასტრუქტურის ზრდით სოფლის მეურნეობა კომერციულ მნიშვნელობასაც შეიძენს, მაშინ გაიზრდება ფერმერთა კონკურენტუნარიანობა და აგრარული ბიზნესგარემო.

უცხოური ინვესტიციების სტიმულირება, არა მხოლოდ გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებას შეუწყობს ხელს, არამედ დარგში ახალი, თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვას, ახალი ცოდნის იმპლემენტაციასა და მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ახალი ბაზრების დივერსიფიკაციის შესახლებლობას ქმნის.

აგრარული პოლიტიკა სოფლის მეურნეობების ქვესექტორების განვითარების პრიორიტეტებს განსაზღვრავს. ამავე დროს მთავრობას შეუძლია დაახქაროს კონკრეტული სექტორების განვითარების ტემპი სახელმწიფო კაპიტალდაბანდებით, სასურველი საინვესტიციო გარემოს შექმნით თუ საგადასახადო შედავათების დაწესებით.

სწორი აგრარული პოლიტიკის მეშვეობით შესაძლებელია სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამამუშავებელი და საბოლოო პროდუქციის მწარმოებელი კვების და მრეწველობის სხვა სექტორების განვითარების სტიმულირება, რაც ასე დიდ როლს თამაშობს განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის.

სწორად წარმართული აგრარული პოლიტიკა ახდენს:

1. მოსახლეობის აუცილებელი სურსათით უზრუნველყოფას-საკვები პროდუქტების წარმოების უსაფრთხოების ხელშეწყობას, ფიტო და ზოო-ვეტერინარული დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლას; განსაკუთრებული შემთხვევებისათვის საკვები პროდუქტებით მომარაგებასა და სამთავრობო რეზერვების შექმნას; სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის წყალდიდობისა და ეროზიის საწინააღმდეგო ქმედებათა ხელშეწყობას.
2. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მწარმოებლურობის მდგრადი განვითარების ხელშეწყობას- ბუნებრივი რესურსების დაცვას, გარემოს დაბინძურების შემცირებას, ბიოლოგიური მრავალფეროვნების განვითარებას. მანებლების წინააღმდეგ ბრძოლას.
3. სასოფლო-სამეურნეო არეალებში საბაზრო ფაქტორის გაძლიერებას, რეგიონებში ცხოვრების დონის ამაღლებას და ინფრასტრუქტურის განვითარებას, სწავლებასა და ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების დანერგვა-გავრცელებაში სოფლის მოსახლეობის ჩართვას.
4. კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების ხელშეწყობას, სექტორში შედარებითი უპირატესობის იდენტიფიცირებას და ექსპორტის სტიმულირებას.
5. პროდუქტიულობის ზრდისა და გადამამუშავებელი მრეწველობის ხელშეწყობას, რაც გულისხმობს ტექნოლოგიურ გაუმჯობესებას (მოსავლიანობის ზრდას), ასევე ცვლილებებს წარმოების მოდელებში, მართვაში, მაღალი

პროდუქტიულობის სასოფლო-სამეურნეო კულტურების დანერგვასა და ეფექტიანი გადამამუშავებელი წარმოების შექმნას. [8]

დღეს ეკონომისტები და პოლიტიკოსები აგრარულ პოლიტიკას განიხილავენ ე.წ. ფართო და ვიწრო გაგებით. გულისხმობენ, რომ პირველი მოიცავს ეკონომიკის გარდაქმნის თითქმის ყველა მხარეს, რომელიც ამა თუ იმ ქვეყნის დარგების განვითარებას ეხება (ტექნიკური პოლიტიკა, საკუთრებითი ურთიერთობანი, ფინანსური მეურნეობა, საკანონმდებლო ბაზა, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობანი და ა.შ.). ვიწრო გაგებით აგრარულ პოლიტიკას განსაზღვრავენ, როგორც ცალკეული დარგების, საწარმოების (ან მათი ჯგუფის) მართვის დონეზე სტრუქტურულ ცვლილებებს, წარმოების მოცულობებს, დარგების (ქვედარგების), საწარმოების ფუნქციონირებას, რესურსების გადანაწილებას, სპეციალიზაციას და ა.შ.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ერი, რომელიც ორიენტაციას იღებს მარტო სოფლის მეურნეობის განვითარებაზე და უგულბებლყოფს თანამედროვე ინდუსტრიას თავისი ეკონომიკური, მეცნიერული და კულტურული პოტენციალით, წინასწარ განწირულია ჩამორჩენილობისა და დაკნინებისათვის, მაგრამ ასევე არასწორია კურსი ავიდოთ მხოლოდ მრეწველობის სრულყოფისაკენ, ამ დარგების განვითარებაში საჭიროა დავიცვათ ოპტიმალური პროპორციები.


დღეს ეროვნული მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი საკითხია ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის ჰარმონიული შეთანაწყობა და განვითარება, რაც, სამწუხაროდ, რეფორმის გატარების პერიოდში დაირღვა საქართველოში. იგი ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევის ერთ-ერთ სერიოზულ შემაფერხებელ მიზეზად უნდა მივიჩნიოთ ორივე დარგისათვის.

თანამედროვე პირობებში გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ამ ეტაპზე გარკვეული უპირატესობა მივანიჭოთ მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქციის ზრდის ტემპებს, რაც ასე საჭიროა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და სასურსათო პროგრამის რეალიზაციისათვის. მაგრამ ეს არ იმოქმედებს წარმოების საშუალებათა წარმოების დაჩქარებული განვითარების საერთო კურსზე, რადგან შემდგომ პერიოდში ორიენტირი იქნება მრეწველობის დარგის უფრო დაჩქარებული ტემპით განვითარება, ვიდრე აგრარული სექტორისა. ამ ეტაპზე კი სოფლის მეურნეობის დარგის დაჩქარებული განვითარება ნაკარნახებია სასურსათო

პრობლემის სწრაფად გადაჭრის ინტერესებიდან გამომდინარე. ყოველივე ამის გამო, ამ ეტაპზე დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში აგრარული სექტორის პოტენციალის ამოქმედებას, ე.ი. ორიენტაციის აღებას უმთავრესად სოფლის მეურნეობისაკენ, თუმცა ეს არ ნიშნავს პერსპექტივაში ინდუსტრიულ განვითარებაზე საერთოდ ხელის აღებას, პირიქით, იგი ხელს უწყობს და აჩქარებს შემდგომში ქვეყნის ინდუსტრიული კურსით განვითარებას. საქმე ისაა, რომ დღეს აუცილებელია ქვეყნისათვის ამ ორი ფუნდამენტური დარგის განვითარებაში ოპტიმალური გზების ძიება და ადრე დარღვეული პროპორციების აღდგენა-გაუმჯობესება. [4]

დღეისათვის საქართველოში სოფლის მეურნეობა პრაქტიკულად არ წარმოადგენს უცხოური ინვესტიციებისათვის მიმზიდველ დარგს ერთობლივი საწარმოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების შესაქმნელად. დაზუსტებული მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2013 წელს 942 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. დიაგრამაში მოცემულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2013 წელს.

**დიაგრამა 1.1**



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

[http://www.geostat.ge/cms/site\\_images/\\_files/georgian/bop/FDI\\_2013-GEO.pdf](http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/bop/FDI_2013-GEO.pdf)

როგორც დიაგრამიდანაც ჩანს 2013 წელს აგრარულ სექტორში განხორციელდა მთლიანი უცხოური ინვესტიციების მხოლოდ 1%, რაც დაახლოებით 11 მილიონი ლარია. 2012 წელს ანალოგიური მაჩვენებელი 16 მლნ. ლარს შეადგენდა. მეტ-ნაკლებად ანალოგიურია მონაცემები 2007 წლიდან მოყოლებული- ყველაზე მეტი წილი მთლიანი საზღვარგარეთული ინვესტიციების 1,5% შემოვიდა 2014 წელს (სტატისტიკის დეპარტამენტის წინასწარი მონაჩვენი), რაც დაახლოებით 14, 5 მლნ, აშშ დოლარია.[42]

ჩვენი აზრით კი ინვესტიციების მოზიდვა სწორედ სოფლის მეურნეობაში უნდა იყოს პრიორიტეტული, რადგან ეს დარგის განვითარების ყველაზე რეალურ პერსპექტივად გვესახება: უცხოელი ინვესტორი ნიშნავს თითქმის ყველა იმ პრობლემების დაძლევის შესაძლებლობას, რომელიც დარგში გადაუჭრელ სირთულედ რჩება:

- საერთაშორისო ბაზრებზე წვდომა,
- იაფი კაპიტალი,
- წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიების და ცოდნის იმპორტი

აგრარულ პოლიტიკას უძველესი ისტორია აქვს. სახელმწიფოს ჩამოყალიბების საწყის ეტაპებზე, უძველეს ხელნაწერებში, სამეფო დეკრეტებსა თუ კანონთა წიგნებში უპირველესი ყურადღება ექცეოდა: მიწების განაწილებას საკუთრებაში გადაჩვენის თვალსაზრისით, მისი სარგებლობის უფლებებსა და წესებს, ირიგაციული სისტემების ფუნქციონირებისა და მიწის გადასახადების დამკვიდრების საკითხებს.

აგრარულ განვითარებას და მის განმსაზღვრელ პოლიტიკას ეკონომიკური აზროვნების კლასიკოსები დიდ ყურადღებას უთმობდნენ. საერთოდ ეკონომიკური განვითარებისათვის, კერძოდ კი სოფლის მეურნეობისათვის ისინი განვითარების ძირითად ფაქტორად კაპიტალის აკუმულაციას მიიჩნევდნენ. მათი აზრით, ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვითა და შრომითი პროცესების სრულყოფით სოფლის მეურნეობაში ნაყოფიერების გადიდება მიიღწევა. [8]

სოფლის მეურნეობისადმი ყველანაირ- დადებით თუ უარყოფით განწყობებს აქვს თავისი თეორიული და იდეოლოგიური საფუძვლები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში გარემოს სტრუქტურულ ცვლილებებთან ერთად ძირეულად იცვლებოდა.

კლასიკური თეორიის წარმომადგენლები (ადამ სმიტი) ეკონომიკური განვითარების ზრდას განიხილავდნენ, როგორც პროცესს, რომელიც მოითხოვდა წარმოების ფაქტორების გადანაწილებას დაბალი შრომის მწარმოებლურობით გამორჩეული ტრადიციული სოფლის მეურნეობის სექტორიდან მაღალტექნოლოგიურ სექტორებში. ამ პერიოდში სოფლის მეურნეობას ეკისრებოდა პასიური როლი და განიხილებოდა, როგორც მოსახლეობის საკვებით უზრუნველყოფის და დასაქმების დარგი. გარდა ამისა, არსებობდა იმის მოლოდინი, რომ სოფლის მეურნეობის, როგორც განვითარების ტრადიციული დარგის, მნიშვნელობა არსებითად შემცირდებოდა იმის მიხედვით, თუ როგორ წარიმართებოდა ქვეყნის ტრანსფორმაცია საწყისი ტრადიციული ეკონომიკიდან თანამედროვე ეკონომიკაში. [123]

სოფლის მეურნეობის როლი ძირითადად დაკავშირებული იყო იმ პროდუქციის წარმოებასთან, რომელიც პირდაპირ დააკმაყოფილებდა ადამიანის საარსებო მოთხოვნილებებს. რამდენადაც სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება აერთიანებდა ადამიანის ძალისხმევას ბუნებრივი რესურსების გამოყენებისას, მიჩნეული იყო, რომ მისი განვითარება შესაძლებელია სხვა ეკონომიკური საქმიანობისგან დამოუკიდებლად.

თუმცა, რეალურად, სოფლის მეურნეობის დამოკიდებულება მიწის შეზღუდულ რაოდენობასთან იმას ნიშნავდა, რომ მისი შემდგომი გაფართოება ყოველთვის იქნებოდა შეზღუდული. იგი კლებადი მწარმოებლურობის სფეროა (რობერტ მალთუსი), ამიტომ არსებობდა სერიოზული არგუმენტი იმისა, რომ სამუშაო ძალის ზრდასთან ერთად სოფლის მეურნეობის დარგი იმავე პროპორციით ვერ გაიზრდებოდა. გარდა ამისა, სამუშაო ძალის დასაქმებას შეზღუდავდა ამ დარგში ტექნოლოგიების დანერგვა. რეალურად ნათელი იყო, რომ მოსახლეობის ზრდასთან ერთად გაიზრდებოდა მოთხოვნა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე, რაც, თავის მხრივ, აუცილებელს გახდიდა სოფლის მეურნეობის ზრდას მოსახლეობის ზრდის პარალელურად. ეს გარემოებები საფუძვლად დაედო სოფლის მეურნეობის წინააღმდეგობრივი განვითარების აღიარებას. ნათელი იყო, რომ იგი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დარგია, მაგრამ მისი განვითარება გარკვეულ ზღვარს ვერ გასცდება.

მე-19 საუკუნის დასაწყისში კლასიკოსი თეორეტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ შრომის ნაყოფიერება სოფლის მეურნეობაში მრეწველობასთან შედარებით დაბალია.

სოფლის მეურნეობის ჩამორჩენას განსაზღვრავდა ერნსტ ენგელის კანონი, რომლის თანახმად, შემოსავლების ზრდასთან ერთად მცირდება დანახარჯები კვებაზე. ეს კი, ფაქტობრივად, იმის აღიარებას ნიშნავდა, რომ სასოფლო-სამეურნეო ჭარბწარმოებას ადგილი ექნებოდა იმ შემთხვევაში, თუ მისი მწარმოებლურობა გადააჭარბებდა მოსახლეობის ზრდას. ეს ფაქტორი იძლეოდა იმის დასაბუთების საფუძველს, რომ კაპიტალდაბანდებები სოფლის მეურნეობიდან უნდა გადანაცვლებულიყო სამრეწველო სფეროში. ეს მოსაზრება დღესაც აქტუალური რჩება.

თუ დავეუშვებთ, რომ სოფლის მეურნეობის განვითარება სტაგნაციური დარჩება, მოხდება დასაქმების ზრდა არასასოფლო-სამეურნეო სფეროში, პროდუქტებზე ფასები კი გაიზრდება, რასაც მოჰყვება არასასოფლო-სამეურნეო სექტორში დასაქმებულთა ხელფასების შემცირება და მრეწველობის დარგების განვითარების შეფერხება. ამის შედეგად წარმოიშობა ეკონომიკურ თეორიაში ცნობილი ე.წ. “რიკარდოს ხაფანგი”. ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევის მიზნით, 1980-იან წლებამდე გავრცელებული იყო მოსაზრება იმის შესახებ, რომ სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვნად უნდა დაბეგრულიყო, თუმცა უკვე შემდგომი პერიოდიდან სულ უფრო მეტად დომინირებდა აზრი იმის შესახებ, რომ სოფლის მეურნეობის და და სხვა დანარჩენი დარგების განვითარება არ შეიძლება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წარმართულიყო. ამდენად, დავიწყებას მიეცა მოსაზრება სოფლის მეურნეობის დამოუკიდებელი განვითარების შესახებ.

შესაბამისად, თანდათანობით უკანა პლანზე იწვევდა აზრი სოფლის მეურნეობის პასიური როლის შესახებ და გაჩნდა მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს მშპ-ს ზრდაში. ერთ-ერთი გამოკვლევის თანახმად, 1960-1990 წლებში მსოფლიოს 62 განვითარებული ქვეყნის მიმოხილვის შედეგად, სოფლის მეურნეობაში შრომის მწარმოებლურობის ზრდის წილმა მშპ-ს ზრდაში შეადგინა 54%. სოფლის მეურნეობაში შრომის მწარმოებლურობის ზრდის შედეგად სამუშაო ძალამ გადაინაცვლა სხვა სექტორებში. [115]

სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ზრდისა და განვითარებისათვის აუცილებელია ტექნოლოგიების დანერგვა, რაც განსაზღვრავს სხვა დარგებთან მის ურთიერთქმედებას. ეკონომიკური ზრდა სოფლის მეურნეობაში შეუძლებელია სხვა სექტორებისაგან დამოუკიდებლად დაფიქსირდეს. თავის მხრივ კი სოფლის მეურნეობა



ქმნის მოთხოვნას სერვისებზე და მრეწველობის განვითარებაზე, მისი წარმოების ზრდა აისახება კვების მრეწველობაზე, მრეწველობა კი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს დარგს მანქანა-იარაღებითა და ტექნოლოგიებით.

რეალურად ზემოაღწერილი კავშირურთიერთობა სხვადასხვა ქვეყანაში მეტ-ნაკლები ჩართულობით იჩენს თავს-ძირითადად აგრარული სექტორი უფრო მეტადაა ინდუსტრიული მრეწველობისა და მეცნიერების თანამედროვე მიღწევების მომხმარებელი, ვიდრე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზეგავლენა იგრძნობა ეკონომიკის სხვა სფეროების განვითარებაზე.

სოფლად შემოსავლების ზრდა დანახოების წყაროა როგორც სოფლის მეურნეობის, ისე არასასოფლო-სამეურნეო დარგებისათვის, პროდუქტებზე ფასები კი ტექნოლოგიების განვითარებას ემყარება, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მრეწველობის და მომსახურების დარგებში შრომის ანაზღაურების სტაბილურობას და ამით ხელს უწყობს ინვესტიციების ზრდას თუ სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებას სხვა დარგებში.

სოფლის მეურნეობას გაცილებით მჭიდრო კავშირი აქვს სხვა დარგებთან, ვიდრე დანარჩენ დარგებს ერთმანეთთან, რაც განპირობებულია იმით, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქცია უპირატესად იყიდება ადგილობრივ ბაზარზე, სოფლის მეურნეობაში გამოყენებული შუალედური რესურსები, რომელსაც სხვა დარგები აწარმოებენ, ნაკლებად იმპორტირებადია. ამ კავშირებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტსა და ექსპორტს, რესურსების ბაზრის და ინფრასტრუქტურის მდგომარეობას, ლოგისტიკას და სხვ. შეაქვს თავისი კორექტივები, მაგრამ ეს ყველაფერი მაინც ვერ ამცირებს სოფლის მეურნეობის როლს და კავშირს სხვა დარგებთან.

ყოველივე ამის საწინააღმდეგოდ შეიძლება ითქვას, რომ დღეს გლობალური განვითარება იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ქვეყანაში იაფი სოფლის მეურნეობის პროდუქცია იყოს იმპორტირებული. ეს კი, თავის მხრივ, ნიშნავს იმას, რომ ადგილობრივი ძალისხმევა მოხმარდეს უფრო ინტენსიურ არასასოფლო-სამეურნეო დარგებს. გარდა ამისა, ქვეყანაში სოფლის მეურნეობა შეიძლება ცუდად იყოს ინტეგრირებული სხვა დარგებთან და მისი ღირებულების ზრდა კი მოკლე ჯაჭვს შეადგენდეს, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სოფლის მეურნეობას,

როგორც ეკონომიკის განვითარების მამოძრავებელ ძალას და სიღარიბის დაძლევის ეფექტურ გზას. მას სჭირდება საკმაოდ დიდი ინვესტიციები და სახელმწიფო ფინანსები, ფასების მხარდაჭერა, ირიგაციული სისტემების გაყვანილობა და სხვ., სოფლის მეურნეობა ნაკლებად ხელმისაწვდომი ხდება, მით უმეტეს, ისეთ ქვეყანაში, სადაც მიწები დანაწევრებულია და დაქუცმაცებულია არარენტაბელურ მცირე ფერმებად.

თუმცა ეკონომიკური პოლიტიკის ისტორია იცნობს ლატიფუნდიებთან ბრძოლის ტენდენციას და ხელს უწყობს მიწის დანაწევრებას დაინტერესებულ პირებზეც, მაგრამ ევროპის უმრავლეს ქვეყნებში დღეისათვის დაწესებულია ფერმერული მეურნეობის ზომის ქვედა ზღვარი. ეს იმისთვის კეთდება, რომ ნაკვეთების გადაჭარბებული დაქუცმაცება და ფრაგმენტაცია თავიდან იქნეს აცილებული. [8]

ამის საწინააღმდეგოდ, მრავალი მეცნიერი თვლის, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანესი პარამეტრია სწორედ მცირე მეწარმეების წარმატება. ამ სკოლის წარმომადგენლები საკმაოდ დადებითად არიან განწყობილნი აგრარული სექტორის პოტენციალის შესახებ იმ ქვეყნებში, სადაც მაღალია უმუშევრობა და არაფორმალური ეკონომიკაა გაბატონებული. თუმცა, ფაქტია, რომ ვაჭრობის ლიბერალიზაციისა და გლობალიზაციის პროცესში მცირე ფერმერები ხშირად ვერ ახერხებენ დამოუკიდებლად კონცენტრაციას, ინტეგრაციას და ტრანსფორმაციას იმისათვის, რომ გაუძღონ საერთაშორისო კონკურენციას და დააკმაყოფილონ ბაზარი. ამ პირობებში კი ინვესტორთა ინტერესები საკმაოდ დიდი რისკების ქვეშ დგება. შესაბამისად, ფერმერებს, განსაკუთრებით მათ, რომლებიც ბაზრებიდან შორს არიან და ცუდი ინფრასტრუქტურა აქვთ, მომავალი და პერსპექტივები არ გააჩნიათ. ამდენად, აზრი იმის შესახებ, რომ საინვესტიციო აქცენტი მსხვილ და კომერციაზე ორიენტირებულ ფერმებზე უნდა გაკეთდეს, რომლებსაც უკეთ შეუძლიათ დააკმაყოფილონ ბაზრის მოთხოვნები, არ არის უსაფუძვლო. შესაბამისად, მრავალი ავტორი ამტკიცებს: - ნაცვლად იმისა, რომ პოლიტიკა ავაგოთ “მცირე ფერმების გადარჩენის” საჭიროებებზე, საჭიროა მცირე ფერმებისაგან გათავისუფლება.[127]

ეს იდეა დღეისათვის მეტად აქტუალური და პოპულარულია ევროპული ლიდერების კულუარებში, თუმცა როგორც მომდევნო თავებში ვნახავთ, ელექტორატის განაწყენების შიშით ეს საკითხი აქტუალური ფაქტიურად არ ხდება.

მე-20 საუკუნის დასაწყისში მრავალი ეკონომისტი სკეპტიკურად უყურებდა მცირე მეწარმეობის ეფექტიანობის ამაღლებას, რამდენადაც ფერმები, თავიანთი ბუნების გამო, ცდილობენ აწარმოონ მხოლოდ იმდენი პროდუქტი, რამდენიც საჭიროა მათი არსებობისათვის. იმისათვის, რომ ფერმებმა შეიძინონ კომერციული ხასიათი, საჭიროა დამატებითი სტიმული. ამ თეორიას “მოხმარებასა და შრომას შორის ბალანსის პრინციპი” ეწოდება (ა. ჩაიანოვი; ვ. მეგრი) და გამოიყენება მსხვილი მეურნეობის უპირატესობების დასასაბუთებლად.

მსხვილი ფერმების უპირატესობის ტრადიციული თეორიის კრიტიკა მე-20 საუკუნის შუახანებში დაიწყო, ხოლო 90-იანი წლების ბოლოს კი გაჩნდა ლიტერატურა, სადაც არის იმის მტკიცება, რომ მცირე ფერმების შრომის ეფექტიანობა ხშირად აღემატება მსხვილი ფერმების ეფექტიანობას.

მცირე ფერმების ეფექტიანობის მომხრე მეცნიერების არგუმენტაციით, მცირე ფერმებს აქვთ ერთ ერთეულ პროდუქციაზე დაბალი მოგება, ვიდრე მსხვილ ფერმებს, მაგრამ ისინი უფრო მგრძობიარენი და მოქნილნი არიან ტრანზაქციულ ხარჯებთან მიმართებაში, ვიდრე მსხვილი ფერმები, მათი ეფექტიანობა არ არის მსხვილი ფერმების ეფექტიანობაზე დაბალი იმ შემთხვევაში, თუ მხედველობაში მივიღებთ მათი სამუშაო ძალის დაბალ ღირებულებას და გარე ეფექტებს. მიუხედავად იმისა, რომ მსხვილი ფერმები აწარმოებენ უფრო მეტ პროდუქციას, ვიდრე მცირე ფერმები კოოპერაციის შემთხვევაში, რაც გაცილებით მაღალსარგებლიანია მათთვის, იღებენ მეტ მოგებას, ვიდრე მსხვილი ფერმები. მცირე ფერმების წარმოება უფრო ეფექტიანია, მაგრამ კვების პროდუქტების უსაფრთხოებისა და ხარისხის პრობლემები, რაც ძალიან მტკივნეულია ღია ბაზრისათვის, მნიშვნელოვნად მოქმედებს მცირე ფერმების განვითარებაზე.[6]

საკამათო არ უნდა იყოს, რომ სოფლის მეურნეობის სფერო განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწორედ იმ ქვეყნებისათვის, საქართველოს ჩათვლით, სადაც დომინირებს მცირე ფერმები, გააჩნიათ მცირე საექსპორტო შესაძლებლობები და უმუშევრობის მაღალი დონე, ხოლო იმ ქვეყნებში კი, სადაც ეკონომიკის ზრდა ემყარება კაპიტალიზმის დარგებს, ფერმერებს განვითარებისა და დივერსიფიცირების მეტი შესაძლებლობები გააჩნიათ.

როგორც ქვემოთ ვნახავთ, ქაოტურად და ერთჯერადად გაწეული დახმარებით არ მოხერხდა ქართული სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის განვითარება. სწორედ ამიტომ, ვფიქრობთ რომ მხოლოდ კარგად გათვლილი და ეფექტიანი აგრარული პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ორგანულად იქნება ინტეგრირებული ეროვნულ ეკონომიკურ პოლიტიკაში, არის ის ერთადერთი გზა, რომლითაც დაცლილი ქართული სოფლების აღდგენასა და ნახევრად შიმშილის ზღვარზე მყოფი მოსახლეობის პრობლემის მოგვარებას შევძლებთ.

## 12. დამოუკიდებელი საქართველოს აგრარული პოლიტიკის წანამძღვრები და სპეციფიკა

დამოუკიდებლობის გამოცხადების, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და შინაომების შემდეგ, ქვეყანაში თითქმის მთლიანად განადგურდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ინფრასტრუქტურა და ქონება, რომლის არსებობა ქმნიდა შესაძლებლობას, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში მოხდებოდა მათი თანდათან გარდაქმნა ფერმებად ისე, რომ არ დაეკარგათ და პირიქით, გაეზარდათ ამ მეურნეობების საბაზრო პოტენციალი და კონკურენტუნარიანობა. სამწუხაროდ მწარე რეალობიდან გამომდინარე, მივიღეთ ნახევრად ნატურალური, დაბალმექანიზებული და ამიტომ დაბალნაყოფიერებისა და განუვითარებელი ინფრასტრუქტურის მქონე სოფელი.

მეორე უმთავრესი პრობლემა იყო დამოუკიდებლად მართვის და ცხოვრების არცოდნა. სამწუხაროდ ძველის განურჩევლად ნგრევა და ახლის გაუაზრებლად შენება ახალბედა ქართული მთავრობის საბედისწერო შეცდომად იქცა.

პირველი ნაბიჯი, რომელიც დამოუკიდებელ საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გადაიდგა, ეს იყო 1992 წელს- მინისტრთა კაბინეტის 18 იანვრის დადგენილების საფუძველზე დაწყებული აგრარულ რეფორმად წოდებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ნაჩქარევი პრივატიზაცია. აბსოლიტურად სწორი მიდგომა-რომ მიწა ეკუთვნის მას, ვინც დაამუშავებს, რეფორმის გაუაზრებლად და ხარვეზებით ჩატარების გამო საბედისწერო აღმოჩნდა ქართული სოფლისათვის: დღეს დამუშავებაში არსებული მიწის საერთო ფონდი 4 მლნ-მდე ნაკვეთადაა დანაწევრებული (საშუალო ფართი-1,5-2,5 ჰა), რომელზეც მაღალპროდუქტიული სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწყობა, მეცნიერულ-ტექნიკური ბაზის განახლება ან შექმნა, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის, მელიორაციის, ქიმიზაციის და წარმოების ინტენსიფიკაციის საჭირო სხვა ღონისძიებების განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელია. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია ისიც, რომ აგრარული რეფორმის პირველ ეტაპზე ვერ მოხერხდა მიწების პრივატიზების სრულად დასრულება, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელთა ეფექტიანი გამოყენება შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის, კვლავაც სახელმწიფოს საკუთრებაში რჩება.

აგრარული რეფორმა, რომლის ძირითადი მიმართულება მიწაზე კერძო საკუთრების დამკვიდრება, წარმოების სხვა ძირითადი საშუალებების განსახელმწიფოებრიობა და სოფლად ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ჩამოყალიბება იყო, ბოლომდე არც განხორციელებულა. არასრულყოფილად ჩატარდა ასევე საზოგადოებრივ მეურნეობათა რეორგანიზაცია. თავის მხრივ, არასრულყოფილმა რეფორმამ ვერ უზრუნველყო სოფლად ახლად წარმოშობილი სამეურნეო სუბიექტების საბაზრო პირობებთან ადაპტაციისათვის კეთილსაიმედო გარემოს შექმნა, შესაბამისი უნარ-ჩვევებისა და ახალი სტრუქტურების დამკვიდრება. ამასთან, დარღვეულ იქნა მთავარი პრინციპი, რაც რეფორმების კომპლექსურად განხორციელებას მოითხოვს. რეფორმა შეეხო სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მხოლოდ ნაწილს, მეორე მნიშვნელოვანი ნაწილი კი (სულ 460 ათასი ჰა, საიდანაც 90 ათასი ჰა ინტენსიური სავარგულია) კვლავ სახელმწიფო საკუთრებაში დარჩა, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ შემუშავებული იქნა არაერთი ნორმატიული აქტი (მაგ: 2005 წლის 8 ივნისს მიღებული საქართველოს კანონი “სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზაციის შესახებ”), მათი განსახელმწიფოებრიობა (იჯარით გაცემული მიწების ჩათვლით) დღემდე ვერ მოხერხდა, რაც ხელს უშლის მიწის თავისუფალი ბაზრის შექმნას, სოფლად ინვესტიციების მოზიდვასა და სამეწარმეო აქტივობის ამაღლებას. [17].

90-იანი წლების დასაწყისში, მიწის რეფორმების პარალელურად, დაიწყო სოფლის ინფრასტრუქტურის გარდაქმნაც. დაიშალა აგროსერვისცენტრები, რომლებიც მანქანა-მოწყობილობების ტექნიკური მომსახურებით იყვნენ დაკავებულნი და “საქსოფქიმია”, რომელიც შხამქიმიკატებითა და სასუქებით ამარაგებდა კოლმეურნეობებს. ისინი გარდაიქმნა კომერციულ, სტრუქტურებად, მაგრამ არ იყო ორიენტირებული მოგებაზე და ინარჩუნებდა მონოპოლიზებულ მდგომარეობას.

სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურა საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. საირიგაციო არხებით წყალი მოსახლეობას, ფაქტობრივად, წინანდებურად უფასოდ მიეყიდებოდა, ხოლო წყლის რესურსების გამოყენებისა და მართვის ორგანიზაციები ფინანსდებოდა სახელმწიფოს მიერ. სახელმწიფოს ხელში არსებული წყლის მეურნეობები ვერ ინარჩუნებდნენ თავიანთ მდგომარეობას – წყლის ტუმბოები,

რეზერვუარები, არხები და სხვა ტექნოლოგიები ამორტიზებული იყო, ხოლო წყლის მიწოდება შეფერხებებით ხორციელდებოდა ელექტროენერჯის დეფიციტისა და სათადარიგო ნაწილების ნაკლებობის, ძრავების მწყობრიდან გამოსვლისა და დანადგარების ძარცვის გამო. ინფრასტრუქტურას უტარდებოდა მხოლოდ მცირე ზომის სარემონტო სამუშაოები და წყალსაქაჩი სისტემები პრაქტიკულად წყვეტდნენ ფუნქციონირებას. 90-იანი წლების პირველ ნახევარში ენერჯის ნაკლებობის გამო მხოლოდ რამდენიმე წყალსაქაჩი სადგური ფუნქციონირებდა, უმრავლესობა კი გაჩერებული იყო. [26]


მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 1992-2003 წლებში მიწების 11% ირწყვებოდა, ხოლო 2003-2009 წლებში კი ეს მაჩვენებელი უფრო შემცირდა და შეადგინა 6-7%, მაშინ, როდესაც ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელი 26-29%-ია. [135]

90-იანების პირველ ნახევარში რაიმე სხვა სახის ანტიკრიზისული ღონისძიება კონკრეტულად სოფლის მეურნეობის მიმართულებით აღარ განხორციელებულა. სექტორში დაბალი იყო კომერციალიზაცია და დარგი ძირითადად საოჯახო მეურნეობებისთვის ნატურალური თვითმოხმარების ფუნქციას ასრულებდა. სახელმწიფო მესვეურებს არ ეცალათ სოფლის მეურნეობის მისახედად და პრივატიზაციის პროცესში, სასოფლო-სამეურნეო მიწებისა და შემორჩენილი ქარხანა-დანადგარების გაყიდვა თუ იჯარით გაცემა, ცხადია არ იყო საკმარისი დარგის კაპიტალიზაციისათვის და ვერ მოახდენდა დარგში ინვესტიციების სტიმულირებას.

დროთა განმავლობაში, საბჭოთა დროს არსებულმა საირიგაციო სისტემებმა, ტექნიკამ და სხვა ინფრასტრუქტურამ განიცადა სრული ამორტიზაცია-შედევად გაიზარდა დაუმუშავებელი მიწების ოდენობა, გაუდაბურდა შემორჩენილი პლანტაციები და დაიწყო აგრარული სექტორის უმწვავესი კრიზისი.

მდგომარეობას ართულებდა მინერალური სასუქების არასათანადო მიწოდება, რაც დაბალი მოსავლიანობის ერთ-ერთი მიზეზი გახდა.

დიაგრამა 12



წყარო: <http://faostat.fao.org>

დიაგრამაში 12 განხილული მონაცემები მოიცავს მუდმივად დამუშავებული მიწის და მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო ნარგავებით დატვირთულ მიწას. აქ არ შედის საძოვრები და ტყეები, აგრეთვე გაუდაბურებული და დაუმუშავებელი სასოფლო-სამეურნეო მიწები.

ამასთან, ამ პერიოდისთვის საქართველო გამოიყენებდა საჭირო პესტიციდების 1%-ზე ნაკლებს, რამდენადაც სასუქების ფასის ზრდამ წარმოების ფასებთან შედარებით, შეუძლებელი გახადა გლეხებს გამოეყენებინათ იგი მოსავლიანობის ნაყოფიერების გასაზრდელად. [26]

საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენება. 1992 წლამდე საქართველო ცენტრალიზებულად მარაგდებოდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, მაგრამ, პრაქტიკულად, 90-იან წლებში ტექნიკური პარკის განახლება არ მომხდარა და მკვეთრად შემცირდა მუშა მდგომარეობაში მყოფი მანქანების რაოდენობაც. ამ პერიოდში განადგურდა (თუ ჯართად გაიყიდა) ფერმებისა და კომპლექსების მექანიზებული და ავტომატიზებული ხაზები, ტექნიკური თუ ტექნოლოგიური წარმოების საშუალებანი. [38]



ამავე პერიოდში სოფლის მეურნეობა აღმოჩნდა საბანკო დაკრედიტების მიღმა და ხელისუფლება უძღური აღმოჩნდა გაეტარებინა რაიმე სახის ეფექტიანი ღონისძიებები სოფლის მეურნეობის ფინანსური საჭიროებების უზრუნველსაყოფად.

პირველი აგრარული პოლიტიკის კონცეფცია, ანუ ქვეყანაში აგრარული სექტორის განვითარების ძირითადი მიზანდასახულობა, მიღებული იქნა 1997 წელს. ნორმატიული აქტი, რომლითაც დამტკიცებული იქნა ხსენებული კონცეფცია, ავალებდა ქვეყნის აღმასრულებელ ხელისუფლებას აგროსამრეწველო და სასურსათო კომპლექსის განვითარებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ნორმატიული აქტების მომზადებისას, სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისას, საინვესტიციო პროგრამების და პროექტების დამუშავებისას, მართვის სისტემის რეორგანიზაციისას, საერთაშორისო შეთანხმებათა და ხელშეკრულებათა მომზადებისას გათვალისწინებული ყოფილიყო აგრარული პოლიტიკის კონცეფციით განსაზღვრული ორიენტირები. [92]

აღნიშნული კონცეფციით დეკლარირებული იქნა ძირითადი მიზნებიც, კერძოდ:

- ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების მიღწევა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცება აგროსამრეწველო პოტენციალის სრულად გამოყენების საფუძველზე.
- ქვეყნის მოსახლეობის დასაქმების დონის გაზრდა აგროსამრეწველო კომპლექსში დამატებით შექმნილი სამუშაო ადგილების ხარჯზე, შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ქვეყნის მყარი პოზიციების მოპოვება და საექსპორტო შემოსავლების ზრდა.

თუმცა აღნიშნული მიზნების მიღწევას არსებითად არ წაადგა სახელმწიფოს მიერ შემუშავებული მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების ანტიკრიზისული პროგრამა, რომელიც ქვეყანაში 1994 წლიდან ხორციელდებოდა, აგრეთვე ეკონომიკური რეფორმების მეორე ეტაპის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც 2000 წლამდე პერიოდს მოიცავდა.

რეფორმირების წლებში შედარებით შედეგიანი 1996-1997 წლები გამოდგა, როცა ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიურმა ტემპმა 11%-ს მიაღწია ეროვნული ვალუტის (ლარის) კურსის სტაბილურობისა და ინფლაციის დაბალი ტემპის შენარჩუნების პირობებში. [20]

გარდა წარმოების სირთულეებისა, სოფლის მეურნეობას პრობლემა შეუქმნა 1998 წლის ომმა გალში და კვლავ გართულებულმა ურთიერთობამ რუსეთთან, რომელიც თავადაც განიცდიდა ეკონომიკურ კრიზისს. 1999 წელს შემცირდა ღვინის, ციტრუსისა და მინერალური წყლების ექსპორტი. ფაქტიურად გაჩერებული იყო ხორცის, რძისა და საკონსერვო საწარმოთა უმეტესობა ან მუშაობდა სიმძლავრეთა მინიმალური დატვირთვით. აღნიშნულის გამო, სოფლის მეურნეობის პროდუქციის აბსოლუტური უმეტესობა ქარხნული წესით გადამამუშავების გარეშე ხვდებოდა სამომხმარებლო ბაზარზე, რის გამოც ზარალდებოდა როგორც მომხმარებელი, ისე ნედლეულის მწარმოებელ-გადამამუშავებელი საწარმოები და სახელმწიფო ბიუჯეტი.

პერიოდულად სახელმწიფოს შემოჰქონდა სათესლე მასალა, შხამ-ქიმიკატები ან სხვა დამხამრე საშუალებები ფერმერთათვის, მაგრამ ეს არ იყო რაიმე გააზრებული პოლიტიკის ნაწილი და იმპულსური, კორუფციული ხასიათი ჰქონდა.

2000 წელს ქვეყანაში განვითარებულმა ხანგრძლივმა გვალვებმა, ქვეყნის ეკონომიკას 0,5 მლრდ ლარის ზარალი მიაყენა, რასაც მოგვიანებით თან დაერთო გლობალური კრიზისი, რომელმაც მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა ეროვნულ ვალუტას - ლარის კურსი წლის განმავლობაში 38%-ით დაეცა.


2001-2004 წლებში საქართველოში ამოქმედდა მსოფლიო ბანკის პროექტი (IFAD), რომლის მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე გაკეთდა დასკვნა, რომ ხორბალი და სხვა მარცვლეული კულტურები შემოსავლიანობის მიხედვით მნიშვნელოვნად აგებს ბოსტნეულთან, ბალჩეულთან, თხილთან და სხვა კულტურებთან, რადგან მათ (მარცვლეულ კულტურებს) შედარებითი უპირატესობა არ გააჩნიათ. თუმცა შედეგი ფაქტიურად არ მიგვიღია, რადგან არ გატარდა არავითარი ქმედითი ღონისძიება არათუ ბაზრის სტიმულირებისათვის მოცემული მიმართულებით, არამედ მოსახლეობის ინფორმირებისთვისაც კი.

მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა 2004 წლიდან, როდესაც ახალი ხელისუფლების ეკონომიკურ პოლიტიკაში შემოვიდა ეკონომიკური ლიბერალიზაციისა და მოდერნიზაციის თემები. ამ პოლიტიკის საწყის ეტაპზე ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული “ლიბერტარიანული” პარადიგმა გამორიცხავდა რაიმე ტიპის სექტორულ პოლიტიკას, რამაც სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მეურნეობის მიმართ რაიმე მკაფიო და მიზანმიმართული პოლიტიკის არსებობაც გამორიცხა.

მოდერნიზაციის იდეამ ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლების რიტორიკაში გააჩინა მოსაზრება იმის შესახებ, რომ აგრარული სექტორის განვითარებაზე აქცენტი ქვეყნის ჩამორჩენილობაზე მეტყველებს. აგრარულმა სექტორმა 2004 წლიდან დაიწყო დაცემა, რაც სოფლად მაცხოვრებელი საქართველოს მოსახლეობის ნახევრისთვის სოციალური პირობების გაუარესებითაც აისახა. 2005 წლიდან რეალური წარმოება საქართველოში 20%-ით შემცირდა, ნათესი ფართობი 43%-ით შემცირდა, ხოლო საშუალო წარმოებამ ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით იკლო. თუ 2003-2010 წლებში ნომინალური მშპ გაიზარდა 49.1%-ით, სოფლის მეურნეობაში მშპ შემცირდა 20.3%-ით.

შედეგად კიდევ უფრო დაეცა სოფლის მეურნეობის ეფექტიანობა და რეგიონებში ცხოვრების დონე. ტურიზმის განვითარებამ აგრო-პროდუქტებზე მოთხოვნა მკვეთრად გაზარდა და შესაბამისად გაიზარდა იმპორტის მოცულობა. შემცირდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მოცულობა, მოხდა მათი დანიშნულების შეცვლა და ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის სიმბოლურ ფასად გადაეცათ ინვესტირება.

დიაგრამა 1.3



წყარო: <http://faostat.fao.org/site/535/DesktopDefault.aspx?PageID=535#ancor>

2005 წელს დაიწყო მიწის პრივატიზების ახალი ტალღა. “სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზაციის შესახებ” (2005წ.) და “ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების აღიარების შესახებ” (2007წ.) კანონების შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პრივატიზება ხორციელდებოდა როგორც აუქციონით, ისე პირდაპირი მიყიდვისა და კონკურენტული შერჩევის წესით. ამ კანონებმა ხელი შეუწყო ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ თვითნებურად დაკავებულ სახელმწიფო მიწებზე საკუთრების უფლებათა აღიარებას და მათ პრივატიზებას.

(FAO)-ის კვლევით, 2005 წელს ჩატარებული სოფლის მეურნეობის აღწერის შესაბამისად, საქართველოში 700 000 სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი იყო, მათი 99% საოჯახო ფერმაა. 93%-ს 2 ჰა-ზე ნაკლები მიწა აქვს. ერთი ფერმის საშუალო ფართობი 1.37 ჰა-ს შეადგენდა. დაახლოებით 16,000 ფერმერული მეურნეობა იყო, რომელთაც 4 ჰექტარი და მეტი ფართობი ეკავათ. საერთო ჯამში ამ მეურნეობების ხელში გაერთიანებული იყო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 40%-ზე მეტი.

2006 წელს რუსეთის ემბარგომ, ჩაკეტა ექსპორტის უმნიშვნელოვანესი, თუ ერთადერთი ბაზარი არა და ფაქტიურად კატასტროფის წინაშე დააყენა ქართული სოფლის მეურნეობა. შედეგად 2007 წელს კვების პროდუქტების იმპორტის მოცულობამ თითქმის 4-ჯერ გადააჭარბა ექსპორტირებული კვების პროდუქტების მოცულობას. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ქვეყანაში შემოდის უმეტესად გადამუშავებული პროდუქცია, მაშინ როდესაც, ქართულ ექსპორტში ნატურალური, დაუმუშავებელი ხილის და ბოსტნეულის მოცულობა მკვეთრად სჭარბობს.

USAID-ის დაფინანსებით ქვეყანაში 2006-2007 წლებში დამუშავდა სურსათისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ეროვნული სტრატეგია 2015 წლამდე პერიოდისათვის, რომელშიც ვკითხულობთ: „საქართველოში მარცვლოვანებს და ზეთოვან კულტურებს არ გააჩნიათ არც ადგილობრივი ბაზრის დაკმაყოფილების საშუალება და არც მნიშვნელოვანი საექსპორტო პოტენციალი. სამაგიეროდ, მომგებიანი იქნება ხილის, ბოსტნეულის, რძის, თევზისა და ხორცის პროდუქტების წარმოება“. [91] აქვე ხაზგასმულია, რომ საქართველოში არსებობს კარგი

შესაძლებლობები ისეთი პროდუქტების საწარმოებლად, რომელთა ბაზრები იზრდება და მოწოდებაც დეფიციტურია, მაგალითად, კენკრა, ეთერზეთები, სამკურნალო მცენარეები და სუნელები, გამშრალი ხილი და ბოსტნეული, ასევე ორგანული პროდუქტების ფართო ასორტიმენტი. ამასთან, მათ წარმოებაში ინვესტიციები უნდა განხორციელდეს იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანას ექნება კონკურენტული (შედარებითი) უპირატესობა ხანგრძლივადიან პერიოდში. [49] თუმცა კვლევა კვლევად დარჩა და მისი შედეგები მთავრობის აგრარულ პოლიტიკაში არ ასახულა.

მხოლოდ 2007 წლის შემდეგ გამოიკვეთა ხელისუფლების დღის წესრიგში აქცენტები სოფლის მეურნეობაზე, 2010-2012 წლებისთვის კი აგრარულმა სექტორმა, რომელიც ხელისუფლებისათვის მანამდე მხოლოდ დეკლარაციულ ღონეზე არსებობდა, პრიორიტეტულობის ფუნქცია შეიძინა. თუმცა შეუძლებელი აღმოჩნდა განადგურებული დარგის რეაბილიტაციისათვის საჭირო ფულადი სახსრების მოძიება და ეფექტიანი ღონისძიებების გატარება.

მნიშვნელოვანია აგრეთვე უცხოელი ინვესტორების შემოსვლის პირობები, არ უნდა მოხდეს ქართული მიწებისა და ბუნებრივი რესურსების უცხოელებზე გადაცემა. ამის ნათელი მაგალიათია ფერერო, რომელსაც დღემდე აქვს დავები ადგილობრივ მოსახლეობასთან, მიწის კუთვნილებასთან დაკავშირებით.

ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი რ. ქეივსი აღნიშნავს, რომ მიმდები ქვეყნის ეკონომიკისათვის დადებით ეფექტთა შორის აღსანიშნავია მწარმოებლურობის ზრდა, ტექნოლოგიებისა და ნოუ-ჰაუს გადაცემა, ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა, დასაქმებული პერსონალის მომზადება და წარმოების საერთაშორისო ქსელების წარმოშობა[112]. ამერიკელი ეკონომისტების მიუღერისა და გოიჩის მოსაზრებით, მასპინძელი ქვეყანა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი) დახმარებით ზრდის შრომის მწარმოებლურობას და დასაქმებას, სტიმულს აძლევს ინოვაციების დანერგვას და ხელს უწყობს მდგრად ეკონომიკურ ზრდას [119].

მიმართულების მიხედვით პუი-ს ნაკადებს ყოფენ შემავალ და გამავალ ნაკადებად. შემავალი პუი-ები გულისხმობს უცხოური კაპიტალის დაბანდებას ადგილობრივ რესურსებში. ასეთი ტიპის ნაკადებს ასტიმულირებს საგადამხდლო შეღავათები, სუბსიდიები, დაბალი საპროცენტო სესხები და გრანტები, თუმცა ამ შემთხვევაში გარკვეულწილად შეზღუდულია უცხოელი ინვესტორის საკუთრების უფლება.

პუი-ები ასოცირდება არა მარტო ფინანსური კაპიტალის შემოდინებასთან ქვეყანაში, არამედ განიხილება, როგორც ინსტრუმენტი, რომელსაც მიმღებ ქვეყანაში შემოაქვს ცოდნა, მართვის თანამედროვე პრაქტიკა, პროდუქციის დიზაინი, ხარისხის მახასიათებლები, ბრენდი, პროდუქციის მარკეტინგის საერთაშორისო არხები და ა.შ. შესაბამისად, ხელს უწყობს მასპინძელი ქვეყნის გლობალური წარმოების ქსელში ინტეგრაციას, რომელიც, თავის მხრივ, წარმატებული საექსპორტო სტრატეგიის საფუძველს წარმოადგენს. პუი-ებით სარგებლობს არა მარტო ადგილობრივი წარმოება, არამედ მომხმარებლებიც, ის მასპინძელ ქვეყანას გადასცემს თანამედროვე ტექნოლოგიებს, ქმნის გლობალურ მენეჯერულ უნარ-ჩვევებზე ხელმისაწვდომობას, ოპტიმალურად სარგებლობს ადამიანური შესაძლებლობებით და ბუნებრივი რესურსებით. ეხმარება დარგებს, საერთაშორისო დონეზე გახდეს კონკურენტუნარიანი, აფართოებს საექსპორტო ბაზრებს, უზრუნველყოფს პროდუქციის და მომსახურების საერთაშორისო ხარისხის ხელმისაწვდომობას და ზრდის სამუშაო ადგილებს.

თუ გავითვალისწინებთ ყველა აღნიშნულ დადებით თვისებას, პუი-ები მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის, მათ შორის, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნებისათვის. გარკვეული პირობების გათვალისწინებით, ინვესტორისათვის უფრო მომგებიანია იაფი რესურსების გამო წარმოება საზღვარგარეთ განალაგოს, ვიდრე აწარმოოს საქონელი და მომსახურება ბაზირების ქვეყანაში და იქედან განახორციელოს ექსპორტი საგარეო ბაზრებზე. უცხოური ინვესტიციებისათვის მიმღები ქვეყნის მიმზიდველობა განისაზღვრება ბუნებრივი რესურსების სიუხვით, გარდა ამისა, ეკონომიკური და სოციალური ფაქტორებით, როგორცაა, მაგალითად, ბაზრის ზომა და სტრუქტურა, ბაზრის ზრდის პერსპექტივები და განვითარების ხარისხი, კულტურული, სამართლებრივი, ინსტიტუციური გარემო და შიგა პოლიტიკა. საინვესტიციო პოლიტიკის შეფასებისას მნიშვნელოვანია განისაზღვროს ინვესტირება მოტივაციის მიხედვით.

მოტივაციის მიხედვით კლასიფიკაციისას პუი-ებს საფუძველად უდევს სამი ძირითადი მოტივი ორიენტირებული:

- 1) ბუნებრივ რესურსებზე;
- 2) უცხოურ ბაზრებზე და

### 3) ეფექტიანობაზე ორიენტირებული მოტივი

**ბუნებრივი რესურსებზე ორიენტირებულ პუი-ებს** არაერთგვაროვანი ზეგავლენა აქვს რეციპიენტი ქვეყნების ეკონომიკაზე. მაგალითად, ნავთობისა და მინერალების მოპოვება ხელს უწყობს მნიშვნელოვანი საექსპორტო მოგების მიღებას, მაგრამ ამასთანავე, გააჩნია შემდეგი შეზღუდულობა – სექტორების მიხედვით იძლევა მინიმალურ დამატებულ ღირებულებას მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკისთვის. იმ შემთხვევაში, როდესაც ამგვარი პუი-ები მიმართულია სოფლის მეურნეობის დარგებზე ან თევზჭერაზე, ამან შეიძლება გამოიწვიოს ვაჭრობის ზრდა და კავშირი მიმწოდებლებთან, ადგილობრივ და რეგიონულ სუპერმარკეტების ქსელებთან, რაც იწვევს ტექნოლოგიების გადაცემას. უამრავი საწარმო განვითარებადი ქვეყნებიდან ცდილობს მოიძიოს ბუნებრივი რესურსები მთელი მსოფლიოს მასშტაბით, როგორცაა ნავთობი, მინერალები, სხვა ნედლეული და მასალები. ბუნებრივ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გარდა, ტრანსნაციონალური ორგანიზაციები (ტნკ) ხელს უწყობს ადგილობრივ საწარმოებს, მოახდინონ წარმოების ინერნაციონალიზაცია მსოფლიო ბაზარზე. მაგალითად, 2008 წელს ბრაზილიურმა სამთო მწარმოებელმა კომპანია “ვალემ” შეიძინა უმსხვილესი ნიკელის მომპოვებელი და გადამამუშავებელი კანადური კომპანია “ინკო”, რაც აფართოებს საწარმოს საქმიანობას ჩრდილოეთ ამერიკაში, ხოლო 2010 წელს ინდურმა ნავთობგადამამუშავებელმა კომპანია “რელიანს ინდუსტრი ლთდ“-მა 3.5 მილიარდ დოლარად შეიძინა ფიქალისგან წარმოებული ბუნებრივი გაზის აქტივები ამერიკული კომპანია “ატლას ენერჯიდან”. აღნიშნული გარიგებით ინდური კომპანია უპირატესობას ფლობს თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისებაში, იმისათვის, რომ მოიპოვოს ფიქალისგან წარმოებული გაზი, რომელიც არის ახალი, უფრო ეფექტიანი საწვავი წიაღისეული, სხვა ხელმისაწვდომ საწვავ საშუალებებთან შედარებით. [55]

ამავეს ადასტურებს ქართული თხილისა და "ფერერო როშეს" ისტორია- 2007 წლის შემდეგ, რაც საერთაშორისო კომპანიამ დაიწყო ინვესტირება თხილის ბიზნესში, ამ პროდუქტის ექსპორტი 280%-ით გაიზარდა და დღეისათვის მთლიანი ქართული ექსპორტის უმსხვილეს ათეულში შედის.

### დიაგრამა 3.1 თხილის ექსპორტის დინამიკა წლების მიხედვით



თხილის ექსპორტმა მკვეთრად გადააჭარბა თვით ისეთი ტრადიციული დარგების (რუსეთის ემბარგომდე) ექსპორტის მოცულობას, როგორცაა ღვინო და მინერალური წყალი.

უცხოურ ბაზრებზე ორიენტირებული პუი-ების ერთ-ერთი მიზანია თავი აარიდოს საიმპორტო ბარიერებს, დისკრიმინაციულ სამთავრობო პოლიტიკას და მაღალ სატრანსპორტო დანახარჯებს. ასეთი ტიპის პუი-ებს იზიდავს მიმღები ქვეყნის მასშტაბი და ზრდის პერსპექტივა. ამჟამად ეს ინტერესი შესაძლოა გახდეს თავისუფალი ვაჭრობა ევროპასთან.

XX საუკუნის 60-70-იან წლებში ქვეყნების უმეტესობა ახორციელებდა იმპორტშემცველ პოლიტიკას, ამავე პერიოდში უცხოური ფირმებისთვის უპირატესი მოტივი იყო, განეხორციელებინათ ინვესტიცია განვითარებადი ქვეყნების წარმოების სექტორში, რამაც ომის შემდგომ პერიოდში ზეგავლენა მოახდინა და ხელი შეუწყო ევროპაში ამერიკული ინვესტიციების ზრდას გადამამუშავებელ სფეროში. ბოლო დროს რეგიონული დაჯგუფებების ინტეგრაციამ სტიმული მისცა ინვესტიციების მნიშვნელოვან ზრდას, რაც აძლევს მათ საშუალებას, მოემსახუროს გადიდებულ ბაზრებს.

უცხოურ ბაზრებზე ორიენტირებულ პუი-ებს გააჩნია დადებითი შედეგი მასპინძელი ქვეყნების ეკონომიკისთვის, რაც გამოიხატება მოწინავე ტექნოლოგიების გადაჩვენით, განსაკუთრებით მომსახურების სფეროში (მაგალითად, ორგანიზაციული

და მართვის უნარი, გამოცდილება მომსახურების სფეროში, ბაზრის (კოდნა). აღნიშნულის ტრანსფერტი შეიძლება განხორციელდეს პირდაპირ – ტრენინგების ან არაპირდაპირ – დემონსტრირების გზით.

საწარმოების ინტერნაციონალიზაცია დიდადაა დამოკიდებული იმ ქვეყნებისა და რეგიონების ბიზნესგარემოსა და პოლიტიკაზე, სადაც ფირმა ახორციელებს ძირითად საქმიანობას. საწარმოები განვითარებადი ქვეყნებიდან მუდმივად სწავლობენ მათ შესაძლებლობებს უცხოურ ბაზარზე იმისათვის, რომ გააფართოვონ მათი საქმიანობა, რაც, თავის მხრივ, ეხმარება კომპანიებს, შეამცირონ რისკი, რომელიც დაკავშირებულია შეზღუდულ ბაზარზე საქმიანობასთან. სავაჭრო ლიბერალიზაციამ გაზარდა კონკურენცია და შეამცირა მოგება შიგა ბაზრებზე, მისცა მათ საქმიანობის საშუალება გაფართოებულ ბაზრებზე. თანამედროვე პერიოდში.

**ეფექტიანობაზე ორიენტირებული პუი-ების ფორმას** განვითარებადი ქვეყნებისთვის წარმოადგენს outsourcing(ინვესტირება ტექნოლოგიური სიახლეების მოპოვების მიზნით), რომელიც ეფუძნება ცოდნასა და მაღალ მწარმოებლურობას, ვიდრე იაფ სამუშაო ძალას. ასეთი ტიპის პუი-ები ძირითადად კონცენტრირებულია ინდუსტრიულ ქვეყნებზე. ამერიკული ტნკ-ები სარგებლობენ ასეთი ტიპის ინვესტიციებით, რომელსაც ძირითადად მიმართავენ ისეთ დარგებში როგორცაა ავტომობილების წარმოება, ელექტრონიკა და პერსონალური კომპიუტერები. outsourcing-ის ეს ფორმა წარმოადგენს ორიგინალურ ტექნოლოგიურ ადჭურვილობას, სადაც განვითარებადი ქვეყნის ფირმა ამარაგებს ტნკ-ებს საბოლოო პროდუქციით და სარგებლობს მათი ბრენდის სახელით. დღეისათვის არსებული ბიზნესგარემო ხასითდება გაზრდილი კონკურენციით, კორპორაციები ცდილობენ, თავისი ბიზნესი უფრო ეფექტიანად მართონ, გაზარდონ მწარმოებლურობა და მოახდინონ საქმიანობის ინტერგრირება ვერტიკალურად ან ჰორიზონტალურად.

განვითარებადი ქვეყნების ფირმები ცდილობენ ხელახლა შეაფასონ მათი შიგა საქმიანობები და როლი გლობალური ღირებულებების შექმნის პროცესში. ისინი ახდენენ ინვესტირებას განვითარებულ ბაზრებზე, რათა მიაღწიონ ეფექტიანობას მათი მიმდინარე საქმიანობის ინტეგრირების გზით, გარდა ამისა, მოახდინონ პროდუქციის ადაპტირება საერთაშორისო სტანდარტებთან.

ეფექტიანობაზე ორიენტირებული ინვესტიცია მიმღებ ქვეყანას წარუდგენს წარმოების ახალ ტექნოლოგიას და ამით ზრდის მასპინძელი ქვეყნის კონკურენტულ უპირატესობას, გარდა ამისა, მენეჯერულ გამოცდილებას. უკმნის რეციპიენტ ქვეყანას ხარისხის, საიმედოობის კარგ რეპუტაციას. უზრუნველყოფს მიმღები ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდას შუალედური პროდუქციის ხარჯების შემცირებით, რაც ახალისებს პროდუქციის ექსპორტს, საბანკო საქმეს, დაზღვევას, ბიზნესს, ტრანსპორტს, ელექტროენერგიას და ტელეკომუნიკაციებს [55]

ჩვენი აზრით საქართველოს აქტივი ამ შემთხვევაში უნდა იყოს რესურსებზე და უცხოურ ბაზრებზე ორიენტირებული პუი-ების სტიმულირება. საგადასახადო და ბიზნეს-გარემო საკმაოდ ნორმალური და მიმზიდველია დღეისათვის, საჭიროა მხოლოდ ინვესტორების მოძიებისა და ინფორმირებისათვის აქტივობების განხორციელება. ბიზნეს-ფორუმებში მონაწილეობა ქვეყნის სახელით, აგრეთვე თავად ქვეყანაში ანალოგიური ფორუმების მოწყობა და ა.შ.

და ბოლოს, მნიშვნელოვანია სწორი პარიტეტის დაცვა, რათა არასწორი სუბსიდირებით არ მივიღოთ ჩაკეტილი, მონოპოლისტური და არაეფექტიანი ბაზარი.

დასკვნის სახით კი ვიტყვოდი, რომ, დარგის აღორძინების ყველაზე რეალური გზად მიგვაჩნია ვაწარმოოთ მაღალხარისხიანი და პრემიუმ სეგმენტზე გათვლილი პროდუქტი, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება მაღალი კლასის სეგმენტზე და თავის მცირე ნიშას იპოვის ევროპის ბაზრებზე.

ბევრ ნაშრომში საქართველოს რელიეფი განხილულია როგორც უარყოფითი მოტივი და აგრარული სექტორის შემაფერხებელი ფაქტორი, ჩვენ კი მყარად ვართ დარწმუნებული, რომ ის ბიო-მრავალფეროვნება, რომელიც აქვს საქართველოს და კონკრეტული რეგიონების კლიმატი ქმნის სწორედაც რომ კონკურენტულ უპირატესობას რომელიც კონკრეტული პროდუქციის წარმოებაში.


ვფიქრობთ, საქართველოში ვერასოდეს მოხერხდება იმდენად იაფი და ბევრი ხილ-ბოსტნეულის თუ სხვა პროდუქციის წარმოება, რომ მთლიანად გააჯეროს ქართული ბაზარი და კონკურენცია გაუწიოს ანალოგიურ, იაფფასიან იმპორტულ კონკურენტებს. მით უფრო რომ, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობა და ევროკავშირთან ღრმა და ყოველისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ




ხელშეკრულებები ერთგავრად ზღუდავს სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაში პროტექციონისტული მეთოდების გამოყენების შესაძლებლობას.

ამ მოსაზრებას ადასტურებს ქვემოთ მოცემული ექსპორტის დიაგრამა, სადაც თვალნათლივ ჩანს, რომ მეტ-ნაკლებად მაღალი პროცენტი და მზარდი გაყიდვებით ხასიათდება სწორედ ის პროდუქტები, რომელთა წარმოება-რეალიზებაში ჩართულები არიან უცხოელი ინვესტორები. [136]

**დიაგრამა: 1.9 აგრარული პროდუქტის ექსპორტის დინამიკა**



**დიაგრამა: 1.10 აგრარული პროდუქტის ექსპორტის დინამიკა**



წყარო: <http://faostat.fao.org>

როგორც ვხედავთ, აგრარული პროდუქტის სიის სათავეში მოექცა თხილი და თვით ისეთი ტრადიციული დარგებიც კი გადაფარა, როგორცაა ღვინისა და მინერალური წყლების ექსპორტი. ამის მიზეზად მხოლოდ რუსეთის ემბარგოს ვერ დავასახელებთ: როგორც დიაგრამიდან ჩანს, 2011 წელს თხილის ექსპორტმა მკვეთრად გადააჭარბა დამოუკიდებლობის პერიოდში ღვინის ექსპორტის მაქსიმუმს. მომდევნო წლებში ეს მონაწილე მკვეთრად გაიზარდა და დღეისათვის თხილის ექსპორტი საქართველოს მთლიანი ექსპორტის უმსხვილეს ხუთეულშია წარმოდგენილი 12%-ით. [137] ეს მაჩვენებელი დიდადაა დამოკიდებული საქართველოში "ფერერო როშეს: საქმიანობაზე. ყოველ წელს "ფერერო" 75 ქვეყანაში 180 000 ტონა "ნუტელას" ყიდის. "ნუტელაზე" მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, "ფერეროს" ყოველწლიურად 25 000 ტონაზე მეტი თხილი სჭირდება. აქედან

საშუალოდ 18 500 ტონას ის საქართველოში მოიპოვებს და პირველადად გადაამუშავებს.

ამ კომპანიამ თხილის ბიზნესში 2007 წელს 6 მილიონი ევროს ოდენობის ინვესტიცია ჩადო და დღეს მთელს მსოფლიოში მათ ყველა პროდუქტში უმეტესად ქართული თხილი და ნუში გამოიყენება. მათი "დამსახურებაა" ისიც, რომ 2010 წელს საქართველომ თხილის მწარმოებელთა და ექსპორტიორთა ათეულში მე-6-ე ადგილი დაიკავა და თურქეთსაც კი გადაასწრო. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთში 1 კგ. თხილის გამოსავლიანობა საშუალოდ 500გრამამდეა, ხოლო საქართველოში აღნიშნული მაჩვენებელი 400გრ. არ აღემატება. ამის მიზეზი სავარაუდოდ თხილის მოვლისას დაშვებული შეცდომებია და ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად ფერერომ დაიწყო კონფერენციებისა და თხილის ტექნოლოგების გადამზადების პროგრამები. და კიდევ ერთი, ფერერომ დაიწყო ქართული თხილისა და ნუშის ნერგების ექსპორტი.

ზემოაღნიშნულ მოსაზრებას კიდევ უფრო ამყარებს ისეთი წარმატებული საინვესტიციო პროექტი ღვინის სექტორში, როგორცაა ღვინის მწარმოებელი კომპანია "ხოხბის ცრემლები":

"ცოტა ღვინო და შესაბამისად, ცოტა პრობლემა მაქვს", - ამბობს კომპანიის დამფუძნებელი ჯონ ვურდემანი - "მთავარი, სწორი მიდგომაა. მე ბაზარს მისთვის ეგზოტიკური, უცხო და საინტერესო პროდუქცია შევთავაზე: ღვინოს ყურძნის ადგილობრივი და უნიკალური ჯიშებიდან და ტრადიციული კახური მეთოდით ვაყენებთ. ვენახი ორგანულია, რასაც უცხოელი მომხმარებლისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

"ხოხბის ცრემლების" ღვინო არ არის "ღვინო ყველასთვის". ეს არის ღვინო გურმანებისთვის, ღვინის გურმანებისთვის – მისთვის, ვინც იცის ღვინის ფასი, მისი დაყენების და მოხმარების წესები და უნდა, რომ თავისი ცოდნა და თვალსაწიერი ამ სფეროში კიდევ უფრო გაამდიდროს. ვფიქრობთ, რომ ქართველმა მეღვინეებმა უცხო ბაზარს ორიგინალური პროდუქტი უნდა შესთავაზონ. მასობრივი და იაფი ღვინის წარმოებაში საქართველო ჩილეს და ავსტრალიას კონკურენციას ვერ გაუწევს. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს პროდუქციის სწორ წარდგენასაც. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ღვინო ღვინის ჟურნალისტებმა, კრიტიკოსებმა და ბლოგერებმა შეაფასონ".

ეს კომპანია ეძებს და აღადგენს ძირძველი ქართული ჯიშის ვენახებს, რომლებიც კონკრეტულ სუბ-კლიმატებში ხარობენ და იძლევიან ნაყოფს, ამუშავებს მას უძველესი ქართული, ტრადიციული მეთოდებით, აძველებს ქვევრში და ყიდის შესაბამის ფასად...

ჩვენ იაფფასიანი და გენმოდირიცირებული სიმინდითა და პომიდორით კი არ უნდა დავაბინძუროთ ჩვენი ეკოლოგიურად სუფთა გარემო (მათ წარმოებაში ჩვენ ვერ შევეჯიბრებით დიდ ქვეყნებს, თუნდაც მიწის რესურსის სიმცირის გამო), რომელიც უკიდურესი სიღარიბისა და ტექნიკური ჩამორჩენილობის გამო გადაურჩა დაბინძურებას, არამედ მასზე მცირე რაოდენობით, მაგრამ მაღალხარისხიანი, ბიოლოგიურად სუფთა და გათვითცნობიერებულ მომხმარებელზე ორიენტირებული პროდუქცია უნდა ვაწარმოოთ.

შესასწავლია ისეთი პროდუქტების კონკურენტუნარიანობა, როგორცაა თუშური მატყლი- უნიკალური სტრუქტურის მატყლი მთელს მსოფლიოში, არადა ამაზე არავინ საუბრობს.

საკმაოდ მაღალი კვებითი ღირებულება აქვს ქართულ ცხვარს, მაგრამ საძოვრების სიმცირის და სიძვირის გამო, მისი ფასიც მკვეთრად იზრდება და კონკურენტუნარიანობას კარგავს ეს პროდუქტი.

ეთერზეთების ძალიან მაღალი შემცველობით გამოირჩევა საქართველოში მოყვანილი მწვანელიც. საბჭოთა დროსაც გვქონდა ეთერზეთების ქარხანა, სადაც მთელს საბჭოთა კავშირში უნიკალური ეთერზეთები მზადდებოდა.

გამოსაკვლევია ქართული ჩაისა და ციტრუსის შესაძლო ბაზრების მოცულობა და შესარჩევია კონკურენტუნარიანი ნიშა მათი რეალიზებისათვის.

სერიოზულადაა გადასახედი აგრარული პროდუქტების წარმოების ის რუკა, რომელიც საბჭოთა დროს არსებობდა და ინერციით დღემდე მოგვეყვება- ჩაი, ციტრუსები, 2-3 სახეობის ყურძენი, გორის ვაშლი და ატამი...

სხვადასხვა მეცნიერთა მიერ გამოითქვა მოსაზრებები, რომ ქართული ჩაი არაკონკურენტუნარიანია სხვა ანალოგებთან შედარებით, ევროპული წესით დაყენებული ქართული ღვინოც რომ ვერ სარგებლობს დიდი პოპულარობით, გაყიდვების სტატისტიკაც გვაჩვენებს-მსოფლიოს 40 ქვეყანაში ერთად ვერ ვყიდით იმდენ ღვინოს, რამდენსაც მარტო რუსეთში ვყიდით 2005 წელს.

მიგვაჩნია, რომ დარგის შესაბამისი ექსპერტების მიერ უნდა მოხდეს რეგიონების მიხედვით კონკურენტუნარიანი და რენტაბელური პროდუქციის გამოვლენა და შემდგომ მათი წარმოების უმაღლესი სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან. ვფიქრობთ სწორედ ეს უნდა იყოს ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი კოოპერატივების სტიმულირების შემდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ინიციატივაც ისეთივე ნაკლებეფექტიანი დარჩება, როგორც წინა მცდელობები.

აგრარულ წარმოებაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა შემდეგი მიმართულებებით უნდა განხორციელდეს:

1. საკუთრების ფორმების თანაფარდობის გაანალიზება;
2. სწორი დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება
3. აგრარული პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების პერსპექტივები;
4. კონკურენტუნარიანი დარგების და ქვესექტორების ან პროდუქტების გამოვლენა;

როგორ დავაინტერესოთ მწარმოებელი სწორედ იმ პროდუქტების წარმოებით, რომელიც განვითარების ამა თუ იმ სტადიაზე ესაჭიროება საზოგადოებას, უფრო ეკონომიკური და ხელსაყრელია ქვეყნისათვის და საბოლოო ანგარიშით თვით მწარმოებლისათვისაც?

ამ პრობლემას ყველა ქვეყანაში ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით წყვეტენ, მაგრამ მიდგომა პრაქტიკულად ყველგან ერთია, კერძოდ, ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში სახელმწიფო ატარებს მიზანმიმართულ პროტექციონისტულ პოლიტიკას ან მთელი აგრარული სექტორის, ან მისი ცალკეული დარგების მიმართ. ამასთან, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისადმი მხარდამჭერი პროტექციონისტული პოლიტიკა რიგ ქვეყნებში კანონის რანგშია აყვანილი და როგორც წესი, ხანგრძლივი პერიოდისთვისაა გამიზნული.

ჩვენს ქვეყანაში კი წინა თავებში აღწერილი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო მსგავსი პოლიტიკა არ შემუშავებულა და ბუნებრივია, არც ხორციელდება.

ეკონომისტების აზრით, სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია მაკროეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შემუშავება და ეკონომიკის პრიორიტეტულ განვითარებასთან ერთად ბაზარზე კონკურენტული გარემოს შექმნა

და მისი დაცვა უნდა იყოს. რაც საჭიროებს რეგულირების საბაზრო მექანიზმების ფორმირებას და მისი მოქმედებისათვის კეთილსაიმედო გარემოს შექმნას.

მუდმივად იწვევს აზრთა სხვადასხვაობას ის საკითხი, თუ რა დონეზე და როგორ უნდა ჩაერიოს სახელმწიფო ბაზრის რეგულირებაში, ისე, რომ არ შეუშალოს ხელი ბუნებრივ ეკონომიკურ პროცესებს, არ შეზღუდოს ბიზნესის თავისუფალი განვითარება და ამავედროულად გააძლიეროს მისთვის პრიორიტეტული მიმართულებები და დაიცვას მომხმარებლების უფლებები.

საქართველოს საბჭოთა წარსულში გარკვეული წონასწორობა ნაწილობრივ მიიღწეოდა სახელმწიფო საგვემო კომიტეტის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტისა და ფასების სახელმწიფო კომიტეტების მეშვეობით. აღნიშნული სახელმწიფო ინსტიტუტები, როგორც საბაზრო ეკონომიკისათვის შეუსაბამო ორგანოები გაუქმებულია და სამართლიანადაც, მაგრამ სანაცვლოდ საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი მსგავსი წონასწორობის სტრუქტურები: სასაქონლო ბირჟები, სავაჭრო სახლები, კომერციული ცენტრები და სხვა, საქართველოში ჯერ არ ჩამოყალიბებულა. მათ გარეშე კი ეფექტიანი ბაზრის ფუნქციონირება, საფინანსო, ფულად-საკრედიტო, საინვესტიციო და საფასო პოლიტიკის შემუშავება და გატარება პრაქტიკულად შეუძლებელია. გარდა ამისა, შეუძლებელია გადამამუშავებელი მრეწველობის სრულყოფილად ფუნქციონირება და სასურსათო პროდუქტებზე მოთხოვნა-მიწოდების მაღალი კონცენტრაციის უზრუნველყოფა, კარგად ორგანიზებული, სრულფასოვანი საბითუმო ბაზრისა და შემნახავი მეურნეობის განვითარების გარეშე.

საბირჟო მექანიზმის გამოყენება მწარმოებელს აძლევს საშუალებას თვითონვე მიიღოს გადაწყვეტილება პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მასშტაბების შესახებ. იგი საბაზრო ფასწარმოქმნის მექანიზმის გამოყენებით სოფლის მეურნეობისა და მისი მომსახურე დარგების, სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას შორის საქონლის ექვივალენტური გაცვლის გარანტიას იძლევა. ამასთან, როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლები, შუამავალი მყიდველები და გამყიდველები დაზღვეული ხდებიან ფასების მერყეობით გამოწვეული დანაკარგებისაგან, რადგან ფიუნქსიური გარიგებით პრაქტიკულად მომავალი წლის მოსავლის წინასწარი ანაზღაურება ხდება. ეს კი საშუალებას

აძლევს მწარმოებელს შეიძინოს მისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები და განავითაროს გარანტირებული წარმოება საბანკო კრედიტების გარეშე, რაც ასე მტკივნეული და რთული პრობლემაა ქართულ აგრარულ სექტორში.

სწორედ ამიტომ, საქართველოს აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხი სწორედ ანალოგიური ორგანიზაციების, ფერმერული გაერთიანებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნის სტიმულირება უნდა იყოს.

მაგრამ ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელია საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგების გარეშე, თუმცა ამ საკითხს მოგვიანებით შევეხებით, რადგან ქვეყანაში სერიოზული პრობლემაა აგრარული სექტორის ნორმალური ფუნქციონირებისა და აუცილებელი რეგულირებისათვის საჭირო ნორმატიული აქტებისა და საკანონმდებლო ბაზის უქონლობა.

ნებისმიერი სექტორის განვითარებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია ფინანსების უზრუნველყოფა. შესაბამისად, აგრარული პოლიტიკაც უნდა მოიცავდეს ღონისძიებებს დარგში ინვესტიციების მოზიდვის, იაფი კრედიტისა და სახელმწიფო სუბსიდიების განხორციელებისათვის. რა თქმა უნდა, კრედიტორები უნდა იყვნენ ბანკები და საფინანსო ორგანიზაციები, ხოლო სახელმწიფო დაუზღვევს მათ რისკებს ან შესაძლებელია პროცენტის თანადაფინანსებაც ფერმერებისათვის. მნიშვნელოვანი პრობლემაა აგრეთვე საგარანტიო ქონების არ არსებობა და მიწის ფასი.

აგრარული პოლიტიკა აუცილებლად უნდა მოიცავდეს სოფლად მცხოვრებთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისა და რეგიონებში ცხოვრების ღონის ასამაღლებელ ღონისძიებებს. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფა რეგიონულ დონეზე, ადგილობრივი ფონდების მიზნობრივი მიმართვა კონკრეტული აუცილებლობიდან გამომდინარე. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა, უნდა იზრუნონ ინვესტიციების მოსაზიდად კონკრეტული ინრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის. გარდა ამისა, სახელმწიფო მართვის ორგანოების ხელშეწყობით შესაძლოა მოხდეს სხვადასხვა ტიპის წახალისება კომპანიებისათვის, რეგიონული ფილიალების განსავითარებლად. ეს

გამოიწვევს რეგიონებში დასაქმების ზოგადი მაჩვენებლების ზრდას და ახალგაზრდა თაობის რეგიონის ცხოვრებაში ინტეგრირებას.

საქართველოში ამჟამად ნორმატიული აქტების შექმნა მეტწილად ატარებს ფრაგმენტულ, ხშირად კი წინააღმდეგობრივ ხასიათს. სერიოზული ნაკლოვანებებია საფინანსო-საკრედიტო მექანიზმში, აგრარული სექტორის საქმიანობის რეგულირებაში, სახელმწიფო, კოოპერაციული და ფერმერული მეურნეობების ფუნქციონირებაში, კოოპერატივების ორგანიზაციაში. ამასთან აუცილებელია დამუშავდეს ახალი ნორმატიული დოკუმენტები, რომლებიც წაახალისებენ აგრარულ სექტორში რეფორმის მიმდინარეობას და ხელს შეუწყობს რეფორმისათვის სასურველი იურიდიული ფორმების ჩამოყალიბებას ბიზნესში.

აგრარული პოლიტიკის სწორი კურსის გატარებით უნდა ავამოქმედოთ ეკონომიკური ზრდის ისეთი ბერკეტები, როგორცაა: მიწა, კაპიტალი, შრომა, მეწარმეობა და სახელმწიფოს მართვა. სამწუხაროდ ჩვენს ქვეყანაში აგრარული პოლიტიკა არასწორი კურსით წარიმართა და არ მოხდა ზემოთ დასახელებული ბერკეტების კომპლექსურად ამოქმედება.

საქართველომ აგრარულ სექტორში საბაზრო სტრუქტურების ფორმირება წარმატებული და მსგავსი ეკონომიკური ისტორიის მქონე ქვეყნების გამოცდილების გაზიარებით უნდა მოახდინოს, თუმცა გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ პირდაპირი გადმოღება არასოდეს იძლევა შესაბამის შედეგს. აუცილებლად უნდა მოხდეს ადგილობრივი ბაზრის შესწავლა და რეკომენდირებული მეთოდების ეფექტურობის ანალიზი, მის დანერგვამდე. ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს გლეხური და ფერმერული მეურნეობების განვითარებას ისეთი ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით, როგორცაა: გადასახადები, ფასები, მიზნობრივი სახელმწიფო სუბსიდიები მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად და სხვა. მხარი უნდა დაუჭიროს სოფლად საქონელმწარმოებლებს, რომ მათ აამაღლონ მწარმოებლურობა და გადაიქცნენ რენტაბელურ ფერმერებად, რომელიც რეალურად ქმნის დოვლათს.

სახელმწიფოს ფუნქციაა აგრეთვე, ხარისხის დაცვა და უმუშევრობის შემცირება. დიდ როლს თამაშობს აგრარულ სექტორში დასაქმებულთა ცოდნის დონის ამაღლება ბიზნესის მართვისა და მარკეტინგის სფეროებშიც. თუმცა ეს



ფუნქცია საგარეუდოდ არასამთავრობო ან კომერციულმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა იტვირთონ და საჭიროა სახელმწიფოს მიერ მათი საქმიანობის სტიმულირება.

მნიშვნელოვანი პრობლემაა აგრეთვე თანამედროვე გლობალური ბაზრის მოთხოვნების არ ცოდნა. ამ პრობლემის გადაჭრის ორი გზაა-ფართომასშტაბიანი კვლევის წარმოება ან საერთაშორისო ინვესტიციების მოზიდვა ან ორივე ერთად. საბჭოთა დროს ტარდებოდა კვლევები, თუ რომელი კულტურის მოყვანაა უფრო ეფექტიანი ამა თუ იმ რეგიონში. თუმცა ეს საკმარისი არაა. საჭიროა თანამედროვე, გლობალური ბაზრის მოთხოვნადი პროდუქტების გამოვლენა და მათი საქართველოში მოყვანის შესაძლებლობის განსაზღვრა. აგრეთვე აუცილებელია ტრადიციული სახეობების კონკურენტუნარიანობის გამოვლენა.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროპულ, განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებშიც კი, სადაც საბაზრო ურთიერთობებს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვთ, აგრარულ სექტორში ფართოდ გამოიყენება ბაზრისა და მათ შორის, ფასების სახელმწიფოებრივი რეგულირების სხვადასხვა ფორმა და მეთოდი. საქართველოსათვის კი, აღნიშნული დარგის სახელმწიფოებრივი რეგულირება არათუ სასურველი, არამედ აუცილებელი ელემენტია.

აგრარულ სექტორში სახელმწიფო საფასო პოლიტიკა ხორციელდება გარანტირებული და მიზნობრივი ფასების გამოყენების საშუალებით.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, ნედლეულის და სურსათის ბაზარზე ეკონომიკური ურთიერთობების საფუძველს წარმოადგენს საბაზრო (შეთანხმებით) ფასები, რომლებიც ყალიბდება მოთხოვნისა და მიწოდების ზეგავლენით, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში პროდუქციის ბაზრის რეგულირების და საქონელმწარმოებელთა მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო იძულებულია გამოიყენოს გარანტირებული და მიზნობრივი ფასები. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გარანტირებული ფასები გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ საშუალო საბაზრო ფასი დაბალია გარანტირებულზე.

გარანტირებულმა ფასმა უნდა უზრუნველყოს სასოფლო-სამეურნეო საქონელმწარმოებლების მიერ მოგების მიღება, რომელიც საკმარისია გაფართოებული აღწარმოებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ გარანტირებული

ფასები შეიძლება გამოყენებულ იქნეს გარკვეული სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე შეზღუდული მოცულობით. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, ნედლეულის და სურსათის ჩამონათვალი, რომელზეც წესდება გარანტირებული ფასები, გარანტირებული ფასების დონე, მისი ინდექსაცია და აგრეთვე გარანტირებული ფასების გამოყენების წესი უნდა დადგინდეს ხელისუფლების მიერ.

აგრარული სექტორის სახელმწიფო რეგულირების ძირითადი მიმართულებები უნდა გახდეს:□

- სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალური ბაზრის ფორმირება და ფუნქციონირება;
- გადამამუშავებელი მრეწველობისა და შემნახველი სამაცივრე სისტემების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
- შეღავათიანი ფინანსებით სექტორის უზრუნველყოფა;
- საერთაშორისო ბაზარზე ქართული პროდუქციის შესაძლებლობების შეფასება და ექსპორტის სტიმულირება;
- რეგიონებში სოციალური სფეროს განვითარება;
- საინვესტიციო საქმიანობის მხარდაჭერა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირება;
- სასოფლო-სამეურნეო კულტურების და პირუტყვის მავნებლებთან და დაავადებებთან ბრძოლა;
- ფერმერებისათვის ახალი და თანამედროვე, ეფექტიანი და მაღალმოსავლიანი, მსოფლიო ბაზარზე მოთხოვნადი სახეობების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- ტრადიციული ქართული და ენდემური ჯიშების კონკურენტულობის კვლევა და მათი პოპულარიზაცია;
- ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება, სამელიორაციო და დასაშრობი სისტემების შენახვა;
- გარემოს დაცვა და სხვა, რომელთა ხარჯებს, კერძო, მცირე, ოჯახური მეურნეობა დამოუკიდებლად ვერ გაწევდება;

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ მხედველობაში მივიღებთ ქართულ რეალობას, ყველა ამ ხარჯის დაფარვას, ვერც სახელმწიფო ბიუჯეტი მოახერხებს უახლოესი რამოდენიმე წლის განმავლობაში, შესაბამისად საჭიროა დამატებითი რესურსების მოძიება დარგის დაფინანსებისათვის. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, ევროკავშირის ქვეყნები გამოყოფენ ფულად ტრანშებს აგრარული სექტორის განვითარებისათვის, რომელიც მკაცრად გამიზნულად უნდა დაიხარჯოს, გარდა ამისა, უნდა მოხდეს ყველა რესურსის გამოყენება უცხოელი ინვესტორების მოსაზიდად. საერთაშორისო კორპორაციებს გააჩნიათ მსოფლიო ბაზრის შესახებ გაცილებით მეტი ინფორმაცია და ფლობენ მარკეტინგულ ტექნიკას ამ ბაზრებზე შესაღწევად, ფინანსებს იქ დასამკვიდრებად და აქ წარუბის განვითარებით ისინი ხდებიან ცოდნის იმპორტიორები ქვეყანაში.

საბაზრო ურთიერთობათა მარეგულირებელი უნდა გახდეს საგადასახადო სისტემა. ძირითადი ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც მთავრობა ზემოქმედებს ქვეყნის ეკონომიკაზე ეს არის საგადასახადო პოლიტიკა. საგადასახადო სისტემის როლი და მნიშვნელობა აისახება თვით გადასახადების ფუნქციაში. გადასახადების ფისკალური ფუნქციის მეშვეობით წარმოიშობა სახელმწიფოს ფულადი ფონდები და იქმნება მისი ფუნქციონირებისათვის მატერიალური პირობები. ამ ფუნქციის მეშვეობით წარმოებს ეროვნული შემოსავლის ნაწილის განსახელმწიფოებრიობა ფულადი ფორმით, რაც ქმნის ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევისათვის ობიექტურ წინაპირობებს. სწორედ ამიტომ გადასახადების ფისკალური ფუნქცია მნიშვნელოვნად განაპირობებს მისი მარეგულირებელი ფუნქციის განვითარებას. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ გადასახადები აქტიურად მონაწილეობენ ეროვნული შემოსავლის გადანაწილებით პროცესში, ასტიმულირებენ ან ანელებენ მას, აძლიერებენ ან ასუსტებენ კაპიტალის დაგროვებას, აფართოებენ ან ამცირებენ მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობას. [35]

საგადასახადო პოლიტიკით შესაძლებელია გადაწყდეს არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური, ეკოლოგიური და სხვა საკითხებიც, ამის მაგალითები ხშირად გვხვდება განვითარებული ქვეყნების საგადასახადო პრაქტიკაში. [36]

## თავი 2. ევროკავშირის აგრარული პოლიტიკა: შედეგები და წინააღმდეგობები

როდესაც ვსაუბრობთ ეკონომიკურ პოლიტიკაზე, უნდა განვიხილოთ არა მარტო ეკონომიკური ეფექტიანობის თეორიები, არამედ უნდა გავთვალთ მიმდინარე პოლიტიკური სიტუაციაც. რადგან ხშირად "პოლიტიკური სახეები ცვლიან ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს". თუმცა ხელისუფლებაში მყოფმა პოლიტიკოსებმაც შესაძლოა არამომგებიან პოლიტიკურ სვლად მიიჩნიონ საკმაოდ დასაბუთებული ეკონომიკური თეორია და არ შეცვალონ უკვე არსებული მანკიერი სისტემა, რომელსაც საზოგადოებრივი აზრი, ან თუნდაც გავლენიანი ლობისტური ჯგუფი უჭერს მხარს.

ზუსტად ანალოგიურ შემთხვევებს მოიცავს ევროპის აგრარული პოლიტიკა-სხვადასხვა დროს მიღებული საკანონმდებლო აქტები და შეთანხმებები იშვიათად ემთხვეოდა იმ დროს მიღებულ თუნდაც ყველაზე დასაბუთებულ ეკონომიკურ თეორიას ან კონკრეტული ეკონომიკური ანალიზის შედეგებს.

მუდმივად არსებობდა აგრარული სექტორის განვითარების სხვადასხვა მოდელები, რომლებიც დაფუძნებულია ტერიტორიული მოწყობის ან აგრარული სფეროს განვითარების პრინციპებზე. ევროპის ერთიანი აგრარული პოლიტიკის (ეეაპ) განვითარების 30 წლიან პერიოდში ყველა ეს თეორია ერთდროულად არსებობდა, თუმცა არათანმიმდევრულად გამოიყენებოდა და ხშირად მიღებული გადაწყვეტილებები ურთიერთსაწინააღმდეგო იყო. აგრარული სექტორის განვითარების ყველა კონცეფცია იქმნებოდა და ინერგებოდა ისეთი ინსტიტუციური, პოლიტიკური და სოციალური ძალების რთული პოლიტიკური თამაშების ფონზე, როგორცაა - ევროსაბჭო, ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთავრობები, სხვადასხვა ქვეყნების რეგიონული წარმომადგენლები, აგრარული და სასურსათო წარმოების სფეროში დასაქმებული ფერმერები, მათი გაერთიანებები და აგრარული საკითხებით დაინტერესებული ასოციაციები და სხვები. თუმცა გარდა პოლიტიკური ბატალიებისა, ნიშანდობლივია ისიც, რომ თავად მეცნიერთა აზრი და აგრარული პოლიტიკაა ცვალებადი და დინამიკური. მუდმივად ჩნდება ახალი მიდგომები, ახალი სტრატეგიები და ახალი კონცეფციები, თუ როგორია გამოსავალი კონკრეტულ სიტუაციაში. [131]

## 2.1. აგრარული სექტორის განვითარების თანამედროვე კონცეფციები

უკანასკნელი 30-35 წლის განმავლობაში, ევროკავშირის განვითარების ერთიანი აგრარული პოლიტიკის ფორმირების პერიოდში, "FAO"-ს ექსპერტები გამოყოფენ აგრარული სექტორის განვითარების 3 კონცეფციას:

1. **დარგობრივი განვითარების კონცეფცია**, რომლის ძირითადი ქვაკუთხედია აგრარული სექტორის, როგორც დარგის მუდმივი განვითარება და წინსვლა, ძირითადად აგროწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება წარმოების მოცულობის გაზრდის ან/და მისი დივერსიფიკაციის გზით.

ეს თეორია ყველაზე პოპულარული იყო 1980-იან წლებში და როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ მოდელის ძირითადი ქვაკუთხედია აგრო-წარმოების, როგორც ბიზნესის განვითარება. ტექნოლოგიური სრულყოფისა და მწარმოებლურობის ამაღლების გზით საწარმოო სტრუქტურების კონკურენტუნარიანობის ამაღლება. ამ მოდელის მიზნის ფორმულირება მოკლედ ასე შეიძლება მოვახდინოთ: "პროფესიონალური" სოფლის მეურნეობის განვითარება. რაც შეეხება თავად გეოგრაფიულ რეგიონს, მისი განვითარება ექვემდებარება "ბიზნესის" განვითარების ტემპებს, რადგანაც ძლიერი საწარმოო კომპლექსების გარეშე სოფლად მცხოვრებ ადამიანებს განვითარების სხვა შესაძლებლობები ნაკლებად აქვთ. სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიები აღიქმება, როგორც რესურსების ერთობლიობა აგრარული წარმოების განვითარებისათვის. [120]

ამ თეორიის ერთ-ერთი ნაკლი ისაა, რომ სოფლის მეურნეობა და სასურსათო სექტორი განიხილება მხოლოდ მაკროეკონომიკურ კონტექსტში, საბაზრო ეკონომიკაში ინტეგრაციის ფონზე, მათი შიგა სტრუქტურული ცვლილებები და გადაჯგუფებები კი მხოლოდ ძირითადი კონტექსტის ფონზე განიხილება; ხოლო ისეთი საკითხები, როგორცაა - ადგილობრივი განვითარება, სოფლის განვითარება, განსხვავება სხვადასხვა აგრარულ რაიონებს შორის და სხვა მსგავსი - საერთოდ ვერ ხვდება კონცეფციის ინტერესთა ჩარჩოში. თუმცა ამ მეთოდს ყოველთვის ყავდა ლობისტთა საკმაოდ გავლენიანი ჯგუფები, რომელთა წყალობითაც

თითქმის ყველა გადაწყვეტილება და შეთანხმება მოიცავდა სექტორის განვითარების ელემენტებს. პოლიტიკოსებს ხმები სჭირდებათ და ეს ხმები - სწორედ მოკლევადიანი რეგიონული განვითარების შედეგად მოდის და არა გრძელვადიან მომავალში ინვესტირებისაგან. [131]

2. **დაახლოების კონცეფცია** გულისხმობს ნაკლებგანვითარებული აგრარული რეგიონების მხარდაჭერის პოლიტიკას, ინდუსტრიულ რეგიონებთან ცხოვრების დონის გათანაბრებისათვის

ეს მოდელი ასაბუთებს ნაკლებ განვითარებული აგრარული რეგიონებისათვის დახმარების გაწევის აუცილებლობას.

ევროგაერთიანების ხელშეკრულების 158-ე პარაგრაფის თანახმად, თანამეგობრობა მისდევს «ეკონომიკური და სოციალური თანამშრომლობის გაძლიერების პოლიტიკას, ევროგაერთიანების, როგორც ერთი მთლიანის, ჰარმონიული განვითარების მისაღწევად. მისი მიზანია სხვადასხვა რეგიონების განვითარების დონის განსხვავებათა აღმოფხვრა და დეპრესიული რეგიონების (ოლქების), კუნძულების ან სულაც ქვეყნების დავალიანების შემცირება». ასეთი სოლიდარობის პრინციპის დანერგვით იგებენ არა მარტო ის ქვეყნები, რომელთაც ეხმარებიან, არამედ ისინიც, ვინც გასცემენ დახმარებას; წინააღმდეგ შემთხვევაში მათი ეკონომიკური სიტუაციაც შეიძლება გაუარესდეს.

ამ კონცეფციაში აგრარული რეგიონები განიხილება, როგორც ნაკლებგანვითარებული და ამიტომ აქცენტი კეთდება კონკრეტული რეგიონის პირდაპირ საჭიროებებზე.

განვითარების სტრატეგია გულისხმობს ბიზნესის დივერსიფიკაციას ამ რეგიონებში. რა თქმა უნდა ხდება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის სტიმულირება, მაგრამ ცხადია, რომ მხოლოდ მიწათმოქმედებით ან მეცხოველეობით შეუძლებელია მიღებული შემოსავალი გაუტოლდეს ეკონომიკის სხვა სფეროებში მიღებულ დონეს და ცხოვრების ხარისხი ვერ იქნება ინდუსტრიული რეგიონებთან მიახლოებული. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად ხდება ეკონომიკის ისეთი დარგების სტიმულირება, როგორიცაა- აგროტურიზმი, აგრარული პროდუქტების გადამამუშავებელი

მცირე მრეწველობის და მომსახურების სფეროს განვითარება თავად კონკრეტულ რეგიონებში. უფრო ხშირად ეს პოლიტიკა გამოიყენება მთიანი და ნაკლებშემოსავლიანი რეგიონების განსავითარებლად და ინფრასტრუქტურის მოსაწყობად.

ძირითად ინსტრუმენტად გამოიყენება პირდაპირი კომპენსაციები და სტრუქტურული მხარდაჭერის ელემენტები. მაგრამ საკმაოდ საინტერესოა კომპენსაციების გაჩვენი წესი- არასახარბიელო კლიმატური მოვლენების გამო მოსავლის დაზიანების ან შემცირების შემთხვევაში, კომპენსაციას იღებენ ამ ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები ფერმერები, რომლებიც იღებენ ვალდებულებას, გააგრძელონ მიწის დამუშავება, მინიმუმ 5 წელი. [131]

3. **რეგიონული განვითარების კონცეფცია** აიგივებს აგრარული სექტორისა და სოფლის განვითარებას ერთმანეთთან. ეს კონცეფცია თვლის, რომ ადამიანები, გარემო, ლანდშაფტი და ბუნებრივი რესურსები უნდა იქნეს განხილული ერთიან კონტექსტში - ესაა რესურსული პოტენციალი, რომლის განვითარებამაც უნდა მიგვიყვანოს წარმატებამდე.

ეს მოდელი არ განიხილავს აგრარულ სექტორს, როგორც რეგიონული და სოფლის განვითარების მამოძრავებელ და ძირითად საშუალებას. პირიქით, ის გულისხმობს სოფლის მოდერნიზაციას სტრუქტურული რეფორმირების გზით.

ამ მეთოდის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო ისეთმა ფაქტორებმა, როგორცაა:

- დარგობრივი კონცეფციის კრიზისი, როდესაც მხარდაჭერის სახსრები უსასრულოდ გაიზარდა და წარმოიქმნა წარმოებული პროდუქციის ძალიან დიდი მარაგები.
- თვითონ აგრარულ ტერიტორიებს შორის მზარდი დიფერენციაცია. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ევროპაში მრავლადაა "არაქადაქის" ტიპის რეგიონები, სადაც საკმაოდ მაღალია ცხოვრების დონე და გამომუშავების მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე. ეს

შედევები პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა აგრარული სექტორის განვითარების წინა ორ კონცეფციას, რომლებიც გულისხმობდნენ, რომ აგრარული რეგიონები ეკონომიკის "სუსტი რგოლია" და ამიტომ მუდმივად საჭიროებს რესურსებით(მათ შორის ადამიანური რესურსებით) უზრუნველყოფას.

- კვლევებმა აჩვენა, რომ მრავალფუნქციური ფერმები და შემოსავლების დივერსიფიკაცია გახდა საკმარისად პოპულარული და მას შეუძლია თვითგანვითარება სუბსიდირების გარეშე.
- ბოლო, მაგრამ არა ყველაზე ნაკლებმნიშვნელოვანი - ესაა ახალი თეორიული ელემენტები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ არაა აუცილებელი აგრარული სექტორი განვითარდეს ისეთი მასშტაბით, რომ მან შეცვალოს მთლიანი ეკონომიკის სტრუქტურა-ეს გამოიწვევს რესურსების ამოქაჩვას დარგიდან. სავსებით შესაძლებელია სოფლად აღტერნატიული შემოსავლის მობილიზება სრულიად არასასოფლო და არააგრარული ბიზნესის გზით.

ზემოთნახსენები სამივე კონცეფცია სხვადასხვა დროს აქტიურად იყო ასახული ეეაპ-ის მიერ დაგეგმილ აქტივობებში და აისახებოდა მათ მიერ განხორციელებულ პროექტებში.

დანართში 3 მოცემულია ამ კონცეფციების საკვანძო მახასიათებლები, და დეტალურადაა განხილული თითოეული მათგანი.

როგორც დანართიდან ჩანს თეორიის ევოლუცია ხდებოდა ინდივიდების პირდაპირი სუბსიდირებიდან, რომელიც ხელს უწყობდა "ზომბი" საწარმოების არსებობას, ეკონომიკის და ზოგადად დარგის სუბსიდირებისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურად საკმაოდ რთული იყო ამ გადაწყვეტილების მიღება.

დანართში 4 კი მოცემულია ეეაპ-ის განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე, რომელი თეორიის ელემენტებია გამოყენებული და კონკრეტულად მიმდებოდა რა სეგმენტზე იგი გათვლილი. როგორც ვხედავთ, რეგიონული განვითარების კონცეფცია აქტუალური გახდა მხოლოდ 1985 წლის შემდეგ, მაშინ როცა დარგობრივი და დაახლოების კონცეფციების მიხედვით დღესაც ხორციელდება აქტიური პროტექციონისტული პოლიტიკა.



## 2.2 ევროპის ერთიანი აგრარული პოლიტიკა და მისი განვითარების პერსპექტივები

ევროპის ერთიანი აგრარული პოლიტიკის წარმოშობა და განვითარების თავისებურებები. საერთო აგრარული პოლიტიკა იყო თავდაპირველ ოთხ საერთო პოლიტიკას შორის, რომლებიც 50-იანი წლებიდან საფუძვლად უდევს ევრო გაერთიანებების განვითარებას. ეს ოთხი პოლიტიკაა - საქონლის, ადამიანების, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება. გარდა ამისა, ტრანსპორტი და საერთო აგრარული პოლიტიკა ასევე იყო ჩართული რომის ხელშეკრულებაში მოხსენებულ პოლიტიკურ მიმართულებებს შორის.

ორმოცდაათიან წლებში საფრანგეთს ჰქონდა დიდი აგრარული სექტორი, რომელიც მუდმივ სუბსიდირებას მოითხოვდა. შესაბამისად, საფრანგეთის ინტერესში იყო დაცული ბაზრის არსებობა. გერმანიასაც გააჩნდა დაცული ბაზარი, რომელიც აგრარული სექტორის სუბსიდირებას ახდენდა, ამიტომ ეს ორი ქვეყანა უპრობლემოდ თანხმდებოდა იმაზე, რომ თავისუფალი ბაზრის პრინციპების შემოტანა აგრარულ ბაზარში მოიტანდა სავალალო სოციალურ და ეკონომიკურ შედეგებს. პრობლემა ის იყო, რომ თუ აგრარულ სექტორში იარსებებდა თავისუფალი ბაზარი, რეალურად გამოვიდოდა კონკურსი: რომელი მთავრობა უფრო მეტს გადაიხდიდა თავისი აგრარული სექტორისთვის, რაც არც ერთ სახელმწიფოს არ აწყობდა.

მეორეს მხრივ, აუცილებელი იყო აგრარულ პროდუქციაზე ფასების გათანაბრება, რომ მომხდარიყო სამრეწველო პროდუქტებში ჭეშმარიტი კონკურენციის პირობების შექმნა. ლოგიკა შემდეგი იყო: მაღალი ფასები განაპირობებდა მაღალ ხელფასებს, რაც თავის მხრივ განაპირობებდა სამრეწველო წარმოების ხარჯების ზრდას. ანალოგიური პრინციპით მოხდებოდა ენერჯის ღირებულების და გადასახადების სისტემის გათანაბრებაც. გერმანიას ეს აწყობდა, რადგან გადასახადები და ენერჯის წარმოების ღირებულება გერმანიაში დაბალი იყო, ფასები კი მაღალი, რადგან ფერმერებს დიდი პოლიტიკური გავლენა გააჩნდათ. ასე რომ ამ საკითხზე კონსენსუსი გერმანიას და საფრანგეთს შორის მიღწეულ იქნა.

საფრანგეთს სურდა ინდუსტრიული ზრდის შენარჩუნება, ისე რომ არ დაეკარგა აგრარულ სექტორში დასაქმებული ელექტორატი. აქედან კონსენსუსი —

ფრანგებმა მიიღეს სუბსიდია, რომ შეენარჩუნებინათ სოფლის მოსახლეობა, ხოლო გერმანიამ მიიღო საკვების ფასების ეკვალიზაცია მთელ ბაზარზე.

გერმანია უკმაყოფილო იყო ექსპორტის სუბსიდირებაზე, რადგან არ სურდა დაეკარგა თავისი ექსპორტ პოზიციები არგენტინასთან. ანუ, თუ არ შემოიტანდა არგენტინულ ხორცს და სხვა საკვებ პროდუქტებს, ეს ცუდად იმოქმედებდა მის ექსპორტზეც არგენტინასთან. შესაბამისად არ სურდა ევროპული ნაწარმის შემოსვლა. ამ შემთხვევაში დიდი როლი ითამაშა ნიდერლანდების და საფრანგეთის ერთობამ. გერმანიამ დათმო, რადგან არ სურდა გაებრაზებინა პარტნიორი ქვეყნები და აღედგინა ტრადიციული შუღლი ევროპის სხვა სახელმწიფოებთან.

ევაპ-ის თავდაპირველი იდეა იყო ფასების შენარჩუნება ბაზარში ჩარევით, ისე რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო ყველა ფერმერის და აგრარულ სექტორში დასაქმებული პირის ინტერესები. პირველ წლებში ყოველ წელს მინისტრების შეხვედრაზე თანხმდებოდა ფასები, ანუ მინიმალური ფასი, რომლის მიხედვითაც უნდა გაყიდულიყო ესა თუ ის პროდუქცია. კომისიის ჩარევის შედეგად ხდებოდა ფასების რეგულირება, რაც იმას ნიშნავდა, რომ კომისიას შეეძლო ან შეესყიდა ან გაეყიდა პროდუქცია, იმისათვის, რომ დაერეგულირებინა ფასები. თუ ფასები ძალიან გაიზრდებოდა, კომისია გაყიდდა შესყიდულ პროდუქტს და ფასი დარეგულირდებოდა.

ამგვარი პოლიტიკა დასაწყისში წარმოადგენდა უდიდეს სტიმულს სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლებისთვის.

ევროგაერთიანებებში ამგვარი პოლიტიკის შედეგად გაჩნდა საკვების მთები და ღვინის ტბები (Food Mountains and Wine Lakes), რომლებსაც კომისია მუდმივად ყიდულობდა, რათა ფასი აეწია და მწარმოებლებისათვის ზარალი შეემცირებინა. საბოლოოდ, იმის გამო, რომ ჭარბი პროდუქცია ძალიან დიდი იყო და კომისიამ აღარ იცოდა როგორ გაერთვა თავი მათი შენახვისთვის, დაიწყო ექსპორტის სუბსიდირება.

ექსპორტის სუბსიდირების ფარგლებში, ევროკომისია უხდიდა ფერმერს სხვაობას მსოფლიო ბაზარზე არსებულ ფასსა და ევროკავშირში არსებულ ფასს შორის, რითაც საშუალებას აძლევდა მათ, გაეტანათ პროდუქტები მსოფლიო ბაზარზე შედარებით დაბალ, დემპინგურ ფასებში. ასეთი პოლიტიკა იწვევდა მსხვილი ექსპორტიორი ქვეყნების, განსაკუთრებით კი, ამერიკის შეერთებული შტატების გადიზიანებას. [16]

აგრარული საკითხების კომისიის სიკო მანსჰოლტის შეხედულება საფუძვლად დაედო სოფლის მეურნეობის რეფორმებს, რომლებიც დაიწყო XX საუკუნის 70-იან წლებში, მაგრამ ბოლომდე დღეისთვისაც არ განხორციელებულა. მანსჰოლტის აზრით, აუცილებელი იყო ნელ-ნელა გადასვლა ფასების მხარდაჭერის სისტემიდან ფერმების ინდუსტრიალიზაციისა და მათი ეფექტიანობის გაზრდისკენ. ამის შედეგად მოხდებოდა ბაზრის სტაბილურობის შენარჩუნება და კომისიისთვის ძალიან მძიმე ფინანსური ტვირთის მოცილება.

ფასების მხარდაჭერის სისტემა მთავრობებს ძალიან ძვირი უჯდებოდათ, შესაბამისად პოლიტიკური ნება რეფორმასთან დაკავშირებით პრაქტიკულად მომწიფებული იყო. 1967 წელს გერმანიის მთლიანი შიგა პროდუქტი დაეცა 2 პროცენტით. 1968 წელს საფრანგეთში შემოვიდა ვიდალის გეგმა, რომელიც ასევე ითვალისწინებდა სოფლის მეურნეობის გარდაქმნას.

1968 წელს შეიქმნა მანსჰოლტის გეგმა, ანუ ე.წ. “სოფლის მეურნეობა 1980”, რომელიც ხელს უწყობდა მცირე ფერმერებს, რომ დაეტოვებინათ მიწები და ახდენდა დიდი ამაღლამაციების სუბსიდირებას. მანსჰოლტის გეგმა ასევე ითვალისწინებდა გრანტებს. პენსიებს და სხვა სახის ფინანსურ დახმარებას მათთვის, ვინც 55 წელზე მეტი ასაკის იყო. გეგმის მიხედვით ასევე უნდა მომხდარიყო ახალგაზრდების მხარდაჭერა სხვა სამსახურის მოსაძებნად. ამასთან, ისე უნდა შემცირებულიყო ფასი, რომ არაეფექტიანი ფერმერები იძულებულნი გამხარიყვნენ დაეტოვებინათ ფერმები.

ევროპის ფერმერთა გაერთიანებამ, მსოფლიოს ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა ორგანიზაციამ - COPA-მ მიიჩნია, რომ ეს უკანასკნელი გადაწყვეტილება ფსიქოლოგიური შეცდომა იყო, რადგან გერმანელი და ფრანგი ფერმერები ერთმანეთს გადაამტერა. ბუნებრივია, რომ გერმანელი ან ფრანგი ფერმერები, რომლებიც სამუშაოს კარგავდნენ, მთავარ დამნაშავედ ამაში სხვა სახელმწიფოს ფერმერებს ხედავდნენ.

იმ დროს ძალიან აქტუალური და პოპულარული გახდა ლოზუნგი “გადაარჩინე ოჯახის ფერმა”. ეს იყო ლოზუნგი, რომელიც ნიშნავდა, რომ ფერმერები ითხოვდნენ დამატებითი შემოსავლის შენარჩუნებას.

საფრანგეთის პრეზიდენტ შარლ დე გოლს მოსწონდა მანსჰოლტის გეგმა, მაგრამ მოითხოვდა, რომ მისი შესრულება ყოფილიყო მთავრობის და არა კომისიის

ხელში. ამით დე გოლს სურდა უზრუნველყო საფრანგეთის კონტროლი გეგმის განხორციელებაზე, რაც შეუძლებელი იქნებოდა თუ გეგმის განხორციელებას კომისია შეუდგებოდა. ეს იყო ნათელი გამოვლინება დე გოლის რეალისტური, სუვერენიტეტის შენარჩუნებაზე ორიენტირებული პოლიტიკისა, რომელიც მიმართული იყო საფრანგეთის გაძლიერებისკენ.

მანსჰოლტის გეგმას მოჰყვა წინააღმდეგობა გერმანიის მხრიდან: გერმანიაში 1969 წელს არჩევნები იყო დაგეგმილი, რაც გამორიცხავდა მთავრობის მხრიდან სოფლის მეურნეობის რეფორმის გატარებას, რადგან ეს აუცილებლად გამოიწვევდა სამუშაო ადგილების დაკარგვას, რაც მთავრობას არ სურდა არჩევნების წინა პერიოდში. შარლ დე გოლს ეს პრობლემა აღარ ჰქონდა, რადგან საფრანგეთში არჩევნები უკვე ჩატარებული იყო და პოზიციის შეცვლა სოფლის მეურნეობის რეფორმასთან დაკავშირებით მტკივნეულად არ იმოქმედებდა პოლიტიკურ სიტუაციაზე.

გერმანიის მთავრობა, მიუხედავად იმისა, რომ არ სურდა აგრარული რეფორმის სასწრაფოდ განხორციელება, მაინც მოსურნე იყო როგორღაც მოეგვარებინა “ღვინის მდინარეების და კარაქის მთების” პრობლემა, რადგან 60-იანი წლებისთვის ევროგაერთიანების ბიუჯეტში ყველაზე მეტ თანხებს გერმანია იხდიდა, ამ ფულის უდიდესი ნაწილი კი აგრარული ბაზრის რეგულირებისთვის იხარჯებოდა. ამიტომ გერმანიამ წამოაყენა ალტერნატიული ვარიანტი, სადაც გათვალისწინებული იყო შესყიდვის ინტერვენციის დროს კვოტების დაწესება, რათა არ მომხდარიყო დიდი რაოდენობით პროდუქციის შესყიდვა და გაერთიანების ფინანსური სახსრების ფლანგვა. [16]

სიკო მანსჰოლტს იმედი ჰქონდა, რომ აგრარული პოლიტიკის რეფორმირების საკითხში ბრიტანელებს მიიმხრობდა და გაფართოების ერთ-ერთ პირობად ბრიტანეთი ევოპის გარდაქმნას დაასახელებდა, მაგრამ დიდ ბრიტანეთს ისე ძალიან სურდა ევროგაერთიანებებში შესვლა, რომ ეს არ გააკეთა.

შედევად 1971 წლის სოფლის მეურნეობის მინისტრთა საბჭოს, რომელზეც მანსჰოლტმა თავისი გეგმა წამოაყენა, მოჰყვა დიდი არეულობები და 80.000-იანი დემონსტრაცია, რომელზეც ფერმერები მათი უფლებების დაცვას ითხოვდნენ. მანსჰოლტის გადაწყვეტილებამ, მაინც გაეტანა განსახილველად საკითხი, რომელიც

აშკარად არ სარგებლობდა პოპულარობით ევროპულ სახელმწიფოებს შორის, ძალიან ცუდად იმოქმედა მის მომავალ კარიერაზე. მომდევნო წელს იგი გადადგა, თუმცა შემდეგ ამბობდა, რომ მისი იდეები აგრარული რეფორმის შესახებ იყო “წარმატებული დასაწყისი”. საფრანგეთმა მიაღწის იმას, რომ რეფორმა დაიწყო ნელა, ბევრი თანხები არ დაიხარჯა რესტრუქტურისაციაზე და რეფორმის იმპლემენტაცია აღმოჩნდა ეროვნული მთავრობების ხელში.

70-იან წლებში მსოფლიოში აგრარულ პროდუქციაზე ფასები გაიზარდა არახელსაყრელი ამინდებისა და ცუდი მოსავლის, აგრეთვე მსოფლიო მოთხოვნის ზრდის შედეგად. ამას დაემთხვა ნავთობის კრიზისი, რამაც გამოიწვია უმუშევრობის ზრდა, ამის გამო, მანსჰოლტის გეგმა 70-იან წლებში დავიწყებას მიეცა.

ევროგაერთიანებაში შესვლისთანავე სოფლის მეურნეობის სფეროში რეფორმირების ლიდერობა ხელთ იგდო დიდმა ბრიტანეთმა. რამდენადაც ქვეყანაში ძირითადად აგრარული პროდუქციის იმპორტი ხორციელდებოდა, დიდ ბრიტანეთს სურდა აგრარული პოლიტიკის დაფინანსების სისტემის შეცვლა, რათა ბრიტანელი გადასახადების გადამხდელების მიერ ევროგაერთიანების ბიუჯეტში შეტანილი ფული არ დახარჯულიყო ისეთი ინიციატივებზე და პოლიტიკაზე, რომელსაც დიდი ბრიტანეთისთვის მოგება არ მოჰქონდა.

როგორც მსო-ს წევრები, საქართველო და ევროკავშირი იყენებენ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით დადგენილ სატარიფო განაკვეთს. მეტიც, GSP+ რეჟიმი ვრცელდება ევროკავშირის საბაჟო სატარიფო კოდით აღნიშნული პროდუქტების დაახლოებით 66%-ზე; შესაბამისად, აღნიშნული რეჟიმი უზრუნველყოფს გაუმჯობესებულ წვდომას, ძირითადად, საბაჟო გადასახადისგან გათავისუფლებას


ქართული წარმოშობის დაახლოებით 7.200-ზე მეტი სახეობის პროდუქტისთვის აღნიშნული უპირატესი ხელშეწყობის სავაჭრო რეჟიმის ძირითადი მიზანია განვითარებადი ქვეყნების დახმარება მათი მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საერთაშორისო ვაჭრობაში ჩაბმის შედეგად გენერირებული დამატებითი შემოსავლების გზით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ის პროდუქტები, რომელთა მოძრაობა საზღვარზე მხოლოდ საბაჟო გადასახადის გამო ფერხდება, ძირითადად არა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებია. რამდენიმე მნიშვნელოვანი პროდუქტი, რომლებმაც საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საექსპორტო მაჩვენებლების ზრდა განაპირობა, ესაა - კაკალი, ახალი ან ხმელი, ნაჭუჭგაცლილი ან ნაჭუჭგაუცლელი, კანით ან კანის გარეშე (0802 90 85), გამხმარი ხილი (0813 40 95)8. ევროკავშირის სავაჭრო პრეფერენციების გამოყენების შეფასების მიხედვით 2010 წლის მდგომარებით, საქართველოს პრეფერენციების გამოყენების ძალიან მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა (92.52%); რაც ნიშნავს, რომ ევროკავშირთან სავაჭრო ტვირთბრუნვის 90%-ზე მეტი ნულოვანი ტარიფით განხორციელდა[77]. ყველა დანარჩენი პროდუქტისთვის კი ad volarem (ღირებულების შესაბამისად) დადგენილი გადასახადები შემცირდა 3.5%-ით.

რაც შეეხება ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტირებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, აქ ერთპიროვნული ღიდერია ახალი და ხმელი თხილი; ეს კატეგორია შეადგენს ევროკავშირში ექსპორტირებული მთლიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 64%-ს და თავად ამ კონკრეტულ კატეგორიაში მთლიანი საექსპორტო მოცულობის 65%-ს. 2013 წელს ექსპორტირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წამყვან კატეგორიებს შეადგენდა თხილი, ნატურალური ყურძნის წვენი და მინერალური წყლები. (დიაგრამა 2.2)

მიუხედავად იმისა, რომ ექსპორტირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წამყვანი კატეგორიები ქვეყნების მიხედვით ღიდად არ იცვლება, პროდუქტები ნაკლებად დივერსიფიცირებულია ევროკავშირის ქვეყნების მიხედვით. ეს უკანასკნელი გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ ევროკავშირის ქვეყნებისკენ მიმართული თითქმის ყველა საექსპორტო პროდუქტი სარგებლობს პრეფერენციების სისტემით GSP+. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველო ინტენსიურად იყენებს GSP+ რეჟიმს, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ რეჟიმით მოსარგებლე საექსპორტო საქონლის 60% 2013

წელს სწორედ სასოფლო-სამეურნეო საქონელს წარმოადგენდა, რაც 10%-ით გაზრდილი მაჩვენებელია 2012 წელთან შედარებით.

დიაგრამა 2.2 სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი სულ (მონეტარული მაჩვენებლები), 2013 წ



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=136&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=136&lang=geo)

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების რატიფიცირების შემდგომ GSP+ რეჟიმი გაუქმდება და ჩანაცვლდება DCFTA-ით, რომელიც უზრუნველყოფს ბაზრის ხელმისაწვდომობის ხელისშემშლელი ბარიერების ორმხრივ და ეტაპობრივ გაუქმებას. საქართველოს თავისუფალი წვდომა ბაზარზე იქნება „ყოვლისმომცველი“, ვინაიდან იგი მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებს და „ღრმა“, ვინაიდან გამიზნულია ყველა სავაჭრო ბარიერის მოსახსნელად „საზღვრის მიღმა“ ბარიერების ჩათვლით.

შეთანხმება ითვალისწინებს 95%- მდე ტარიფის მოხსნას, ნაგარაუდევია სამრეწველო საქონლით ვაჭრობის სრული ლიბერალიზაცია. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობას, ამ სფეროს ასევე შეეხება მნიშვნელოვანი ლიბერალიზაცია, რიგი გამონაკლისის გარდა.

DCFTA-ს მიხედვით, საქართველოდან იმპორტირებულ საქონელზე გაუქმდება ყველა სახის საბაჟო გადასახადი, გარდა შეთანხმების მეორე დანართში ჩამოთვლილი საქონლისა, რაც შეზღუდავს ტარიფის განაკვეთის კვოტებს. თუმცა, უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით გათვალისწინებულ საბაჟო გადასახადს დაექვემდებარება ყველა იმპორტირებული საქონელი, რომლებიც ტარიფის განაკვეთის ზღვარს აღემატება.

გამონაკლისს წარმოადგენს იმპორტირებულ საქონელზე ad valorem (ღირებულების შესაბამისად) გადასახადის კომპონენტი. დოკუმენტში ჩამოთვლილ საქონელზე ასევე ვრცელდება გაყალბების საწინააღმდეგო (anti-circumvention) მექანიზმი; რაც ნიშნავს, რომ როგორც კი შესაბამისი საქონლის ერთი ან მეტი კატეგორიის იმპორტი მიაღწევს მითითებული მთლიანი რაოდენობის 70%-ს, ევროკავშირი საქართველოს გაუზიარებს შეტყობინებას ამ კონკრეტული პროდუქციის იმპორტის რაოდენობის შესახებ. აღნიშნული შეტყობინების მიღებისა და პროდუქციის მოცულობის 80%-მდე გაზრდის შემდგომ საქართველო ვალდებულია, ევროკავშირს მიაწოდოს სარწმუნო დასაბუთება იმისა, რომ ქვეყანას შეუძლია დაამზადოს აღნიშნული საქონელი დამატებითი მოცულობებით ევროკავშირის ქვეყნებში საექსპორტოდ. იმ შემთხვევაში, თუ საქართველო ვერ წარადგენს აღნიშნულ დასაბუთებას, ევროკავშირი სარგებლობს უფლებით, დროებით შეაჩეროს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი. აღნიშნული შეზღუდვა მოქმედებს 6 თვის განმავლობაში და მოიხსნება იმ შემთხვევაში, თუ საქართველო საკმარის მტკიცებულებებს მოიყვანს იმის დასადასტურებლად, რომ აღნიშნული პროდუქტის მოცულობა გაიზარდა წარმოების პროცესში შეტანილი ცვლილებების გამო, რამაც გაზარდა ქვეყნის საექსპორტო შესაძლებლობები. აღნიშნული მტკიცებულების წარდგენასთან ერთად შეთანხმებაში შესაძლოა, შეტანილ იქნეს შესაბამისი ცვლილება.

ამდენად, შეთანხმება ითვალისწინებს თავისუფალი ვაჭრობის სამი ტიპის გამონაკლისს:

- 1) თავისუფალი ვაჭრობა სატარიფო განაკვეთების კვოტების ფარგლებში. ამ კატეგორიაში შედის ერთადერთი პროდუქტი  
- ნიორი, ახალი ან გაცივებული.



**ცხრილი 2.2 პროდუქტები სატარიფო განაკვეთების კვანძების ფარგლებში**

კოდი	პროდუქტის აღწერილობა	რაოდენობა	2013 წ. საქართველოს ექსპორტი ყველა ქვეყანაში (ტონა)	2013 წ. საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში (ტონა)
07032000	ნიორი, ახალი ან გაცივებული	220 ტონა	400	0

2013 წელს საქართველოს ზემოთ აღნიშნული კატეგორიის არც ერთი პროდუქტი არ შეუტანია ევროკავშირში. თუმცა, გასულ წელს სომხეთში იმპორტირებულ იქნა 400 ტონა ნიორი, რაც ნიშნავს, რომ 220 ტონა წარმოადგენს ზღვრულ ნიშნულს, რომლის შენარჩუნება გართულდება. მიზეზი, თუ რატომ არის დაწესებული შეზღუდვა პროდუქტის ამ კატეგორიაზე, არის ის რომ ჩინეთი აწარმოებს ნიორის მსოფლიო წარმოების 80 პროცენტს. [43]

2) პროდუქტები, რომლებზეც ჯერაც ვრცელდება შეტანის ფასი, მაგრამ რომელთა იმპორტის გასახადის ad valorem (ღირებულების შესაბამისი) კომპონენტი გაუქმებულია. ეს ნიშნავს, რომ აღნიშნული გადასახადის ოდენობა არ იქნება დამოკიდებული ექსპორტირებული საქონლის მოცულობაზე, არამედ დადგინდება შეტანის ფასი. ქართველი ექსპორტიორებისთვის საინტერესო რამდენიმე აგროსასურსათო პროდუქტი ჩამოთვლილია ცხრილში ქვემოთ. არც ერთი ქვემოთ ჩამოთვლილი პროდუქტებისგან ამჟამად არ შედის ევროკავშირში (ყურძნის ღურდოს გარდა), ამ კონკრეტული კატეგორიის პროდუქტის კატეგორიების წილი მთლიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაში მნიშვნელოვანია და საერთო ექსპორტის 20%-ს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ ჩამონათვალში ასევე შესულია გარკვეული დასახელების პროდუქტები, რომლებზეც ამჟამად ვრცელდება GSP +0 სატარიფო შეღავათები და შესაბამისად, მათ მიმართ ასევე ძალაშია შეტანის ფასი:

ცხრილი 2.3 პროდუქტები, რომლებზეც ჯერაც ვრცელდება შეტანის ფასი, მაგრამ რომელთა იმპორტის გასახადის ად ვალორემ (ღირებულების შესაბამისი) კომპონენტი გაუქმებულია.

კოდი	პროდუქტი	შეტანის ფასი მოცემულ მომენტში
07020000	პომიდორი, ახალი ან გაცივებული	იმპორტზე გადასახადის 8.8% მაგრამ არა ნაკლებ საშუალოდ 74 ევრო 100 კგ-ზე (სეზონურობაზე დამოკიდებულებით)
07070005	კიტრი, ახალი ან გაცივებული	იმპორტზე გადასახადის 12.8% მაგრამ არა ნაკლებ 67 ევრო 100 კგ-ზე (სეზონურობაზე დამოკიდებულებით)
08051020	ტკბილი ფორთოხალი, ახალი	იმპორტზე გადასახადის 16.00% მაგრამ არა ნაკლებ 35.4 ევრო 100 კგ-ზე (სეზონურობაზე დამოკიდებულებით)
0808108	ვაშლი, მსხალი, ახალი	იმპორტზე გადასახადის 4.00 % მაგრამ არა ნაკლებ 56.80 ევრო 100 კგ-ზე
22043092, 22043094, 22043096, 22043098	ყურძნის ღურდო	იმპორტზე გადასახადის 22.4% მაგრამ არა ნაკლებ დაახლოებით 126.7 ევრო ლიტრზე (სისქეზე, ალკოჰოლის შემცველობაზე დამოკიდებულებით)

ცხრილი 2.4 პროდუქტები, რომლებზეც ამჟამად ვრცელდება  $\square\text{შ}\square +0$  სატარიფო შეღავათები

კოდი	პროდუქტი	ევროკავშირის გადასახადის ჩვეულებრივი განაკვეთი (%) <sup>1</sup>
08061010	სუფრის ყურძენი	20
08092100	მუავე ალუბალი, ახალი	12
08093010	ნექტარინი	17.6
08094005	ქლიავი	6.4
08091000	გარგარი, ახალი	20
2009	სხვადასხვა სახეობის ხილის წვენი	22.4

**ცხრილი 2.5 პროდუქტები, რომლებზეც ვრცელდება გაყალბების საწინააღმდეგო (anti-circumvention) მექანიზმი:**

პროდუქტი	სამიზნე მოცულობა (ტონა)	2012 წ. საქართველოს ექსპორტი ყველა ქვეყანაში (ტონა)	2012 წ. საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში (ტონა)	2013 წ. საქართველოს ექსპორტი ყველა ქვეყანაში (ტონა)	2013 წ. საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში (ტონა)
საქონლის, ღორის და ცხვრის ხორცი	4400	366	0	273	0
ფრინველის ხორცი	550	402	0	107.3	0
რძის პროდუქტები	1650	266	0	849	0
კვერცხი ნაჭუჭში	6600	3727 (კვერცხი)	0	1190 (კვერცხი)	0
კვერცხი და ალბუმინი	330	0.2	0	0	0
სოკო	220	6.3	0	6.6	0
ბურღულეული	200,000	198,149	6.8	198,138	8.7
ალაო და ხორბლის წებოვანა	330	420	0	210	0
სახამებელი	550	10	0	0	0
შაქარი	8000	2.6	0	9.1	1.8
ქათო, წვრილი გამონაცერი და სხვა ნარჩენები	2200	1247	0	1082	0
ტკბილი სიმინდი	1500	63	1.3	92.7	13.9
გადამუშავებული შაქარი	6000	1327	4	1457	137.2
გადამუშავებული ბურღულეული	3300	7.3; 3050 ჰლ	1546 ჰლ	8.7; 4068 ჰლ	1652 ჰლ
სიგარეტი	500	1975 კოლოფი	987 კოლოფი	50435 კოლოფი <sup>2</sup>	1504 კოლოფი

ზემოთ მოყვანილი ცხრილი უჩვენებს, რომ ზედა ზღვარი წარმოებული პროდუქტის მოცულობისა, რომლის გადაჭარბების შემდეგ ქვეყანამ უნდა დაასაბუთოს აღნიშნული ჭარბი მოცულობის განმაპირობებელი წარმოების პროცესის ცვლილებები, საკმაოდ მაღალია. ყველა ქვეყანაში საქონლის ექსპორტის 2013 წელს გამოვლენილი ტენდენციების მიხედვით, ზოგი პროდუქტის რაოდენობა ახლოა სამიზნე მაჩვენებელთან - ეს შეეხება ბურღულეულს, ქათოს, წვრილ გამონაცერს და

სხვა ნარჩენებს. თუმცა, შეთანხმების მიხედვით, ეს ზღვრები შესაძლოა შეიცვალოს, იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანა დაასაბუთებს, რომ მის საექსპორტო შესაძლებლობებსა და პროდუქციის წარმოების პროცესში მოხდა მტკიცებულებებზე დაფუძნებული ცვლილება. [12]

ცხრილიდანაც ჩანს, რომ მიუხედავად შემცირებული ტარიფებისა, საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტის მკვეთრი ზრდა არ დაფიქსირებულა. ამას აქვს 2 მიზეზი:

1. ძირითადი აგრარული პროდუქციისათვის ამჟამად ღიაა რუსული ბაზარი და ბიზნესმენებს და ფერმერებს ურჩევნიათ მარტივად, ყოველგვარი ზედმეტი ტექნიკური რეგულაციების გარეშე მოახდინონ მათი პროდუქციის ექსპორტირება მეზობელ ქვეყანაში

2. ევროპული არასატარიფო ბარიერები-ანუ ის ტექნიკური და ხარისხის მოთხოვნები, რომელიც გააჩნია მომხმარებელთა დაცვაზე ორიენტირებულ ევროპას, ჯერ-ჯერობით საკმაოდ რთულადაა შესასრულებელი ქართველი ექსპორტიორებისათვის.

თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, იმას, რომ რუსული ბაზარი საკმაოდ მყიფეა და უკრაინაშიც ძალიან დაიძაბა სიტუაცია, ვფიქრობთ, რომ ის ფერმერები მაინც, რომელთაც აქვთ ამის ტექნიკური შესაძლებლობა, ეცდებიან აითვისონ რთული მაგრამ სტაბილური ევროპული ბაზარი.

საქართველოსთვის შემუშავდა ENPARD პროგრამა; პირველად იგი აღმოსავლეთის პარტნიორობის ფარგლებში შეიქმნა. სოფლის მეურნეობის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის დასრულების შემდეგ გაფორმდება ფინანსური ხელშეკრულება. ხელშეკრულების განხორციელების პერიოდი 84 თვეა. ეს არის სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამა, სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, რომლის საერთო ღირებულება 40 მილიონი ევროა და იგი ორი ელემენტისაგან შედგება:

- საერთო ბიუჯეტის მხარდაჭერა (ცენტრალიზებული მენეჯმენტი): □8 მილიონი
- პროექტის წარმართვის მეთოდოლოგია (ცენტრალიზებული/ერთობლივი მენეჯმენტი): □22 მილიონი

მთავრობა დამატებით გამოყოფს ბიუჯეტიდან 54 მილიონ ევროს სოფლის მეურნეობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციისთვის.

გათვალისწინებულია სხვა ინვესტიციები 3 მილიონი ევროს ოდენობით.

სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამის კონკრეტული მიზანია საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორის გაუმჯობესება ეროვნული სტრატეგიული გეგმის განხორციელების მხარდაჭერით და მცირე ფერმერული ორგანიზაციების განმტკიცებით. მთავრობის მიერ შემუშავებულ სტრატეგიაში ჩამოყალიბებულია ხუთი ძირითადი შედეგი/პრიორიტეტი. ვინაიდან სხვა დონორები უკვე უზრუნველყოფენ ან გეგმავენ მხარდაჭერას სტრატეგიის პრიორიტეტულ სფეროებში (მაგ., აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო - ღირებულების ქსელის სფეროში), სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამა ფოკუსირებული იქნება სტრატეგიის კონკრეტულ ასპექტებზე, სადაც

- დონორები არ არიან აქტიური და
- სადაც ევროკავშირს აქვს ცოდნა/გამოცდილება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამა ფოკუსირებული იქნება ოთხ ძირითად შედეგზე, რომლებიც საქართველოს 2012-2022 წწ სოფლის მეურნეობის სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია:

შედეგი 1. მცირე ფერმერთა შორის მტკიცე თანამშრომლობა;

შედეგი 2. მცირე ფერმერებისთვის შესაძლებლობათა განმტკიცებაზე გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობა;

შედეგი 3. რეგულირებული და განვითარებული გეოგრაფიული მითითებები;

შედეგი 4. სოფლის მეურნეობაში ჩართული ინსტიტუტების გაუმჯობესებული ეფექტიანობა.

საქართველოს ENPARD-ის პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტექნიკური დახმარების ელემენტს, ვინაიდან იგი ხელს შეუწყობს საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს შექმნას, რომელიც ქვეყანას ENPARD-ის ტიპის მიდგომების განხორციელებისთვის სჭირდება. [11]

ამავდროულად, სხვა დონორებმა, შესაბამისობაში უნდა მოიყვანონ თავიანთი აქტივობები, რათა კიდევ უფრო განამტკიცონ ეს პოზიტიური შესაძლებლობა და შესაბამისი სიგნალები გაუგზავნონ ახალ მთავრობას. ამ მიზნით ევროპის კავშირის

დელეგაციაში (საქართველოში) შეიქმნა დონორთა კოორდინაციის ჯგუფი. ამ ჯგუფს დაეხმარება სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტით „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაძლებლობათა განმტკიცება და მხარდაჭერა“. ამ კოორდინაციას რეგიონული განზომილებაც აქვს, რამეთუ საქართველო სამხრეთ კავკასიაში ინიციატივათა დამაკავშირებლის როლს ასრულებს.

მწარმოებელი ორგანიზაციების ფორმირებას ხელს შეუწყობს საქართველო-ENPARD -ის საბიუჯეტო დახმარების პროგრამა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი იქნება, ფისკალურ და საკანონმდებლო ცვლილებებთან და გაძლიერებულ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად. ეს არის საგულისხმო მოცულობისა და ღირებულების პირველი ENPARD-ი. უნდა შეიქმნას 50 მწარმოებელი ორგანიზაცია.

საქართველო-ENPARD-ის ფარგლებში საჭიროა მწარმოებელ ორგანიზაციათა პაკეტის გათვალისწინება, რომელმაც უნდა მოიცვას მთავარი ღირებულების ქსელი (რომელიც ესოდენ დიდ როლს თამაშობს შინამეურნეობების შემოსავლებისთვის) და სამუშაო ადგილების შექმნა დამატებითი აქტივობების მეშვეობით. საქართველო-ENPARD ასევე კარგი საშუალება იქნება ინფორმაციის გავრცელებისთვის და უკუკავშირისთვის, რაც მოემსახურება მწარმოებელის ორგანიზაციების ფორმირებას აღმოსავლეთი პარტნიორობის ფარგლებში. იგი უნდა შეესაბამებოდეს აღმოსავლეთი პარტნიორობის ეგიდით ჩატარებული შეფასების შედეგად დადგენილ სამ პრიორიტეტს:

- სოფლის პოლიტიკის განვითარება;
- მწარმოებელი ორგანიზაციების ფორმირება;
- საწარმოების მოდერნიზება, მათ შორის, რძისა და რძის წარმოებაში; სამომხმარებლო კულტურების წარმოებაში; მაღალი ღირებულების სოფლის მეურნეობაში (HVA) და მომსახურების მიწოდების ქსელში.

დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებიც პროგრამის ფარგლებში შემუშავდა, ასე გამოიყურება:

1. სათანადო პოლიტიკისა და ფონდების უქონლობის გამო სოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარების მხარდაჭერას უმნიშვნელო ყუღადღება ექცეოდა. გარდა ამისა, ფერმერთა ორგანიზაციების

სტიმულირების ნაკლებობამ სოფლის მოსახლეობის/თვითდასაქმებული ფერმერების გადაწყვეტილების მიღების პროცესში განამორიციხვა გამოიწვია. აქედან გამომდინარე, სექტორის მხარდაჭერა უნდა მოიცავდეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და მოდერნიზაციის ღონისძიებებს, ასევე, სოფლის განვითარებას.

2. საჭიროა მთავრობის პოლიტიკის გაუმჯობესება და ფინანსების უზრუნველყოფასოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარებისთვის.
3. განსაკუთრებით საყურადღებოა ტექნიკური დახმარების ელემენტი, რადგან იგი ხელს შეუწყობს ENPARD-ის ტიპის ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო კანონმდებლობისა და ინსტიტუციური ჩარჩოს შექმნას. ამის პარალელურად დონორებმა თავიანთი საქმიანობა ამ პოზიტიური განვითარების შესაბამისად უნდა წარმართონ.
4. ENPARD-ის ღონისძიებებისა და მიდგომების ტესტირება უნდა მოხდეს განმახორციელებელი სტრუქტურების მიერ, ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობით, რაც ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების საშუალებაა. ეს ინსტიტუტებს საშუალებას მისცემს უფრო აქტიური როლი შეასრულონ პროგრამის შემდეგი ციკლის განხორციელებაში. [11]

დღეისათვის საქართველოს გარშემო საკმაოდ რთული პოლიტიკური სიტუაციაა: ქვეყანა, სადაც საქართველო ახორციელებდა ყველაზე მეტ აგრარულ ექსპორტს, რუსეთია, რომელიც საკმაოდ სერიოზულ ფინანსურ კრიზისს განიცდის- იგი პოლიტიკურადაც და ეკონომიკურადაც არასანდო და სარისკო ბაზარს წარმოადგენს. მეორე უმსხვილესი პარტნიორი-უკრაინაც ომშია ჩართული და ეს საკმაოდ ამცირებს ამ ქვეყანაში ექსპორტის მოცულობას. ყველაზე სტაბილურ და ძლიერ ბაზრებად მთელს მსოფლიოში გვევლინებიან ევროკავშირი და ამერიკა, მაგრამ თავად ამ ქვეყნებში საქონლის ექსპორტირებაა ძალიან რთულად მისაღწევი რეალობა. გარდა ამისა, თავად ეს ქვეყნები ეწევიან აქტიურ პროტექციონისტულ პოლიტიკას აგრარულ სექტორში, შესაბამისად, თუ ჩვენ გვსურს მათ ბაზარზე შესვლა, მოგვიწევს ანალოგიური ქმედებების განხორციელება.

მაგრამ არსებობს რიგი ხელისშემშლელი ფაქტორები: ჩვენ ვერ ჩავკეტავთ ეროვნულ ბაზარს და ვერ ავწევთ ფასებს სურსათზე. ეს მოსახლეობის უმეტესი ნაწილის შიმშილობას ნიშნავს. გარდა ამისა, ჩვენ გაფორმებული გვაქვს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში, რამდენადაც წინა ხელისუფლებებისათვის ლიბერალური ეკონომიკა იყო მთავარი საზრუნავი.

შედგება გვრჩება მხოლოდ ერთი ალტერნატივა - დავაბანდოთ ფული დარგის განვითარებაში და შევუწყოთ ხელი მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოებას და მათ ექსპორტირებას, რამდენადაც ქართული ბაზარი გაჯერებულია იაფფასიანი შხამქიმიკატებითა და გენური ინჟინერიით მიღებული პროდუქტებით, რომლებსაც ქართველი მომხმარებლების დაბალი მსყიდველობითუნარიანობის გამო, ვერ უწევს კონკურენციას მაღალფასიანი, თუნდაც უკეთესი ხარისხის ანალოგები.

რეალურად დღეს ქართულმა სახელმწიფომ უნდა ისარგებლოს ასოცირების ხელშეკრულებითა და ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებების ფარგლებში არსებული ფინანსური დახმარებებით და მოახდინოს დარგის რეაბილიტაცია.

საქართველო ვაჭრობის ლიბერალურ პოლიტიკას ახორციელებს, უფრო მაღალი კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობის მიზნით. სოფლის მეურნეობის სექტორი ძალზე უმნიშვნელოა და ცუდი იმპორტის დაბალი ტარიფებით, საშუალოდ უფრო ნაკლებად, ვიდრე საქართველოს მრავალი სავაჭრო პარტნიორი. ეს ზეგავლენას ახდენს განვითარებაზე. ამ მხრივ დიდ როლს თამაშობს რძის ჩამბარებელი ცენტრების შექმნა, რაც მცირე მწარმოებლებს (უმრავლესობას) საშუალებას აძლევს მოახდინონ საღი რძის მიწოდების კონსოლიდაცია და მიწოდების კონტრაქტები გააფორმონ რძის პროდუქტების მწარმოებლებთან. დღეისათვის 104 ასეთი ცენტრი არსებობს (შეიქმნა შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტის ფარგლებში), მათგან მხოლოდ 20 ფუნქციონირებს. ეს ძირითადად გამოწვეულია მშრალი რძის ფხვნილის ფასის ცვალებადობით და მისი პირდაპირი ზემოქმედებით რძის პროდუქტების შიგა ბაზარზე. როდესაც მშრალი რძის ფხვნილის ფასი დაბალია, ქვეყნის შიგნით გადაუმუშავებელ რძეზე მოთხოვნა კლებულობს, როდესაც მაღალია - პირიქით.



არამდგრადი ფასების გარემოში და რძის პროდუქტების მწარმოებელთა მხრიდან გადახდის არადამაკმაყოფილებელი პრაქტიკის გამო, რძის ჩამბარებელმა ყველა ცენტრმა ფაქტობრივად ფუნქციონირება შეწყვიტა. თუკი კომერციული მესაქონლეობის ფერმებიდან გადაუმუშავებელი რძე მიეწოდება რძის პროდუქტების მწარმოებლებს, ურბანულ დასახლებებსა და საექსპორტო ბაზარს, მაშინ მენახირეები დაკავშირებული იქნებიან სურსათის უვნებლობასთან და ცხოველთა ჯანმრთელობასთან (მიდევნების უნარი და დაავადებათა კონტროლი უფრო მეტ პროფესიონალიზმს მოითხოვს).

აუცილებელია შეიცვალოს ქვეყნის შიგა დაბეგვრის კანონები. გადასახადები და მარეგულირებელი სისტემა მიწის გამოყენებისა და მცირემასშტაბიანი წარმოების არსებული მახასიათებლების შეცვლისთვის რაიმე სტიმულებს არ ქმნის. ქონების გადასახადი მხოლოდ მიწის ნაკვეთებზეა დაწესებული (ქონების გადასახადი: რეგიონის, მიწის ტიპისა და ხარისხის მიხედვით: საძოვარი 2-დან 5 ლარამდე; სასოფლო-სამეურნეო მიწა 8-დან 57 ლარამდე), რომელთა ფართობი ხუთ ჰექტარს აღემატება, მიუხედავად იმისა, მიწას იყენებენ თუ არა. გარდა ამისა, მიწის ინდივიდუალური მფლობელები, რომლებიც სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულთა კატეგორიას მიეკუთვნებიან, არც საშემოსავლოს იხდიან და არც შემოსავალზე დეკლარაციის წარდგენა მოეთხოვებათ, თუკი შემოსავალი წელიწადში 100 000 ლარს არ აღემატება (დაახლოებით 42 000 ევროს). ასევე არ იხდიან დღგ-ს, თუკი ბრუნვა 200 000 ლარზე (84000 ევრო) ნაკლებია. თუ ინდივიდუალური პირის ან პირთა ჯგუფის შემოსავლები ამ ფარგლებს სცდება, მაშინ მათ მოეთხოვებათ ფისკალური იდენტიფიცირება, ფინანსური ორგანოების წინაშე ანგარიშის წარდგენა და გადასახადების გადახდა. ისინი ასევე ექვემდებარებიან ოფიციალურ კონტროლსა და ზედამხედველობას. ასეთი მდგომარეობა ძალზე შემაფერხებელი ფაქტორია სხვადასხვა სახის მწარმოებელთა ჯგუფების ჩამოყალიბებისთვის.

კოოპერატივების შესახებ კანონი საკმაოდ დიდი წინ გადადგმული ნაბიჯია, თუმცა საჭიროა კიდევ უფრო მეტი პოპულარიზაცია და ფერმერებისათვის საკონსულტაციო მომსახურებების გაწევა მარკეტინგისა და გაყიდვის საკითხებში.

სურსათის უსაფრთხოების სტრატეგიის საფუძველზე საქართველომ უნდა განაგრძოს რეფორმების განხორციელება სანიტარული და ფიტოსანიტარულ

სფეროში. - დღეისათვის ევროკავშირში საკმაოდ პოპულარულია და განსაკუთრებით მაღალი ფასით გამოირჩევა ბიო-წარმოება, რომელიც აუცილებლად უნდა გახდეს ქართული აგრარული სექტორის განვითარების ქვაკუთხედი, რადგან სწორედ ესაა სფერო, სადაც ჩვენ შეგვიძლია მოვიპოვოთ შედარებითი უპირატესობა, რამდენიმე მიზეზის გამო:

1. მცირემიწიანობისა და ფრაგმენტული ფერმების გამო შეუძლებელია რაოდენობაზე ორიენტირებული და იაფფასიანი პროდუქციის წარმოებაში შევეჯიბროთ თურქეთს.
2. როდესაც მოხდება მიწის "დაბინძურება" გენმოდირებული პროდუქციით, მასზე ბიო პროდუქციის მოყვანა წლების განმავლობაში შეუძლებელია. დღეისათვის ეს საკმაოდ სერიოზულ პრობლემად იქცა ბევრ ქვეყანაში.
3. ბიო-წარმოება იძლევა საშუალებას, მცირე ფერმების ფარგლებშიც მოხდეს შემოსავლების დივერსიფიცირება და მუდმივი შემოსავლის შექმნა აგრარულ სექტორშიც.
4. საქართველოს ტერიტორიულ-კლიმატური პირობები საუკეთესოა მაღალხარისხიანი და გამოსავლიანი ბიო-პროდუქტების წარმოებისათვის.

სასიცოცხლოდ აუცილებელია, რომ მოხდეს ინვესტორების მხარდაჭერის პროგრამის შექმნა, რათა განხორციელდეს საირიგაციო ნაგებობებისა და ზოგადად რეგიონების განვითარების ხელშეწყობა.

აგრარული ტურიზმის განვითარებისათვის შესაბამისი საკანონმდებლო და საგადასახადო სისტემის უზრუნველყოფა.

გზების რეაბილიტაცია და რეგიონებში ინტერნეტის უზრუნველყოფა, ეს ის საშუალებებია, რომლებიც წაახალისებს ახალგაზრდებს დარჩნენ რეგიონში და იქ მოიპოვონ შემოსავალი. დღეისათვის კი გვაქვს სურათი, როდესაც მიწას ამუშავებენ მოხუცები. არადა სიახლეების დანერგვა და მოძიება, დინამიკურ საბაზრო მართონში აუცილებლად საჭიროა თანამედროვედ მოაზროვნე, აქტიური ბიზნესმენები.

საჭიროა საპენსიო რეფორმის გატარება, რათა მოხდეს გარკვეული ასაკის ადამიანების უზრუნველყოფა და დასაქმების შესაძლებლობას შექმნა ახალგაზრდებისათვის.

ჩვენ არ გვაქვს საშუალება, რომ სატარიფო გზით შევუწყოთ ხელი ექსპორტის სტიმულირებას, მაგრამ გადამამუშავებელი მრეწველობის ხელშეწყობა მთავრობას შეუძლია სუბსიდირებული ფასის საშუალებით, რაც უკვე განახორციელა ამ ხელისუფლებამ ყურძნისა და ციტრუსების შემთხვევაში. საჭიროა, რომ ამ დახმარებას არ ჰქონდეს პერიოდული ხასიათი და გავრძელდეს სისტემატურად. ეს იქნება ერთგვარი ბერკეტიც და მიმანიშნებელიც ბიზნესისათვის, თუ რომელ გადამამუშავებელ მრეწველობაში ღირს ფულის ჩადება. ცხადია გადაწყვეტილებები სუბსიდირების შესახებ უნდა იქნეს მიღებული სერიოზული მარკეტინგული კვლევების საფუძველზე, საერთაშორისო ბაზრებიდან მიღებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

### თავი 3. ექსპორტზე ორიენტირებული აგრარული პოლიტიკა საქართველოში

#### 3.1 აგრარული პოლიტიკის მიზნები დღევანდელ ქართულ რეალობაში

აგრარული პოლიტიკის მიზნები გამომდინარეობს იმ ფაქტიური რეალობიდან, რომელშიც დღეს ქვეყანა იმყოფება და მჭირდოდაა დაკავშირებული არა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან, არამედ რეგიონულ ეკონომიკასა და სოციალურ სფეროსთან. სოციალურად დაუცველთა და უმწევოთა ბაზაში რეგისტრირებული 141 000 ოჯახიდან, 120 000 რეგიონებში ცხოვრობენ და სავარაუდოდ მათ უმეტესობას გააჩნია მიწის ნაკვეთი, რომელიც ან დაუმუშავებელია, ან იმდენად მცირე მოსავალს იძლევა, რომ ოჯახის სიდატაკის ზღვარის დაძლევისთვისაც კი არ არის საკმარისი. [138]

კიდევ უფრო მწვავედ დგას საკითხი მთიანი რეგიონების შემთხვევაში. საქართველოს სასაზღვრო ზოლის ნახევარზე მეტი მთიანი და მაღალმთიანი რეგიონებია, რომლების დიდი ნაწილიც დაცლის საფრთხის წინაშე დგას. მეორე ნაწილი კი ეთნიკურად არაქართველებითაა დასახლებული, რაც ასევე ერთგვარ საფრთხეს ქმნის სასაზღვრო ზოლში.


ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ აგრარული პოლიტიკა მოიცავდეს არა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო, ფერმერული მეურნეობების განვითარების სტრატეგიას, არამედ იყოს რეგიონული პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი.

ჩატარებული კვლევებისა და ევროპული გამოცდილების საფუძველზე მოვახდინეთ ოთხი ძირითადი სტრატეგიული მიზნის ჩამოყალიბება, რომლებიც თავის თავში მოიცავენ ტაქტიკურ მიზნებს.

1. მიწათმოქმედების ხელშეწყობა;
2. რეგიონული განვითარების ხელშეწყობა;
3. აგრო-მრეწველობის განვითარების ხელშეწყობა;
4. ექსპორტის სტიმულირება.

ჩვენი აზრით უახლოესი პერიოდის განმავლობაში, აგრარული პოლიტიკის განხორციელების მიზნები, ისე უნდა ჩამოყალიბდეს, როგორც ეს 3.1 ცხრილშია მოცემული:

**ცხრილი 3.1. საქართველოს აგრარული პოლიტიკის მიზნები**




**მოსახლეობის ცნობიერების და ჩართულობის ამაღლება რეფორმების განხორციელებაში.** - რაც არ უნდა ბევრი კანონი დაიწეროს მთავრობაში, რაც არ უნდა ეფექტიანი მოდელები შეიქმნას განვითარებისთვის, აუცილებელია რომ არსებობდეს ძალა, რომელსაც სურს ამ გეგმაში მონაწილეობა და მისი განხორციელება. სამწუხაროდ დღეს მსგავსი მზაობა არ შეინიშნება. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ყველა დღემდე არსებული მხარდამჭერი პროექტით სარგებლობენ, უკვე არსებული ფერმერები. ანუ ისინი, ვისაც ქონდა გარკვეული ბეზნეს-საქმიანობა და მათი გაფართოება სურდათ. თეორიულად, ეს სულაც არაა ცუდი და შესაძლოა ერთი მხრივ კარგიც იყოს, მაგრამ რეალური შედეგის მიღწევა, მხოლოდ მასშტაბის ეფექტით მიიღწევა და ამისათვის საჭიროა ისედაც მცირე სასოფლო-სამეურნეო მიწები სრულად ჩაერთოს წარმოებაში.

**მიწის რესურსის გამსხვილება.** ქართული აგრარული სექტორის ყველაზე დიდი პრობლემაა ძალიან ფრაგმენტირებული მიწები, რომელზეც ფაქტიურად შეუძლებელია მოგების მომტანი ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება. შესაბამისად აგრარული პოლიტიკის აუცილებელი კომპონენტი უნდა იყოს ფერმერების კოოპერაციის სხვადასხვა ფორმების ჩამოყალიბება და განვითარება.


**ბიო-წარმოების განვითარება.** წარმოების სტიმულირებისათვის მეტად დიდ როლს თამაშობს გასაღების ბაზრის არსებობა. დღეისათვის საქართველოს ექსპორტის სტრუქტურაში ქვეყნების მიხედვით აზერბაიჯანი და სომხეთი "ლიდერობენ", აგტომობილების რეექსპორტის ხარჯზე, რომელსაც სამწუხაროდ უკვე წლებია "საპატიო" პირველი ადგილი უჭირავს ქართული ექსპორტის სტრუქტურაში. (იხ. დიაგრამა 3.2 და 3.3) ინფორმაცია რეალურად საქართველოში წარმოებული აგრარული პროდუქციის ექსპორტის მოცულობის შესახებ, ქვეყნების მიხედვით, სამწუხაროდ ვერ მოვიპოვეთ. თუმცა ფაქტია, რომ დსთ-ს ქვეყნებში მოდის ქვეყნის ექსპორტის 50% და ეს ბაზარი ყველაზე მეტად არამყარი და ცვალებადია რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური და კონფლიქტური სიტუაციებიდან გამომდინარე.

შესაბამისად დგება საჭიროება, რომ მოხდეს სტაბილური ბაზრების კიდევ უფრო განვითარება და გაზრდა. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება და DCFTA რეჟიმზე გადასვლა შესაძლოა ერთ-ერთი ასეთი შესაძლებლობაა.

დიაგრამა 3.2 საქართველოს ექსპორტის სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით



დიაგრამა 3.3 საქართველოს ექსპორტის სტრუქტურა (დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ქვეყნების მიხედვით



რა თქმა უნდა, ჩვენ არ შეგვიძლია ევროკავშირში პროდუქციის დღესვე ექსპორტირება, ამის დასტურია ის სტატისტიკა, რომელიც წინა თავებში მოვიყვანეთ და სწორედ ამიტომ აუცილებელი ევროპული სტანდარტების შესაბამისი, მომხმარებელზე ორიენტირებული წარმოების განვითარება. ევროპელი მომხმარებელი გარკვეულია პროდუქციის ხარისხის სტანდარტებში და ცხოვრების დონის ზრდასთან ერთად, სულ უფრო მეტად იზრდება ეკოლოგიურად სუფთა კვების პროდუქტებზე მოთხოვნა. ეს კი არც თუ ისე სწრაფად ათვისებადი ბაზარია, რადგან სუფთა პროდუქციის მოყვანის რესურსი შეზღუდულია. რაც შესაძლოა კონკურენტულ უპირატესობად იქცეს საქართველოსათვის.

**სოფლად ახალგაზრდების დაბრუნება** რეგიონებში ცხოვრების დონის გაზრდითა და ინფრასტრუქტურის მოწყობის საშუალებით, ის აუცილებელი პირობაა, რომლის გარეშეც ყველა სხვა რეფორმა აზრს დაკარგავს, რამდენადაც მას უბრალოდ არ ექნება მიზნობრივი სეგმენტი. დღეისათვის შეიმჩნევა სოფლების მკვეთრად "დაბერების" პროცესი. ახალგაზრდობა ვერ ჩერდება რეგიონში, სადაც არ არის საყოფაცხოვრებო და განვითარებისა თუ გართობისათვის საჭირო ელემენტარული პირობები და გადადის რაიონულ ცენტრებში ან დედაქალაქში. შედაგად ვიღებთ თბილისს, როგორც გიგანტურ მეგაპოლისს, სადაც ცხოვრობს საქართველოს მოსახლეობის თითქმის 40% და დაცლილ რეგიონებს.

**ფასების სტაბილურობის ხელშეწყობა (სუბსიდირებული ფასი).** ხილის, ბოსტნეულისა თუ სხვა ნედლეულის წარმოება, თავისთავად ქმნის ნოყიერ ნიადაგს აგრარული მრეწველობის განვითარებისათვის, მაგრამ აქ წარმოიშობა ინტერესთა კონფლიქტი ნედლეულის მიმწოდებელსა და გადამამუშავებელ საწარმოს შორის: გლეხის ინტერესია რაც შეიძლება მაღალ ფასად ჩააბაროს მოსავალი, რათა მის მიერ გაწეული შრომა დაფასდეს და შეძლოს ღირსეული ცხოვრება, მის მიერ გამომუშავებული ფულით, ხოლო მწარმოებელს სურს რაც შეიძლება ნაკლებ ფასად მოიპოვოს მაღალხარისხიანი ნედლეული, რათა საბოლოო პროდუქტის ფასი კონკურენტუნარიანი იყოს ბაზარზე და მისცეს მოგება.

**კონკურენტული ჯიშების გამოვლენა/გამოყვანა.** აგრარული სექტორის ანალიზი მოსავლიანობის და რეგიონული სპეციალიზაციების მიხედვით პერიოდულად ტარდება აგრარული უნივერსიტეტის ბაზაზე. მათ შორის, პროფესორი ომარ ქეშელაშვილი



განხილავს საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის სქემებს და მოიცავს აგრარული სექტორის ანალიზს მოსავლიანობის და რეგიონული სპეციალიზაციების ფორმით. (იხ. დანართი 6)

თუმცა არც ამ და არც სხვა ნაშრომებში არაა განხილული თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროდუქტებისა და ჯიშების განვითარების პოტენციური რესურსები და შესაძლო ზონალობები. მათი მოყვანის მაქსიმალური შესაძლო მოცულობა და სხვა პარამეტრები. სწორედ ამ ტიპის კვლევის ჩატარება უნდა უზრუნველყოს ხელისუფლებამ, რათა მოხდეს ისეთი ტიპის მოთხოვნადი და საქართველოს კლიმატთან კარგად ადაპტირებადი კულტურების გამოვლენა, რომელთაც მაღალი საექსპორტო პოტენციალი გააჩნიათ.

**სექტორის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა.** მიწა და ბუნებრივი რესურსები მოითხოვს საკმაოდ ფაქიზ მიდგომას, რადგან შესაძლოა მათთვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენება, რომელიც წლების შემდეგ გამოუსადეგარს გახდის მას.

გადაჭარბებული ძოვება, ტყის საფარის კარგვა და ტერიტორიების დაუგეგმავი ათვისება ურბანული განვითარების მიზნით - მიწის დეგრადაციის გამომწვევი მთავარი ფაქტორებია. ნიადაგის ეროზია, რომელიც რიგ შემთხვევებში ბუნებრივი მოვლენაა, მწვავედება ადამიანის მიერ ნიადაგის არამდგრადი გამოყენებით.

ნიადაგის ნაყოფიერება დამოკიდებულია ასევე დამლაშების ხარისხზე. აღნიშნული პროცესები გამოწვეულია ქანების გამოფიტვით, რომელიც ყალიბდება ნაკლებად მინერალიზებული გრუნტის წყლის გავლენით და სხვ. ნიადაგის ნაყოფიერება მცირდება ნიადაგის ჭარბი მჟავიანობითაც, რომლის გამომწვევი მიზეზებია ჰიდროლიზებად და ქიმიურად მჟავე მარილების შემცველი სასუქების არამდგრადი გამოყენება, მჟავე ნალექები და სხვ. გარდა ამისა, ადგილი აქვს ნიადაგის დაბინძურებას სოფლის მეურნეობაში სასუქების (ორგანული და მინერალური) და შხამქიმიკატების არამდგრადი გამოყენებით, ნიადაგში მძიმე მეტალების მოხვედრით, ასევე ნიადაგების საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ნარჩენებით დაბინძურებისას. განსაკუთრებით, აღმოსავლეთ საქართველოს ლანდშაფტები მგრძნობიარენი არიან თანამედროვე კლიმატის ცვლილების მიმართ.

ამიტომ საჭიროა ძირითადი ყურადღება გამახვილდეს აღმოსავლეთ საქართველოში მიმდინარე გაუდაბნოების პროცესებზე. [73]

ამასთან, საზოგადოებამ უნდა იცოდეს და ესმოდეს რაოდენ მნიშვნელოვანია იმ გარემოს დაცვა, სადაც ცხოვრობს და რა საფრთხეების წინაშე შეიძლება დადგეს გარემოს არარენტაბელური გამოყენებით.

აუცილებელია კონტროლის მექანიზმების-მონიტორინგის, ინსპექტირებისა და კანონდღსრულების სისტემების გაუმჯობესება და მათთვის რეალური ძალაუფლების მინიჭება;

**აგრარული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.** საწარმოო ინფრასტრუქტურა გვევლინება როგორც ეკონომიკური კატეგორია, საწარმოო ძალების განუყრელი ნაწილი, რომლის გამართულ მუშაობაზე არსებითადაა დამოკიდებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოს (მიუხედავად საწარმოო მიმართულებისა და საკუთრების ფორმისა) ნორმალური ფუნქციონირება.

სოფლის მეურნეობის საწარმოო ინფრასტრუქტურა მოიცავს ტრანსპორტის ყველა სახეს (საავტომობილო, სარკინიგზო, საზღვაო, საჰაერო), მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას, სასაწყობო და სამაცივრო მეურნეობას, სამელიორაციო, საგზაო, აგროქიმიურ, მცენარეთა დაავადებებისაგან დაცვის, ზოოვეტერინარულ და სხვა სამსახურებს, რომელთა როლი პროდუქციის დანაკარგების მინიმუმამდე შემცირებასა და მომხმარებელამდე პროდუქციის დროულ მიტანაში გამოიხატება. ორივე ფაქტორი არსებითად ზრდის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკურ ეფექტიანობას.

ფუნქციონალური დატვირთვის მიხედვით სოფლის მეურნეობის საწარმოო ინფრასტრუქტურა იყოფა ორ მთავარ სფეროდ. პირველი სფერო სასოფლო-სამეურნეო წარმოების მომსახურებაა, ხოლო მეორე კი – სოფლის მეურნეობის პროდუქციისათვის საბოლოო სახის მიცემას და მომხმარებელამდე მიტანას ემსახურება. პირველი სფერო მოიცავს სარემონტო და ტექნიკური მომსახურების დარგებსა და საწარმოებს, აგრეთვე სატრანსპორტო, სამელიორაციო, აგრო, ზოოვეტერინარულ და სხვა სახის სამსახურებს, ხოლო მეორეში გაერთიანებულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავების, ტრანსპორტირების, შენახვის ორგანიზაციები და საწარმოები. მათვე მიეკუთნება სასაწყობო და სამაცივრო

მეურნეობები, მარცვლეულის ელევატორები, შემფუთავი, დამხარისხებელი და სხვა სახის საწარმოები და ორგანიზაციები.

სოფლის მეურნეობის საწარმოო ინფრასტრუქტურაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი როლი სატრანსპორტო საშუალებებს განეკუთვნება. სასოფლო-სამეურნეო წარმოების დიდ ტერიტორიებზე გაადგილება და პროდუქციის გასადგობის ბაზრების დაშორება წარმოების ადგილებიდან განაპირობებს ტრანსპორტის განვითარების ობიექტურ აუცილებლობას და სატრანსპორტო დანახარჯების მნიშვნელოვან წილს წარმოების დანახარჯებში. [76]

ირიგაცია წარმოადგენს ნიადაგების გაუმჯობესების –მელიორაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას. სათანადო წყლის რეჟიმის შექმნა, მოწესრიგება დიდ გავლენას ახდენს ნიადაგში ორგანული ნივთიერებების დაგროვებისა და დაშლის პროცესებზე. იგი ნიადაგის ჰაერაციის, სითბურ და კვების რეჟიმებზე აქტიური ზემოქმედებით ხელს უწყობს მიწის ნაყოფიერების ზრდას. წყლის რეჟიმის რეგულირება ხორციელდება მორწყვითი, გამწყვლოვანებელი და დაშრობითი რეჟიმებით. ირიგაციის მიზანია ნიადაგში მცენარეთა განვითარებისათვის საჭირო ტენიანობის შექმნა, ტენის აორთქლების შემცირება, ნიადაგის მინერალიზაციის დაქვეითება. მორწყვის შედეგად სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა 20-50% და მეტად იზრდება. მრავალწლიანი დაკვირვებები გვიჩვენებს განსხვავებებს სხვადასხვა კულტურების მოსავლიანობაში სარწყავ და ურწყავ ფართობებზე. ასე მაგალითად, გასული საუკუნის 70-იან წლებში გორის რაიონის სოფ. მეჯვრისხევის და გარდაბნის რაიონის სოფ. სართიჭალის მეურნეობებში მორწყვის გარეშე ჰექტარზე იღებდნენ 15-20 ცენტნერ სიმინდის მოსავალს, მორწყვის შედეგად კი მათ მიიღეს 47-60 ცენტნერი, ანუ 1,9-2,0 - ჯერ მეტი; გორის რაიონის სოფ. ხელთუბნისა და სიღნაღის რაიონის სოფ. მაჩხაანის მეურნეობებმა საშემოდგომო ხორბლის ნათესის ერთი ჰა-დან მორწყვის შედეგად მიიღეს 30-35 ცენტნერი, მოურწყველად უნდა აღებულიყო 15-20 ცენტნერი. გარდაბნის რაიონის მუხროვანის მეურნეობაში საშუალოდ 1 ჰა სარწყავი ფართობიდან „ავრორა“-ს ჯიშის ხორბლის მოსავალი 45-63 ცენტნერი მიიღეს. გურჯაანის რაიონის სოფ. კარდანახში, დიდი გვალვების მიუხედავად, მორწყვის შედეგად 74 ცენტნერი ნიორი აიღეს, როდესაც მოურწყველად გათვალისწინებული იყო 40 ცენტნერის მიღება. დასავლეთ საქართველოში ზემო

იმერეთის ტერიტორიაზე, სადაც ძირითადად სიმინდის ნათესებს რწყავდნენ, მორწყული ფართობიდან 2-ჯერ მეტ მოსავალს იღებდნენ. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ჩაის (დაწვიმებითი ხერხით) და ციტრუსების რწყვა, დაკვირვებები ცხადყოფდა, რომ მორწყვის შედეგად 50-75%-ით იზრდებოდა მოსავლიანობა[33]. აღსანიშნავია, რომ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში სასოფლო-სამეურნეო მიწების მორწყვა მწვავე აუცილებლობას წარმოადგენს, ხოლო დასავლეთ ნაწილში, ტენიანი კლიმატის მიუხედავად, გარკვეული კულტურების მორწყვა ასევე აუცილებელია ცხელი ზაფხულის პირობებში. ირიგაციაში, მკვებავი წყაროს ხასიათის მიხედვით, განასხვავებენ მორწყვის სახეებს:

ა) მდინარეების ან მდინარისეულ წყალსაცავებში დაგროვილი წყლით რწყვა;

ბ) მცირე მოცულობის წყალსაცავებში დაგროვილი ადგილობრივი ჩამონადენი წყლით რწყვა;

გ) გაზაფხულის პერიოდში შეგროვილი ადგილობრივი ჩამონადენით, სარწყავ ფართობზე დაბალი ზვინულების ან დამბების მოწყობით (ლიმანური მორწყვა);

დ) მიწისქვეშა წყლებით, რომელთა მოპოვება წარმოებს ჭებისა და წყალშემკრები გაღერების საშუალებით. წყალი მკვებავი წყაროდან მიჰყავთ მოსარწყავ ფართობამდე და მასზე ნაწილდება სარწყავი სისტემების საშუალებით.

სარწყავი სისტემა წარმოადგენს საჭირო ნაგებობით, არხებითა და მილსადენებით აღჭურვილ ერთობლიობას. მკვებავი წყაროდან ამა თუ იმ წესით მიღებული წყლის გასანაწილებლად კეთდება სარწყავი ქსელი – მაგისტრალური, გამანაწილებელი და შიგასამეურნეო არხები. ადგილის გაწყლოვანება წარმოადგენს ღონისძიებას, რომლის მიზანია წყლით სასოფლო-სამეურნეო საგარეულების უზრუნველყოფა.

თანამედროვე ეტაპზე, ირიგაციის საინჟინრო-ტექნიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით განხილვისას, განასხვავებენ წყლის მიწოდებას თვითდინებით და მექანიკური დანადგარების მეშვეობით. ამ უკანასკნელზე საუბრისას განიხილავენ წყლის სატუმბი სადგურის სიმძლავრეს, წყლის აწევის სიმაღლეს, ელექტროენერჯის დანახარჯს და სხვ. აღსანიშნავია, რომ მექანიკური (სატუმბი) საშუალებებით წყლის მიწოდება, თვითდინებით წყლის მიწოდებასთან შედარებით, უფრო მაღალი საოპერაციო დანახარჯებით ხასიათდება.

გარდა ზემოაღნიშნული, ცნობილი მეთოდებისა, დღეისათვის მსოფლიო პრაქტიკა იცნობს დაწვიმებით მორწყვის სპეციალურ დანადგარებს, რომლებიც მინიმუმ 3-ჯერ ამცირებენ საჭირო წყლის რაოდენობას და ამცირებენ ნიადაგების დამლაშების ალბათობას, რაც საკმაოდ მაღალია წყლის თვითდინებით მიწოდებისას, რადგანაც ხდება ნიადაგის არათანაბრად გაჯერება წყლით.

სარწყავი სისტემის მართვა გულისხმობს ნიადაგის ტენიანობის დინამიკის საფუძველზე, მოსარწყავ ფართობზე არსებულ მცენარეთა წყლის საჭიროების რეჟიმის დადგენას, მკვებავი წყაროს რესურსის (დებეტის) განსაზღვრას და სარწყავი სისტემის ძირითადი სქემის შემუშავებას, რომელმაც წყლის მიწოდება უნდა უზრუნველყოს განსაზღვრულ ვადებში, სათანადო ნორმებით. საირიგაციო სექტორის განვითარების დაგეგმვას, პრიორიტეტების განსაზღვრას, ეფექტიანობის გადიდების გზების ძიებას განსაკუთრებული ადგილი უკავია აგრარულ პოლიტიკაში.

ქვეყნის საირიგაციო პოლიტიკა, ირიგაციის განვითარება, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, შეიძლება გარკვეული ხნით შეფერხდეს ან შეჩერდეს, მაგრამ აგრარული განვითარების აუცილებლობა განაპირობებს ირიგაციის აღორძინებისა თუ დაჩქარებული განვითარების საჭიროებას.

ირიგაციის პოლიტიკაზე საუბრისას უპირველესად გამოყოფენ სამ მიზანს: ეფექტიანობას, სამართლიანობას და მდგრადობას [72].

ირიგაციის ეფექტიანობაზე საუბრისას, ფართო გაგებით, აქცენტი კეთდება წყლის რესურსების მაქსიმალურად ეკონომიურად გამოყენებაზე სოფლის მეურნეობაში და მისი მიწოდების გადიდებაზე სხვა სექტორებისათვის, სადაც იგი მონაწილეობს უფრო მაღალი (მეტი) ღირებულების შექმნაში. უშუალოდ ირიგაციის სექტორის ეფექტიანობის გადიდება დამოკიდებულია წყლის რესურსების სათანადო მართვაზე, მის ოპტიმალურ დაგროვებას, განაწილებასა და დროულ მიწოდებაზე, ასევე დანაკარგების შემცირებაზე და ა.შ.

სოფლის მეურნეობის ირიგაციის ეფექტიანობის გადიდების ფართო მიზანი უნდა დაიყოს ირიგაციის სექტორის ოპერაციულ ქვემიზნებად, სადაც გათვალისწინებული იქნება როგორც ირიგაციის მომხმარებელთა ინტერესები, ისე ფინანსური და ინსტიტუციური ხასიათის საკითხები. აღნიშნულმა ქვემიზნებმა უნდა მოიცვას:

- ირიგაციის განსაზღვრული გეგმის ეფექტიანობის ამაღლება;

- ირიგაციით მეტი პროდუქტიულობის (ნაყოფიერების) მიღწევა, ე.ი. გამოყენებული წყლის ერთეულიდან მიღებული ეკონომიკური შედეგების გაუმჯობესება;
- ღარიბი შინამეურნეებისათვის, განსაკუთრებით ქალებისათვის, ირიგაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
- წარმოებული პროდუქციის ერთეულზე ფაქტობრივი წყლის მოხმარების შემცირება;
- ირიგაციის მთლიანი დანახარჯების შემცირების უზრუნველყოფა;
- ეროვნულ ბიუჯეტში ირიგაციის ფისკალური ხარჯების შემცირება;
- გარემოსდაცვითი მდგრადობის გაუმჯობესება;
- საირიგაციო სისტემების მდგრადობის ინსტიტუციური გაუმჯობესება;

სარწყავი წყლის სამართლიანი განაწილება ირიგაციის სისტემის ფარგლებში, მცირე მეურნეობებსა და ღარიბ ფერმერებზე (გლეხებზე) წყლის თანაბრად (სამართლიანად) მიწოდება არის ირიგაციის განვითარებისა და მართვის მნიშვნელოვანი პრიორიტეტი. სარწყავი წყლის განაწილების სამართლიანობის მოთხოვნა საჭიროებს საგანგებო აღნიშვნას, რადგან პრაქტიკაში ხშირად ამაზე არ კეთდება აქცენტი. გლეხები თუ მცირე და საშუალო ზომის საოჯახო მეურნეობები არ უნდა იყვნენ მოკლებულნი ამ აუცილებელ, სასიცოცხლო რესურსს.

ირიგაციის მდგრად ფუნქციონირებაში იგულისხმება მისი ფისკალური, ინსტიტუციური და გარემოსდაცვითი მნიშვნელობები. ქვეყნების მრავალ საირიგაციო გამოცდილებებში ინსტიტუციური ასპექტების მონაცემები არ არის წარმოდგენილი სათანადოდ, ეს ეხება როგორც წყლის მიმწოდებელთა სახელმწიფო დაწესებულებებს, ისე წყლის მომხმარებელთა გაერთიანებებს თუ ორგანიზაციებს. ირიგაციის გარემოსდაცვითი მდგრადი მნიშვნელობა მოიხსენიება უპირველესად, წყლის რესურსების სწორი ბალანსის მისაღწევად და მარილის სათანადო შემცველობით უზრუნველსაყოფად[15].

1988 წლის მონაცემებით, საქართველოში მეღორეობის ფართობი მთლიანად შეადგენდა 989,5 ათას ჰა-ს. მათ შორის საწრყავი ფართობი შეადგენდა 469,3 ათას ჰა-ს, აქედან 328,6 ათასი ჰა(70%) ირწყვებოდა თვითღინებით, ხოლო 14,7 ათასი ჰა მექანიკური მორწყვით (სატუმბი სადგურების მეშვეობით). 357,9 ათასი ჰა შეადგენდა

გაწელოვანებული საძოვრები; აქედან 240 ათასი ჰა(67%) იყო მექანიკური გაწელოვანებით. 162 ათასი ჰა დაშრობილი ფართობიდან 31,1 ათასი ჰა(20%) შრებოდა მექანიკური წესით (გადატუმბვით).

1992 წლის მონაცემებით საქართველოში ირწყევებოდა 422 ათასი ჰა, ხოლო დაშრობა ხორციელდებოდა 130 ათას ჰა-ზე. ამ მიწებზე მოდიოდა ბოსტნეულის 75%, კარტოფილის 70%, მარცვლის 45%, ყურძნის 65%, ხილის 85%, და ა.შ. აღნიშნული ფართობების მორწყვას ემსახურებოდა 153 დიდი თუ მცირე სარწყავი სისტემა, მათ შორის 19 მაგისტრალური არხი, 35 სატუმბი სადგური, 134 ლოკალური არხი და ირიგაციული დანიშნულების 34 წყალსაცავი. კოლხეთის დაბლობზე ფუნქციონირებდა 10-მდე მაგისტრალური დამშრობი არხი და მრავალი სატუმბი სადგური [33].

2001 წელს საქართველოს მთავრობამ თხოვნით მიმართა მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციას (IDA) ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების რეაბილიტაციის პროგრამის განხორციელების თაობაზე. პროგრამის განხორციელება განისაზღვრა სამ ფაზად 12 წლიანი პერიოდით, რომლის განსახორციელებლად გამოიყო დაახლოებით 110 მლნ აშშ დოლარი. აქედან, IDA-ს ადაპტირებადი საპროგრამო კრედიტის, 90 მლნ აშშ დოლარის ოდენობის გამოყოფა მოხდებოდა სამ ტრანშად(ფაზების შესაბამისად). პროგრამის ძირითად მიზანს შეადგენდა ირიგაციისა და დრენაჟის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და სოფლის მეურნეობის გრძელვადიანი განვითარებისათვის ინსტიტუციური საფუძვლის მომზადება. პროექტი მთლიანად ითვალისწინებდა თანამედროვე ტიპის სამელიორაციო ორგანიზაციების ჩამოყალიბებას 255 ათას ჰაზე, აქედან 125 ათას ჰა-ზე გათვალისწინებული იყო სამელიორაციო სისტემათა სრული, ხოლო 130 ათას ჰა-ზე მხოლოდ შიგასამეურნეო ქსელის რეაბილიტაცია. ამავე წელს საქართველოს მთავრობისა და IDA-ს მიერ გაფორმდა „ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტი“ (პროგრამის I ფაზა) და ხელი მოეწერა საკრედიტო ხელშეკრულებას. IDA-ს მიერ გამოიყო 27 მლნ აშშ დოლარი შეღავათიანი კრედიტი (გადახდის ვადა 40 წელი, 0,75 საპროცენტო განაკვეთით, კრედიტის გრანტ ელემენტი 75,7%; საქართველოს თანამონაწილეობა შეადგენდა 5,5 მლნ აშშ დოლარის ეკვივალენტს (მთლიანი ღირებულების 17%-ს). ხელშეკრულების თანახმად, სამელიორაციო ასოციაციებისათვის უზურფრუქტის წესით გადაცემული

სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ქონება უნდა გათავისუფლებულიყო ქონების გადასახადისაგან, ასევე უნდა შეტანილიყო ცვლილებები და დამატებები „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონში. აღნიშნული პროგრამის I ფაზა, რომელიც ითვალისწინებდა ფასიანი წყალმომსახურების დანერგვას და სახელმწიფო ბიუჯეტის თანდათანობით გათავისუფლებას საექსპლუატაციო ხარჯებისაგან, განხორციელდა 2002-2006 წლებში.

პროგრამის I ფაზით გათვალისწინებული იყო წყალმომხმარებელთა ასოციაციების ჩამოყალიბება და საირიგაციო სისტემების ძირითადი და შიგასამეურნეო ქსელების რეაბილიტაცია 16 ათას ჰა-ზე, დრენაჟის მომხმარებელთა ჩამოყალიბება, სადრენაჟო სისტემების ძირითადი და შიგასამეურნეო ქსელების რეაბილიტაცია 4 ათას ჰა-ზე, სამელიორაციო ასოციაციების ჩამოყალიბება და შიგასამეურნეო ქსელის რეაბილიტაცია 40 ათას ჰა-ზე და სამელიორაციო ასოციაციების ჩამოყალიბება 50 ათას ჰა-ზე.

აღსანიშნავია, რომ სამელიორაციო ასოციაციები ვალდებულნი იყვნენ სამმართველოსთვის გადაეხადათ მიღებული წყლის რაოდენობის შესაბამისი თანხა და ამდენად თვით ასოციაციები იქნებოდნენ დაინტერესებულნი მიღებული წყლის რაოდენობის სწორად დადგენაში. აღნიშნული პროგრამის I ფაზის დასრულების შემდგომ, საქართველოს იმდროინდელმა მთავრობამ, ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე, შეაჩერა პროგრამის განხორციელება და იგი მხოლოდ 2013 წლიდან განახლდა. 2013 წლიდან დღემდე გაწმენდილი და შეკეთებულია სარწყავი სისტემების 1291.5 კმ მაგისტრალური არხი და პირველი რიგის გამანაწილებელი. სამუშაოები რა თქმა უნდა გაგრძელდეს. [96]

**აგრო-დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბება.** სადაზღვევო სისტემა მეტად მნიშვნელოვანია აგრარულ სექტორში, რამდენადაც ძალიან დიდია არასასურველი კლიმატის ან სხვა ბუნებრივი პირობების გამო მოსავლის დაკარგვისა და დაზიანების საშიშროება. ეს კი აფერხებს სფეროს დაკრედიტებას, აგრეთვე უქრობს მოტივაციას მცირე ფერმერებს, რომელთათვისაც ერთი სექტვა შესაძლოა მთელი წლის შრომის ფასად დაუჯდეთ. შესაბამისად დაზღვევის განვითარება შესაძლოა სექტორის დაკრედიტების, ფრანჩაიზული ხელშეკრულებებისა და დარგში რესურსების მოზიდვის მოტივატორი გახდეს.



**ინსტიტუციური მოწყობის დახვეწა, განვითარება.** - დღეისათვის აგრარულ პოლიტიკას ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მასში შემავალი სსიპ-ები:

- სურსათის ეროვნული სააგენტო;
- ღვინის ეროვნული სააგენტო;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო;
- სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო;
- საქართველოს გაერთიანებული სამედიორაციო სისტემების კომპანია;
- შპს "მექანიზატორი";

რომლებიც ახდენენ სამინისტროს ან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელების უზრუნველყოფასა და მონიტორინგს. ინფრასტრუქტურულ პროექტებს კი ახორციელებენ რეგიონული თვითმმართველობები.

აუცილებელია ამ ორგანიზაციების ეფექტიანობის გაზრდა. პროექტის განხორციელების კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესება და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება.

გარდა ამისა, საჭიროა მაკოორდინირებელ დონეზე კერძო სექტორის (არასამთავრობო, არაკომერციული ან კომერციული ორგანიზაციები) განვითარების ხელშეწყობა. ეს საშუალებას მისცემს სამინისტროს, ნაკლები რესურსით მოახდინოს ინდივიდუალური ფერმერების საჭიროებების განსაზღვრა და მიზნობრივი განვითარების ხელშეწყობა.

**საგანმანათლებლო და კულტურული ცენტრების ჩამოყალიბება.**

გამოკითხვისას მიღებული მონაცემებით, ყველა დარგის ფერმერები აღნიშნავენ, რომ მათ არ გააჩნიათ მისაწვდომობა თანამედროვე ტექნოლოგიებზე, ახალ ცოდნასა და წარმოების მეთოდებზე, რაც მკვეთრად ამცირებს მათი შემოსავლის ოდენობას და უზრდის ხარჯებს. ამიტომ აუცილებელია რეგიონებში ტექნიკური სასწავლებლების და გადამზადების ცენტრების განვითარება.

**ტურიზმის განვითარება** გამოიწვევს რეგიონებში შემოსავლების დივერსიფიკაციას და მომსახურების სფეროს გაფართოებას. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ ასტიმულირებს მცირე ბიზნესისა და საოჯახო მეურნეობების

განითარებას. შედეგად მიიღება ახალი სამუშაო ადგილები და დამატებითი შემოსავალი სოფლად მცხოვრებთათვის.

აკადემიკოსი ლადო პაპავა მიიჩნევს, რომ ტურიზმის ადგილობრივ წარმოებასთან შედარებით სწრაფი ტემპით განვითარება, ქმნის საფრთხეს, რომ გაღრმავდეს დისბალანსი ექსპორტ-იმპორტს შორის და ქვეყნის მომხმარებლური ეკონომიკის უარყოფითი მარჯა კიდევ უფრო გაიზარდოს. სწორედ ამიტომ აუცილებელია პარალელურ რეჟიმში მოხდეს რეგიონული განვითარებისა და ტურიზმის წახალისება. წინააღმდეგ შემთხვევაში უარყოფით ეფექტს მივიღებთ.

### **ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კომპლექსური მეურნეობების განვითარება.**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ევროპაში ძალიან პოპულარულია რეგიონის კომპლექსურად განვითარების მოდელები, რომლებიც გულისხმობს არა მხოლოდ აგრარული წარმოების განვითარებას, არამედ მოიცავს სოფლად ცხოვრების დონის ამაღლებას, აგრო-ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას და საოჯახო მეურნეობებისათვის შემოსავლების დივერსიფიცირების შესაძლებლობას გაზრდას.

ვფიქრობთ ჩვენს შემთხვევაში პირდაპირ აუცილებელია მსგავსი მოდელის გამოყენება, რამდენიმე მიზეზის გამო:

1. დღეს სოფლად უბრალოდ აღარ დარჩა ადამიანი, რომელიც მინიმუმ განავითარებს სოფლის მეურნეობას. ახალგაზრდობის უდიდესი ნაწილი ცდილობს ქალაქში ცხოვრებას. განსაკუთრებით ეს ეხება მაღალმთიან და "ცხოვრებისათვის ნაკლებ სახარბიელო ტერიტორიების" (გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ტერმინი) მცხოვრებლებს. შესაბამისად საჭიროა ასეთი რეგიონების განსაკუთრებული მხარდაჭერა, კერძოდ, ალტერნატიული შემოსავლის, ცხოვრების დონის გაზრდის და ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის დამატებითი ხარჯების გამოყოფა.
2. დაბალხონიან და შედარებით განვითარებული ინფრასტრუქტურის მქონე სოფლებშიც საკმაოდ სერიოზული პრობლემებია გაზიფიცირებისა და წყლის მიწოდების კუთხით. აღარაფერს ვამბობთ ინტერნეტზე და სოფლის ისეთი ტიპის ინფრასტრუქტურაზე, როგორცაა გზები, სამედიცინო მომსახურება, გასართობი საშუალებები(კინო, თეატრი) და სხვა. (იხ. დანართი 5)

ამ საკითხების მოგვარება ერთი შეხედვით სცდება ვიწროდ აგრარული პოლიტიკის ფარგლებს და უფრო რეგიონული პოლიტიკის ჭრილში მოითხოვს განხილვას, თუმცა ამ პრობლემების გვერდის ავლის გარეშე აგრარული პოლიტიკის რეალური განმხორციელებლების პრობლემა დადგება.

**შემოსავლების დივერსიფიკაციის უზრუნველყოფა.** აგრარულ სექტორში დასაქმებულთა შემოსავლები დღეისათვის ძალიან მცირეა და სეზონურობით ხასიათდება, იმის მიუხედავად, აგრარული სექტორის რომელ დარგშია პირი დასაქმებული, თავად ამუშავენს მიწას, თუ კერძო კომპანიაშია როგორც დაქირავებული მუშახელი.

მეტ-ნაკლები სტაბილურობით გამოირჩევა ღვინის და წველების გადამამუშავებელი ქარხნების თანამშრომლების შემოსავლები, თუმცა შეკვეთების რაოდენობის მიხედვით შესაძლოა ისიც მკვეთრად შეიცვალოს. მაგალითად, გამოკითხვისას იყო შემთხვევები, როდესაც გლეხები ამბობდნენ, რომ ხშირად მათ მიერ გამომუშავებული თვიური ხელფასი 50-60 ლარს არ სცდება.

შედარებით მეტი აქვთ შემოსავალი მეხილეობის სექტორში დასაქმებულ ფერმერებს, რომელთა ბაღების ფართობი 13ა ან მეტია, თუმცა თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს მათი ერთადერთი შემოსავალია მთელი წლის განმავლობაში, მოყვანის ხარჯების გამოკლებით, მთელ წელზე გადანაწილებისას, თვიური შემოსავალი საშუალოდ 500-800 ლარს გაუტოლდება. ესეც იმ შემთხვევაში, თუ მათ სრულად მოახდინეს თავიანთი მოსავლის რეალიზაცია და ეს კი ყოველთვის არ ხერხდება.

შედარებით უკეთესი სიტუაციაა დასავლეთ საქართველოში, სადაც ციტრუსების და თხილის შედარებით განვითარებული ბაზარია და მიუხედავად რუსული ემბარგოსი, ლეგალური თუ არალეგალური გზებით(აფხაზეთის გავლით), ქართული მანდარინი მაინც ხვდება რუსეთის ბაზარზე. თუმცა 2006 წელს იყო პრეცედენტი, როდესაც, ფერმერებს ტონობით მანდარინის გადაყრა მოუწიათ.

პრობლემას ამწვავებს ისიც, რომ საქართველოში თითქმის არაა სამაცივრე და გადამამუშავებელი მეურნეობები, შესაბამისად ფერმერმა ღროის მცირე მონაკვეთში უნდა მოასწროს ხილის რეალიზება, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ღირებულება ძალიან მცირდება და ხშირად მოსავალი უფუჭდებათ კიდევ მის რეალიზებამდე.

აქ თავს იჩენს მეორე პრობლემა-აღებულ თანხას ფერმერები არ აბრუნებენ კვლავწარმოების პროცესში შრომის მწარმოებლურობის ან შემოსავლის გაზრდისათვის თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების განვითარებისათვის. თანხა მთლიანად იხარჯება ოჯახის საჭიროებებისათვის.

წარმოების ინტენსიფიკაციისა და ფერმერული მეურნეობების გამსხვილების ხელშეწყობა ისეთი მნიშვნელოვანი აქტივის, როგორც მიწაა, მცირე ფრაგმენტაციის უარყოფით შედეგებს შეამცირებს და დაეხმარება ფერმერებს ინვესტიციების მოზიდვასა თუ მათი შრომის კომერციალიზაციაში. ფერმერებს აღარ უნდა ქონდეთ განცდა, რომ ისინი არ არიან დასაქმებულები. მათი შრომის შედეგი უნდა უზრუნველყოფდეს მათ ღირსეულ ცხოვრებას.

გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება ხელს შეუწყობს რეგიონებში მცხოვრებთა დასაქმებას და მუდმივ შემოსავალს, აგრეთვე უზრუნველყოფს მოწეული პროდუქციის რეალიზაციას. თუმცა თავის მხრივ მხოლოდ და მხოლოდ შესაბამისი რაოდენობის მოსავლის მოყვანა და ჭარბწარმოება შეიძლება გახდეს გადამამუშავებელი წარმოების ჩამოყალიბების სტიმული. დღეისათვის რამდენიმე გადამამუშავებელ საწარმოში (მაგ. უნიგრინი) ახდენენ ნედლეულის თითქმის 80% იმპორტირებას, რადგან ქართველი გლეხებისაგან ჩაბარებული პროდუქტის მოცულობა ვერ უზრუნველყოფს წარმოების 20%-საც კი.

დიდ როლს თამაშობს აგრეთვე მთიანი და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე რეგიონების ხელშეწყობა და სპეციალური სუბსიდირება, რომელსაც შესაძლოა წმინდა სოციალური მნიშვნელობა ჰქონდეს, მაგრამ წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ დაცლილ სასაზღვრო ზოლს და გაუდაბურებულ ტერიტორიებს.

და ბოლოს, არასასოფლო მიმართულებების ხელშეწყობა რეგიონებში. ეს შესაძლოა ერთი შეხედვით სცილდება კიდევ აგრარული პოლიტიკის სფეროს, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეგიონებს განვიხილავთ, როგორც რესურსების ნაკრებს (მათ შორის ადამიანური რესურსების) აგრარულ სექტორში. მაგრამ თუ რეალურად გავითვალისწინებთ, რომ ეს ფილოსოფია უკვე აღარ სარგებლობს პოპულარობით განვითარებულ ქვეყნებში, გამოჩნდება, რომ უმჯობესია ინტეგრირებული პოლიტიკის წარმოება. რისი ნათელი დადასტურებაცაა პროექტების

სერია "ლიდერი", რომელიც ევროსაბჭოს და ერთიანი აგრარული პოლიტიკის ფარგლებში ხორციელდება.

ევროკავშირში 2006 წლიდან მოყოლებული, ცალკეული ინიციატივების მხარდაჭერასთან ერთად, სულ უფრო პოპულარული და გამოყენებადი ხდება ინტეგრირებული პროგრამები, რომლებიც უკვე ჩამოყალიბდა, როგორც თანამეგობრობის პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულება. წარმატებული ინტეგრირებული ღონისძიებების მაგალითებია "ინტეგრერი", "ლიდერი", "ურბან" და სხვა. ეს მაგალითები გვიჩვენებენ განვითარების პოლიტიკის გამოყენების ახალ თვისებას კონკრეტულ ტერიტორიებზე, რომელიც ორგანიზებულია მონაწილეობის და პარტნიორობის ფორმით. [131]

ინტეგრირებული პოლიტიკის პროგრამების შედეგები რეგიონისათვის შეფასდა 2 კატეგორიის მიხედვით:

1. ადგილობრივ ეკონომიკაზე ზემოქმედება. ეს ცვლადი მოიცავს ეფექტებს შემოსავლებზე, დასაქმებაზე, კერძო ინვესტიციების აქტივაციაზე. პროგრამებში დასაქმების ეფექტი გათვლილი იყო როგორც სამუშაო ადგილების რაოდენობაზე, ასევე მათ შენარჩუნებასა და მუდმივობაზე. ლიდერი დარგთაშორისი პროგრამაა, შესაბამისად ეს სამუშაო ადგილები არ შექმნილა მხოლოდ აგრარულ ან მომიჯნავე სექტორებში. პროექტის მიზანი იყო ძირითადად ახალი, თანამედროვე, მიკრო და საშუალო საწარმოების შექმნა ისეთ დარგებში, როგორცაა აგრო ტურიზმი ან აგროსამრეწველო პროდუქტების გადამამუშავება და გასაღება, აგრეთვე ნაკლებტრადიციული სოციალური მომსახურების და კულტურული მემკვიდრეობისა თუ ლანდშაპტური ტერიტორიების მოვლა-შენახვა-განვითარება.

რაც შეეხება კერძო ინვესტიციებს, აქ მოხდა ირიბი ეფექტის სტიმულირება და სახელმწიფო სექტორის გრანტებმა შექმნა დადებითი მოლოდინები და ითამაშა კატალიზატორის როლი კერძო ინვესტიციების რეალიზაციისათვის.

2. შედეგები, რომლებიც მიიღეს ინსტიტუციური ინოვაციებითა და სოციალური დაახლოებით. მაგალითად, იტალიაში რეგიონული პოლიტიკის განვითარება ეფუძნება შემდეგ პოსტულატებს:

- ტერიტორიული პოლიტიკის აზრი არ მდგომარეობს მხოლოდ რესურსების განაწილებასა და საწარმოო სიმდიდრეში, არამედ უფრო ხშირად, იგი წარმოადგენს დაფარული ადგილობრივი ეკონომიკური და კულტურული რესურსების მობილიზაციასა და პოპულარიზაციას. ეს ხდება ინსტიტუციური გადაწყვეტილებებისა და დეცენტრალიზებული სუბიექტების აგრეგირების მეშვეობით.
- განვითარება ხორციელდება სახელმწიფო და კერძო პროექტების ერთობლივი კოორდინირებული და კოალიციური პროექტებით, რომლებიც უზრუნველყოფენ დარგში სიახლეების იმპლემენტაციას.[131]

ვფიქრობთ, ეს მეთოდი საკმაოდ საინტერესო და საყურადღებოა და ერთადერთი რეალურად მუშა მოდელია ქართული რეალობისათვის. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, რეგიონებში სხვადასხვა დარგების ასიმეტრიული და არათანაბარი განვითარება უფრო აღრმავებს პრობლემას მომიჯნავე დარგებში და შესაბამისად თავად იმ კონკრეტული დარგის განვითარებასაც ამუხრუჭებს გრძელვადიან პერსპექტივაში.

**კონკურენციის ზრდის ხელშეწყობა.** სახელმწიფოს წინაშე მდგარი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, ერთი მხრივ, არ დაუშვას ბაზარზე კონკურენციის შემზღვეველი პრაქტიკა და ქმედებები, მეორე მხრივ, კი ხედმეტი რეგულაციებითა და ბიუროკრატიით ხელი არ შეუშალოს ბიზნესის განვითარებას, ხელოვნურად არ შეაფერხოს კომპანიების ზრდა.

აღნიშნულ გამოწვევასთან გასამკლავებლად აუცილებელია კონკურენციის ხელშეწყობის პოლიტიკის იმგვარად ფორმირება, რომ კანონის აღმასრულებელს საშუალება მიეცეს, ერთი მხრივ, ეფექტურად ებრძოდოს კონკურენციის შემზღვეველ ისეთ ქმედებებს, როგორცაა, მონოპოლიები, და მეორე მხრივ, არ შეუშალოს ხელი ბაზრიდან სუსტი კონკურენტების გაქრობას ან განდევნას, როდესაც ეს პროცესი მიმდინარეობს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში. თავად პოლიტიკის რეალიზაციის

ფარგლებშიც არ უნდა მოხდეს ბაზრის ძლიერი მოთამაშეების წინააღმდეგ რაიმე ტიპის ქმედებების განხორციელება მხოლოდ იმის გამო, რომ მათ უკავიათ დომინირებული მდგომარეობა.

ამასთანავე, ეკონომიკური და სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით, კონკურენციის მარეგულირებელი პოლიტიკის ჩარჩო საკანონმდებლო ბაზა უნდა იყოს მაქსიმალურად მოქნილი, რაც საშუალებას მისცემს სახელმწიფოს, თავიდან აიცილოს ფორმალური რეგულაციების მიზეზით მნიშვნელოვანი ეფექტის მქონე ბიზნეს ინიციატივების ბლოკირება.

**ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.** ნებისმიერი სექტორის განვითარებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია ფინანსების უზრუნველყოფა. შესაბამისად, აგრარული პოლიტიკაც უნდა მოიცავდეს ღონისძიებებს დარგში ინვესტიციების მოზიდვის, იაფი კრედიტისა და სახელმწიფო სუბსიდიების განხორციელებისათვის. დარგში ფინანსების მოზიდვის უზრუნველყოფისათვის უნდა შემუშავდეს კონკრეტული, მიზნობრივი პროექტები, რომელშიც სახელმწიფო გამოდის გარანტის ან სესხის პროცენტის თანაგადამხდელის როლში, რათა მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ხელმისაწვდომი გახადოს განვითარებისათვის აუცილებელი ფინანსური რესურსი.

**დარგობრივი სისტემის რეორგანიზაცია-სრულყოფა.** საჭიროა საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის ანალიზი და მისი შესაბამისობის განსაზღვრა თანამედროვე მიზნებთან და სტრატეგიებთან. უნდა განისაზღვროს დარგის ეფექტიანობის მაჩვენებლები თითოეული ამ დარგის მიმართ უნდა განხორციელდეს განვითარების შესაბამისი ღონისძიებები.

**მეწარმეთა გამსხვილების (კოოპერატივის ან თანამშრომლობის სხვა ფორმების) ხელშეწყობა.** უნდა გაგრძელდეს კოოპერატივების ეფექტიანობის გაზრდა და მათ მიერ წარმოებული პროდუქციის ხარისხის კონტროლის სიტემაში მოხვედრის სტიმულირება, აგრეთვე მათი საექსპორტო პოტენციალის გამოვლენა. ამ მიზნით უნდა მოხდეს "რეგიონული გაერთიანების" ტიპის ურთიერთთანამშრომლობის სტიმულირება, მმართველი და მაკოორდინირებელი ორგანიზაციების შექმნის სტიმულირება. ეს შესაძლოა იყოს გრანტის დამტკიცება კვლევითი ორგანიზაციისათვის ბაზრების

მოსაძიებლად და სხვა. აგრეთვე გერთიანებისათვის სტანდარტიზაციის და სხვა ტიპის გრანტების მოპოვების შესაძლებლობა.

**საფასო ხელშეწყობა** ექსპორტისათვის პრიორიტეტულ დარგებში და გადასამუშავებელ პროდუქტებზე ფასის მხარდაჭერის სტრატეგიის განხორციელება, ისევე, როგორც ეს მოხდა წელს ყურძნის ჩაბარების შემთხვევაში, შესაძლებელია ზოგიერთ სტრატეგიულ საექსპორტო პროდუქტებზე ფასის სუბსიდირება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ მწარმოებლები ჩაიბარებენ. ეს ერთგვარად გაზრდის გადამამუშავებელი პროდუქციის ექსპორტს და ხელს შეუწყობს ქვეყნის შიგა პროდუქტის ზრდას.

**სასურსათო უზრუნველყოფისა და სურსათის უვნებლობის დაცვა.** ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება, უზრუნველყოფილი იყოს და ჰქონდეს ხელმისაწვდომი, ჯანსაღი საკვები. გარდა ამისა, ნებისმიერი ქვეყნისათვის აუცილებელია.

ევროპელი მომხმარებელი გარკვეულია პროდუქციის ხარისხის სტანდარტებში და ცხოვრების დონის ზრდასთან ერთად, სულ უფრო მეტად იზრდება ეკოლოგიურად სუფთა კვების პროდუქტებზე მოთხოვნა. ეს კი არც თუ ისე სწრაფად ათვისებადი ბაზარია, რადგან სუფთა პროდუქციის მოყვანის რესურსი შეზღუდულია. რაც შესაძლოა კონკურენტულ უპირატესობად იქცეს საქართველოსათვის.

ამ მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია საქართველოს კანონმდებლობა მაქსიმალურად მიუახლოვდეს ევროპულს და დაინერგოს შესაბამისი ხარისხის მართვის სისტემა, რათა მოხდეს პროდუქტების სერტიფიცირება ევროპელი მომხმარებლისათვის მისაღებ დონეზე. საწყის ეტაპზე ეს უნდა იყოს არასავალდებულო. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა გამოიწვიოს ქართული წარმოების შემცირება. რამდენადაც ხარისხის მიღწევა რთულია, ის შესაძლოა მხოლოდ მათთვის იყოს აუცილებელი, ვისაც სურს საქონლის ექსპორტირება.

**ბიზნესსა და მთავრობას შორის კომუნიკაციის ფორმალიზებული სისტემის შექმნა.** ბიზნესსა და მთავრობას შორის აუცილებელია, არსებობდეს სისტემაში მოყვანილი, ფორმალიზებული კომუნიკაცია. მექანიზმმა უნდა უზრუნველყოს ეკონომიკურ საკითხებზე ბიზნეს სექტორისგან უკუკავშირის მიღება და მისი ჩართვა ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაში.



**საექსპორტო პროდუქციისათვის ხარისხის კონტროლის მექანიზმების შექმნა.** აუცილებელი მოთხოვნა, ევროპულ ბაზარზე გასასვლელად, ესაა სურსათის უვნებლობა და გარკვეული სტანდარტების აუცილებელი დაკმაყოფილება. გარდა ხარისხის მოთხოვნების შესრულებისა, თავად ხარისხის ნიშნის მოპოვებაც საკმაოდ რთული და მეტად ძვირი პროცედურაა მცირე ფერმერებისათვის. ამიტომ საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული მხარდაჭერის განხორციელება აღნიშნული მიმართულებით.

დღეისათვის ევროპული სტანდარტებიდან საქართველოში ცნობილია Global Gap და HACCP, ეს უკანასკნელი სავალდებულოა იმ კომპანიებისათვის, რომელთა წლიური ბრუნვაც 200 000 ლარს აღემატება. თუმცაღა ამ სერტიფიკატების გარეშე პროდუქციის ექსპორტირება ევროპის ქვეყნებში, ფაქტიურად შეუძლებელია. მათი მოპოვება კი ინდივიდუალური ფერმერისა და მცირე კოოპერატივებისათვისაც კი საკმაოდ დიდ ფინანსურ დანახარჯებს მოითხოვს. ჩვენს მიერ ინიცირებული გაერთიანება ამ შემთხვევაშიც ეფექტიანი იქნება- გაერთიანების ფარგლებში დაინტერესებული ფერმერები მოახდენენ კოორდინაციას, რაც მკვეთრად შეამცირებს ინსპექტირებისას გაწეულ დანახარჯებს თითოეული მათგანისათვის.

აუცილებელია ასევე, რომ სოფლის მეურნეობის ლაბორატორია აღიჭურვოს სურსათის უვნებლობის კვლევის თანამედროვე ტექნოლოგიებით, ექსპორტისათვის პრიორიტეტულ სფეროებში. მაგ: (თაფლის უვნებლობა, ანტიბიოტიკების შემცველობა და სხვა);

აუცილებელია საკარანტინო წესების შემოღება მეცხოველეობაშიც, რათა არ მოხდეს დაავადებული საქონლის გაყვანა ქვეყნიდან და მისი კეთილსაიმედო იმიჯის შელახვა.

**ექსპორტთან დაკავშირებული სირთულეების და შიგა ბარიერების კვლევა და მათი გადაჭრა.** არასრულყოფილი საკანონმდებლო რეგულაციები, ხელოვნური დაბრკოლებები და სხვადასხვა ბარიერები ამცირებს კომპანიების საექსპორტო პოტენციალს. აუცილებელია სახელმწიფო ორგანოები მჭირდოდ თანამშრომლობდნენ ბიზნესთან, რათა მოხდეს მსგავსი დაბრკოლებების აღმოფხვრა და შიგა საშუალებებით ექსპორტის სტიმულირება.

**საექსპორტო პოტენციალის კვლევა.** ექსპორტის სტიმულირებისათვის აუცილებელია ახალი ბაზრების მოძიება, ან არსებული ბაზრის გაფართოება. როგორც წინა თავებში აღვნიშნეთ, საქართველოს ყველაზე მსხვილი საექსპორტო ბაზრებია დსთ-ს ქვეყნები, თუმცა დღეისათვის არსებული პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ეს ბაზრები მეტად მყიფე და სარისკოა. მით უფრო ნაკლებია მათი გაზრდის და განვითარების შესაძლებლობა.

ევროკავშირის ქვეყნებთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება ის საშუალებაა, რომელიც აუცილებლად უნდა გამოიყენოს საქართველომ ეკონომიკის მასშტაბის გასაფართოებლად. მით უფრო, რომ ევროკავშირში აგრარული სექტორი ყველაზე მეტად რეგულირებული და ფინანსირებადი სექტორია და ასოცირების შეთანხმების გაფორმების შემდეგ, საქართველოც მოხვდება ევპ-ის დაფინანსების სფეროში. გარდა ამისა, ვფიქრობთ ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება დამატებითი სტიმული იქნება დარგში ინვესტიციების მოზიდვის კუთხით.

აუცილებელია რომ, სახელმწიფომ მოახდინოს კვლევითი საქმიანობის დაფინანსება, ბაზარზე მოთხოვნადი და ეფექტიანი პროდუქტების გამოსავლენად და ქვეყანაში მათი წარმოების სტიმულირებისათვის.

**ბიო-სტანდარტების დანერგვა და დაცვის ხელშეწყობა.** წარმოების ბიო სტანდარტების დანერგვა მოითხოვს საკმაოდ სერიოზულ ინვესტიციებს, რომლის განხორციელების შესაძლებლობა ქართველ მცირე ფერმერებს და კოოპერატივებსაც კი, ნამდვილად არ აქვთ. აქ აუცილებელი და საჭირო გახდება სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელება.

რამდენადაც მიწის ეფექტიანი მართვის საკითხები მჭირდოდაა დაკავშირებული გარემოს მართვასთან და ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებასთან, აუცილებელია ამ ფონდებიდან მოხდეს საინფორმაციო სემინარების მოწყობა, ფერმერების ინფორმირება და მათი ცნობიერების ამაღლება გარემოს დაცვით საკითხებში. აგრეთვე მდგრადი განვითარების მსურველი ფერმერებისათვის პროექტების დაფინანსება და წამახალისებელი სუბსიდიების გაცემაც კი, როგორც ეს აპრობირებული პრაქტიკაა ევროპის ქვეყნებში.

საქართველოს პოზიციონირება ახალ ბაზრებზე. ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ათვისება საჭიროებს ძლიერ მარკეტინგულ მხარდაჭერას. კერძოდ, საქართველოს ბრენდის შექმნას და ამ ბრენდის პოპულარიზებას ქვეყნის ფარგლებს გარეთ. სახელმწიფო აპარატში უნდა შეიქმნას ამ მიზნებზე მომუშავე ჯგუფი, როგორცაა მაგალითად ღვინის სააგენტო.

### 3.2 აგრარული სექტორის რეგულირების თანამედროვე მექანიზმები და პოლიტიკის გამტარებლები.

როგორც წინა თავებში აღვნიშნეთ დამოუკიდებლობის პერიოდში აგრარულ სფეროში ზოგადად ძალიან ბევრმა პრობლემამ იჩინა თავი. ზოგიერთი მათგანის გადაჭრის მცდელობა აქვს ხელისუფლებას, თუმცა ამ გეგმების ეფექტიანობის შეფასება გარკვეული დროის შემდეგ გახდება შესაძლებელი. ამჯერად უმთავრესი ნაბიჯები გადადგმულია.

უკანასკნელ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა ფერმერთა კოოპერირებისათვის აუცილებელი რიგი ღონისძიებები: შეიქმნა კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ და ჩამოყალიბდა კოოპერატივების მართვის და განვითარების ხელშემწყობი სააგენტო- სსიპ "სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო", რომელიც არეგისტრირებს და აკონტროლებს კოოპერატივების საქმიანობას. სააგენტოს ფუნქციებია:

ა) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიმართ სახელმწიფო ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;

ბ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება;

გ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის კონსულტაციების გაწევა;

დ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საქმიანობასთან დაკავშირებული მონაცემების ბაზის შექმნა, რომელშიც აისახება ინფორმაცია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ განხორციელებული, მიმდინარე ან/და განსახორციელებელი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის, აგრეთვე მოყვანილი და რეალიზებული მოსავლის, გაწეული მომსახურების სახეობის, რაოდენობის შესახებ და სხვა მონაცემები;

ე) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მინიჭება და შეწყვეტა;

ვ) კოოპერატივების საერთაშორისო აღიანსთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა ქვეყნების კოოპერაციულ გაერთიანებებთან თანამშრომლობა;

ზ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის კადრების მომზადებისა და გადამზადების, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელმძღვანელი პირების კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა;

თ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სფეროში გამოცდილებისა და ინფორმაციის გაცვლის მიზნით სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების, გამოფენების, სემინარებისა და შეხვედრების ორგანიზება;

ი) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საქმიანობის მონიტორინგის განხორციელება. ამ მიზნით სააგენტო უფლებამოსილია:

ი.ა) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისაგან მოითხოვოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია მათ მიერ განხორციელებული ან/და განსახორციელებელი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის თაობაზე;

ი.ბ) საჭიროების შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საქმიანობის მონიტორინგის განხორციელების უზრუნველსაყოფად მიაწვინოს უფლებამოსილი პირები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საქმიანობის ადგილზე გასაცნობად;

ი.გ) განსახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით და საკუთარი დებულებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები.[80]

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა რაოდენობა იმ სოფლებში, თემებსა და დაბებში, რომლებზედაც ვრცელდება „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება, არ უნდა იყოს 3-ზე ნაკლები, ხოლო საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე – 5-ზე ნაკლები. 2015 წლის იანვრის მონაცემებით, უკვე დარეგისტრირებულია 580 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. [101]

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს აქვს უფლება მიიღოს გრანტი და სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული ხელშემწყობი პროგრამებით ისარგებლოს.

განსაზღვრულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში დასაქმებულების უფასო სწავლება-გადამზადება და კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამები;

მოგების გადასახადით არ იბეგრება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი (პირველადი წარმოება) და გრანტი;

ქონების გადასახადით არ იბეგრება კოოპერატივის ქონება, რომელიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის;

საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება კოოპერატივის საქმიანობის ფარგლებში, კოოპერატივის წევრების მიერ მიღებული დივიდენდი;

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთან დაკავშირებით, არ არის დაწესებული მოგების გადასახადის ზღვარი წლიური ბრუნვის მიხედვით, რომელიც მაგალითად შპს-ს შემთხვევაში, 200 000 ლარს შეადგენს;

სასოფლო სამეურნეო საქმიანობისთვის ლიზინგით გაიცემა მოძრავი ქონება;

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები ასევე სარგებლობენ სხვა საგადასახადო შეღავათებით, რომლებიც სოფლის მეურნეობასთან მიმართებაში მოქმედებს. [100]

რა თქმა უნდა ამ პროექტსაც, ისევე როგორც ყოველივე ახალს, თან ახლავს უნდობლობა, ეჭვები და განხორციელების ხარვეზებიც, რომლებიც ძირითადად მოტივირებულია ფერმერებისა და მონაწილე პირების გადამეტებული მოლოდინებით. კვლევისას კოოპერატივის ერთ-ერთი წევრი მარწმუნებდა, რომ კოოპერატივის დარეგისტრირებისას თითქოს მათ შეპირდნენ, რომ შექმნილ პროდუქციას მთლიანად შეისყიდოდა კოოპერატივების განვითარების სააგენტო...

ამ და მსგავსი პრობლემების თავიდან ასაცილებლად, ვფიქრობთ მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს უფრო მეტი საინფორმაციო კამპანიის წარმოება და ადამიანების უფრო მეტად ინფორმირება თანამედროვე ბაზრის საჭიროებების და მოთხოვნების შესახებ.

მასშტაბის ეფექტის მიღწევის კიდევ ერთი რეგულირების ეფექტიანი მექანიზმია რეგიონული გაერთიანებების ჩამოყალიბების სტიმულირება, რომელიც ხელს შეუწყობს აგრარული სექტორის კონკურენტუნარიანი დარგების განვითარებას. ვფიქრობთ სახელმწიფომ უნდა შეუწყოს ხელი კოორეპატიული და ფერმერული არაფორმალური გაერთიანებების ჩამოყალიბებას, რომლებიც აიღებენ თავის თავზე რეგიონული კლასტერის ფუნქციებს. [113]

ქართველი და ევროპელი მეცნიერების ნაშრომების ანალიზის, ქართული რეალობის განხილვისა და ლოგიკური ანალიზის საფუძველზე შევეცადეთ შეგვექმნა "რეგიონული კლასტერის" მოდელი, რომელთა განვითარებაც შეამცირებს

სახელმწიფო ხარჯების მოცულობას აგრარულ სექტორში ისეთი ღონისძიებებისათვის, როგორცაა:

- ახალი საექსპორტო ბაზრების მოძიება;
- ევროპულ და მსოფლიო ბაზრის მოთხოვნილებების მიხედვით წარმოების დაგეგმვა;
- ფერმერთა ცოდნის ღონის ამაღლება;
- დარგში ფინანსების მოძიება\*;
- წარმოების ინოვაციური ტექნოლოგიების შემოტანა\*.

\* -ნიშნით აღნიშნულ პუნქტების უფრო ეფექტიანად განხორციელება შესაძლებელია, თუ რეგიონული გაერთიანების ცენტრში ასოციაციის ან არასამთავრობო ორგანიზაციის ნაცვლად წარმოდგენილი იქნება საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც განახორციელებს ინვესტიციას კონკრეტული პროდუქციის წარმოებაში. (იხ. დიაგრამა 3.4.)

ფერმერთა ასოციაციები უნდა შეიქმნას ფერმერთა და კოოპერატივთა ნებაყოფლობითი გაერთიანებით, საწევრო შენატანების საფუძველზე, თუმცა ეს შენატანები არ უნდა იყოს ასოციაციის ძირითადი დაფინანსების წყარო. ეს შენატანები განკუთვნილი იქნება ასოციაციის ძირითადი რამდენიმე თანამშრომლის ხელფასის ხარჯების დასაფარად.

ასოციაციების ძირითადი მიზნები უნდა იყოს:

- წევრთა რაოდენობის ზრდა;
- გასაღების პოტენციური ბაზრების მოძიება;
- წევრებისათვის რეკომენდაციების გაწევა ბაზრის მოთხოვნილებათა ცვლილების შესახებ;
- დარგში სიახლეებისა და თანამედროვე ტენდენციების კვლევისათვის პროექტების მომზადება და გრანტების მოზიდვა;
- ასოციაციაში გაწევრიანებულ ფერმერთა საერთო ან/და ინდივიდუალური პრობლემების გადაჭრისათვის პროექტების მომზადება და დაფინანსების მოძიება;
- საერთაშორისო სტანდარტების დანერგვისათვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება;

- საერთაშორისო პარტნიორების და ინვესტორების მოძიება;
- პროდუქციის მსხვილი საექსპორტო პარტიების კონსოლიდირება, ბაზარზე სტაბილური მიწოდების უზრუნველყოფისათვის;

სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნული ასოციაციების წახალისება გამოხატული იქნება საგადასახადო შეღავათებით და მათ მიერ წარმოდგენილი პროექტების უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით. მაგალითად, სხვა თანაბარ პირობებში, ჩვეულებრივ საკონსულტაციო შპს-სა და ბიზნეს-ასოციაციას შორის, უპირატესობა მიენიჭება ასოციაციას. აგრეთვე რეგიონული ხარჯების გეგმაში შესაძლოა პრიორიტეტად განისაზღვროს ის პროექტი, რომელსაც წარადგენს კონკრეტული ასოციაცია.

რაც შეეხება საერთაშორისო სტანდარტებთან ურთიერთკავშირს აქ იგულისხმება სახელმწიფოს მიერ ზოგიერთი სტანდარტის ეროვნული კანონის დონეზე აყვანა, ან ქვეყანაში შესაბამისი ლაბორატორიის შექმნა, რაც საშუალებას მისცემს ფერმერებს, ნაკლები დანახარჯებით მოიპოვონ ექსპორტირებისათვის აუცილებელი დოკუმენტაცია.


ასოციაციაში გაწევრიანებულ ფერმერებს დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე, რაიმე ურთიერთვალდებულება არ წარმოეშობათ. თუმცა ასოციაცია შესაძლოა იქცეს ფერმერთა საერთო ინტერესების გამოვლენის და ურთიერთთანამშრომლობის პლატფორმად ისეთ სფეროებში, როგორცაა

- პროდუქციის მსხვილი საექსპორტო პარტიების ფორმირება;
- ხარისხის სერტიფიკატის მოპოვება;
- დარგის ექსპერტების მოწვევა;
- ინოვაციური ტექნოლოგიების შესახებ უცხოელი ან ადგილობრივი ტრენერების მოწვევა და სხვა

თუმცა ხაზგასმით მინდა ავლნიშნო, რომ საწყის ეტაპზე სახელმწიფო მხარდაჭერისა და სტიმულირების გარეშე, აღნიშნული ტიპის ასოციაციებს ეფექტიანი განვითარების ნაკლები შესაძლებლობა აქვთ.



დიაგრამა 3.4. რეგიონული კლასტერის სქემა



ნებისმიერი ეკონომიკისათვის აგრო-წარმოების განვითარება უდავოდ ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ექსპორტის სტიმულირებისათვის და უარყოფითი საერთაშორისო სავაჭრო ბალანსის დაძლევისათვის, ვფიქრობთ აუცილებელია, რომ მოხდეს არა ნედლეულის, არამედ უკვე გადამამუშავებული პროდუქციის ექსპორტირება. ხილის, ბოსტნეულისა თუ სხვა ნედლეულის წარმოება, თავისთავად ქმნის ნოყიერ ნიადაგს აგრარული მრეწველობის განვითარებისათვის, მაგრამ აქ წარმოიშობა რამდენიმე პრობლემა:

1. პროდუქციის მიწოდების სეზონურობა. საქართველოში ჯერ კიდევ არასაკმარისადაა განვითარებული სასაბურვე მეურნეობა, შესაბამისად ნედლეულის მიწოდებასაც მკაცრად სეზონური ხასიათი ექნება. რაც მკვეთრად ზრდის წარმოების შენახვის ხარჯებს და ხშირ შემთხვევაში, შესაძლოა არარენტაბელურიც გახადოს ის.
2. წარმოიშობა ინტერესთა კონფლიქტი ნედლეულის მიმწოდებელსა და გადამამუშავებელ საწარმოს შორის: გლეხის ინტერესია რაც შეიძლება მაღალ ფასად ჩააბაროს მოსავალი, რათა მის მიერ გაწეული შრომა დაფასდეს და შეძლოს ღირსეული ცხოვრება, მის მიერ გამომამუშავებული ფულით, ხოლო მწარმოებელს სურს რაც შეიძლება ნაკლებ ფასად მოიპოვოს მაღალხარისხიანი ნედლეული, რათა საბოლოო პროდუქტის ფასი კონკურენტუნარიანი იყოს ბაზარზე და მისცეს მოგება.
3. ქვეყანაში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და კვალიფიციური კადრების დეფიციტი.

იმისათვის, რომ ეს პრობლემები მეტ-ნაკლებად დაიძლიოს და წარმოება რენტაბელური გახდეს, საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელება:

საფასო მხარდაჭერის სტრატეგიის განხორციელება, ექსპორტისათვის პრიორიტეტულ დარგებში და პროდუქტებზე, ისევე, როგორც ეს გაკეთდა წელს ყურძნის ჩაბარების შემთხვევაში. მხარდაჭერის ფარგლებში საბაზრო და გლეხებისათვის რენტაბელურ ფასს შორის სხვაობა სახელმწიფომ დაფარა. ამ ღონისძიებამ მოახდინა წარმოების სტიმულირება, როგორც აგრარულ, ისე გადამამუშავებელ დონეზე.

აგრარული პოლიტიკა უნდა განხორციელდეს საბაზრო, იერარქიული და ქსელური აგენტების ურთიერთთანამშრომლობის შედეგად: სამთავრობო რეგულაციებმა უნდა წახალისოს ბიზნესი, აგრარულ სექტორში ინვესტირებისათვის, საკანონმდებლო, დაბეგვრისა და სუბსიდირების პოლიტიკით მიანიშნოს ექსპორტის მოცულობის ზრდისკენ. საბაზრო კოორდინაციის ხელშეწყობა და უცხოელ ინვესტორებთან თუ პარტნიორებთან ურთიერთობის უზრუნველსაყოფად კი უნდა ჩამოყალიბდეს "ქსელური ეკონომიკური აგენტები"-სასაქონლო ბირჟები, საკონსულტაციო და მარკეტინგული ორგანიზაციები, რომლებიც მოახდენენ ბიზნეს-რეესტრების წარმოებას, ერთგვაროვანი და შემაგსებელი პროდუქტების მწარმოებელთა სახელშეკრულებო გაერთიანებას და მოცულობის ეფექტის შექმნას ექსპორტის ხელშეწყობისათვის. მაგ: სოფელში, სადაც ყველას ყავს რქოსანი პირუტყვი, შესაძლოა ჩამოყალიბდეს სათბური, რომელიც იბარებს მოსახლეობისგან ნაკელს, იყენებს მას ბიო-გაზით გათბობისა და ეკოლოგიურად სუფთა სასუქის დამზადებისათვის, ანუ აწარმოებს ბიო-პროდუქტს. ეს მნიშვნელოვნად ამცირებს წარმოების დანახარჯებს და ზრდის სოფლის მოსახლეობის შემოსავლების წყაროს.

თანამედროვე მსოფლიოს რეალობაში სულ უფრო იზრდება საერთაშორისო ორგანიზაციებზე დამოკიდებულების ხარისხი და ხშირ შემთხვევაში, ზოგიერთ სახელმწიფო კანონზე მაღლა დგება საერთაშორისო კანონები.

შესაბამისად ქართულ აგრარულ სექტორშიც, სამართლიანი იქნება თუ ვიტყვით, რომ მოქმედებენ როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლები. (იხ. დანართი 7)

საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, ქართული აგრარული პოლიტიკის ფორმირების თავისებურებებზე გავლენას ახდენს ევროსაბჭო, რომელთანაც ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში საქართველომ აიღო საკანონმდებლო ბაზის დაახლოების ვალდებულება. სახელმწიფოსთან ერთად გასატარებელი ღონისძიებების თანადაფინანსებას ახორციელებენ სხვადასხვა დონორი ორგანიზაციები.

დღეისათვის აგრარულ პოლიტიკას ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მასში შემავალი სსიპ-ები: სურსათის ეროვნული სააგენტო; ღვინის ეროვნული სააგენტო; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების

განვითარების სააგენტო; სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო; საქართველოს გაერთიანებული სამედიცინო სისტემების კომპანია; შპს "მექანიზატორი";

რომლებიც ახდენენ სამინისტროს ან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელების უზრუნველყოფასა და მონიტორინგს. ინფრასტრუქტურულ პროექტებს კი ახორციელებენ რეგიონული თვითმმართველობები.

კერძო სექტორი არაეფექტიანადაა ჩართული აგრარული სექტორის და აგრარული პოლიტიკის ფორმირების ეტაპებში. მათი აზრის გათვალისწინება და მათი შენიშვნებისა თუ წინადადებების განხილვა მხოლოდ და მხოლოდ ჩინოვნიკების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

ვფიქრობთ, განვითარების სწორედ ამ მოდელის "დამსახურებაა" ის შეუსაბამობები და არათანმიმდევრული აქტივობები, რომლებიც ამცირებს განხორციელებული პროექტების ეფექტიანობას. მაგალითად, მაშინ როდესაც გლეხებს ვაუჩერები დაურიგდათ სასოფლო-სამეურნეო აქტივობებისათვის, აღმოჩნდა, რომ არასაკმარისი იყო მექანიზაცია, რამაც გამოიწვია რიგები, ფასის ზრდა მიწის ფართობის დამუშავებაზე და სხვა. კიდევ ერთი შეუსაბამობა გამოიწვია მიწის გაყიდვაზე მორატორიუმის გამოცხადებამ (პოლიტიკური გადაწყვეტილება). მაშინ, როცა ქვეყანაში პრიორიტეტად დეკლარირებული იყო აგრარული სექტორი და ეკონომიკის სამინისტრო მუშაობდა დარგში ინვესტიციების მოსაზიდად, ქვეყანაში აგრარული მიწის ყიდვა და ხანგრძლივი იჯარით აღება შეუძლებელი იყო. ეს ფაქტი რა თქმა უნდა მკვეთრად ამცირებდა ინვესტიციების განხორციელების მოტივაციას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ აუცილებელია მოხდეს სხვადასხვა სამთავრობო და რეგიონულ სტრუქტურებს შორის კოორდინაცია და ერთობლივი პროექტების განხორციელების მოცულობა გაიზარდოს. გარდა ამისა, აუცილებელია მოხდეს მეწარმეთა და მთავრობას შორის თანამშრომლობის კოორდინირებული სისტემის შექმნა. ეს ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს სამთავრობო პროექტების და ბიუჯეტის შეზღუდული რესურსების ფერმერებისათვის პრიორიტეტული მიმართულებებით დახარჯვას. მოახდენს თავად ფერმერული და ბიზნეს გაერთიანებების ჩამოყალიბების სტიმულირებას და გაზრდის დარგში ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღების ალბათობას.

ქართველი ბიზნესმენებთან კონსულტაციისა და ევროპული გამოცდილების შესწავლის საფუძველზე ჩამოვაყალიბეთ რეგიონული პოლიტიკის მართვის სქემატური მოდელი. სადაც ვეცადეთ მაქსიმალურად მოგვეხდინა დაინტერესებული მხარეების ინტეგრირებული მუშაობისათვის საჭირო სისტემის შექმნა. (იხ. დიაგრამა 3.4)

ამჟამად ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებში ცალ-ცალკე ფუნქციონირებს "ექსპორტის სააგენტო" და "ღვინის ეროვნული სააგენტო". რეალურად ამ ორი ორგანიზაციის ფუნქცია-მოვალეობები ურთიერთგადამფარველია და საბოლოოდ არცერთი მათგანი არ მუშაობს ექსპორტისათვის არსებული შიგა ბარიერების გადალახვაზე, საკანონმდებლო და სტანდარტიზაციის სამუშაოების შესრულებაზე.


ჩვენს მიერ შემოთავაზებულ მოდელში ეს სსიპ ფორმალურად გამოსულია რომელიმე კონკრეტული სამინისტროს დაქვემდებარებიდან, ექვემდებარება საქართველოს მთავრობის მეთაურს და მისი ფუნქციაა ექსპორტის საკითხების კვლევა როგორც მაკროეკონომიკულ, ისე მარკეტინგულ დონეზე.

სააგენტოს ეგიდით გარკვეული პერიოდულობით (წელიწადში რამდენჯერმე) და რიგგარეშედ- სპეციალური საჭიროებისას ან ბიზნეს-ასოციაციის მოთხოვნით. უნდა მოეწიოს კონფერენციები, შეხვედრები და დისკუსიები, რათა მოხდეს კონკრეტული პრობლემების, შესაძლებლობების და საფრთხეების გამოვლენა, გაანალიზება. ამავე სააგენტოს ფუნქცია იქნება ბიზნეს-ასოციაციებთან და სამთავრობო უწყებებთან, ასევე პარლამენტის შესაბამის კომიტეტებთან მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა ახალი საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავება-წარდგენისათვის.

ამ ორგანიზაციაში აგრარული სფეროს წარმომადგენლები უნდა იყვნენ ფერმერთა გაერთიანებები და ასოციაციები, რაც კიდევ ერთი დამატებითი სტიმული იქნება მსგავსი გაერთიანებების ჩამოყალიბება, გამსხვილება და გაძლიერებისათვის.

სააგენტოს დაფინანსების წყარო იქნება სახელმწიფო ბიუჯეტი და დონორი ორგანიზაციებისაგან მიღებული გრანტები.

დიაგრამა 3.5. აგრარული პოლიტიკის მართვის სქემატური მოდელი



სააგენტოს ფუნქციები ჩვენი აზრით, უნდა მოიცავდეს და შესაძლოა არ შემოიფარგლებოდეს შემდეგით:

1. არსებული საექსპორტო ბაზრების ეკონომიკური და პოლიტიკური ანალიზი, მათი გაფართოების შესაძლებლობების შესწავლა;
2. არსებულ ბაზრებზე პროდუქციის დივერსიფიკაციის შესაძლებლობების და პრობლემების გამოვლენა;
3. ბიზნესთან თანამშრომლობით ახალი, პოტენციური ბაზრების გამოვლენა და შესაბამისი სტანდარტების და საკანონმდებლო უზრუნველყოფის ჩარჩო კონცეფციების მომზადება;
4. ქვეყნის იმიჯის დაცვა არაკეთილსინდისიერი ექსპორტიორებისაგან, რომლებიც შეუსაბამო პროდუქციის ექსპორტირებით, ბაზრის დაკარგვის საფრთხეს ქმნიან;
5. პროდუქციის ხარისხთან და ხარისხის კონტროლთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება;
6. ბიზნესის წარმომადგენლებთან კონსულტაციების საფუძველზე, საექსპორტო პროდუქტის შექმნისა და მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბების მიზნით წინადადებების მომზადება;
7. საკონსულტაციო-სარეკომენდაციო მომსახურების გაწევა ექსპორტიორებისათვის;
8. განათლების სამინისტროსთან კოორდინაციით, მოახდინოს თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების, აგრეთვე მსოფლიო ბაზრის მოთხოვნის სტრუქტურის შესახებ ექსპერტთა მოწვევა და ტრენინგების ორგანიზება;
9. საერთაშორისო ხარისხის შესაბამისი სერტიფიცირების ორგანიზაციების ჩამოყალიბების სტიმულირება;
10. სამეცნიერო საზოგადოებასთან და ბიზნესთან აქტიური თანამშრომლობა ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გამოვლენისა და გაფართოებისათვის;
11. სპეციალური პროექტების მომზადება და ინიცირება, მსოფლიო ბაზარზე მოთხოვნადი პროდუქტების წარმოების სტიმულირებისათვის;

12. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან და რეგიონულ თვითმმართველობებთან კონსულტაციების გამართვა, რათა შეძლებისდაგვარად პრიორიტეტი მიენიჭოს იმ ტიპის ინფრასტრუქტურის აღდგენას, რომლითაც დაინტერესებული არიან ექსპორტიორები და ფერმერთა ასოციაციები;
13. რეგიონული კლასტერებისა და მსხვილი ექსპორტიორების კონტროლი, რათა მათ არ ისარგებლონ მთლიანად ან ნაწილობრივ მონოპოლიზირებული მდგომარეობით და მისაღებ ფასად მოახდინონ მოსახლეობისაგან ნედლეულის შექმნა. (საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია შუამდგომლობა ფასის ნაწილის სახელმწიფოს მიერ ანაზღაურებისათვის);

ექსპორტის ეროვნული სამსახურის დაქვემდებარებაში ცალკე დეპარტამენტად გამოვყავით პროექტების შესრულების დეპარტამენტი, რამდენადაც პროექტების განხორციელება ყველაზე ხშირად ხდება კორუფციის წყარო. მით უფრო, ისეთ შემთხვევებში, როდესაც პროექტს "მრავალი მაკონტროლებელი" ყავს. ყველა პროექტი, რომელიც განხორციელდება ექსპორტის სტიმულირების კუთხით და სამინისტროების ინიციატივით, მოხვდება ერთი სტრუქტურის ხელში და შესაბამისად პასუხისმგებლობის გადანაწილებაც არ მოხდება, რაც გაამკაცრებს და გამჭვირვალეს გახდის პროექტის მიმდინარეობის კონტროლს. ამავე სააგენტოს დაქვემდებარება ისეთი "შემსრულებელი" სსიპ-ები, როგორიცაა "მექანიზატორი"; "პროექტების მართვის სააგენტო" და სხვა.

გარდა ამისა, აგრარული პოლიტიკის გამტარებლებად შეიძლება ჩაითვალოს რეგიონული კლასტერები, რომელთა მოდელიც ზემოთ შემოგთავაზეთ, რამდენადაც ისინიც იქნებიან დარგში ინვესტიციების, კვლევების და საერთაშორისო გამოცდილების იმპორტიორები. სწორედ მათ მიერ მიღწეული შედეგების და გამოვლენილი პრობლემების მთავრობამდე მიტანა უნდა დაევალოს ექსპორტის სტიმულირების ასოციაციას. გარდა ამისა, სააგენტოს საქმიანობა მიმართული უნდა იყოს რეგიონული კლასტერების მაქსიმალურად გაძლიერებისაკენ. შედეგად ისეთი კაპიტალ-ტევადი ფუნქციები, როგორიცაა: საექსპორტო ბაზრების კვლევა, ინოვაციების მოძიება, ახალი საექსპორტო პროდუქტების გამოვლენა და სხვა,



ეტაპობრივად უნდა გადავიდეს ამ რეგიონული გაერთიანებების ფუნქციებში. ეს შეამცირებს სახელმწიფოს ხარჯებს და გამოანთავისუფლებს დამატებით სახსრებს დეპრესიული და არაკომერციული რეგიონების განვითარებისათვის, რომელთა შენარჩუნებაც სასიცოცხლოდ აუცილებელია ქვეყნისათვის. (მაგ: სასაზღვრო ზოლის სოფლები, მაღალმთიანი რეგიონები და სხვა).

### 3.3 აგრარული პოლიტიკის სტრატეგია და ინსტრუმენტები

დარგში არსებული პრობლემების, ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული მიზნების და სხვადასხვა ქვეყნების მაგალითების შესწავლის საფუძველზე ჩამოვყალიბეთ საქართველოს აგრარული პოლიტიკის განხორციელების სტრატეგია და ინსტრუმენტები.

პირველი და აუცილებელია ნაბიჯია მოსახლეობის ცნობიერების და რეფორმების განხორციელებაში ჩართულობის ამაღლებისათვის სპეციალური კამპანიის წარმოება, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:

- საზოგადოებასთან ურთიერთობის აქტიური კამპანიის განხორციელება მოსალოდნელი რეფორმების როლის და მისი გავლენის შესახებ, რათა მოხდეს საინფორმაციო ტრენინგებსა და კვალიფიკაციის ამაღლების ლექციებზე ფერმერთა მაქსიმალური დასწრებისა და ჩართულობის უზრუნველყოფა.
- ტრენინგების და სემინარების მოწოდება რეფორმის მოსალოდნელ შედეგებზე, ფერმერების როლზე ამ პროცესში და იმ მოსალოდნელ სარგებელზე, რომელსაც ისინი მიიღებენ სხვადასხვა პროექტებში ჩართულობით. ეს განსაკუთრებით გაზრდის შემდგომში განსახორციელებელი პროექტის გამჭვირვალობის ხარისხს და საზოგადოებრივ კონტროლს.
- სასწავლო კურსებზე მივლინება:
  - ა) ცოდნის მიღებისათვის თანადაფინანსებისა და სრული დაფინანსების პროექტების შედგენა.
  - ბ) დაინტერესებული ადამიანების შერჩევა საფუძვლიანი ცოდნის მიღებისა და გადამზადების კურსებზე თუ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში მივლინებისათვის. შესარჩევი კონკურსის არსებობა ერთის მხრივ გამოავლენს დაინტერესებული ადამიანების პოტენციურ შესაძლებლობებს, აგრეთვე გამოიწვევს პროექტისადმი მეტად სერიოზულ მიდგომას და მონაწილეთა პასუხისმგებლობის ამაღლებას. რეალურად ხომ ეს ადამიანები უნდა გახდნენ ის მამოძრავებელი რგოლები, რომლებიც უზრუნველყოფენ რეგიონში სახელმწიფო პოლიტიკის შესრულებას, იქნება ეს კოოპერატიული

ურთიერთობების სტიმულირება, გაერთიანებების ჩამოყალიბება თუ სურსათის უვნებლობისა და ბიო-სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა.

მიწის რესურსების გამსხვილებისათვის და რენტაბელური ფერმების ჩამოყალიბებისათვის პირველი ნაბიჯები, როგორც აღვნიშნეთ, უკვე გადადგმულია. კოოპერატივები ჩამოყალიბებულია და მათი შექმნა ისევ გრძელდება. მეორე ნაბიჯი უნდა იყოს კოოპერატივების ეფექტიანობის გაზრდა მათი ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების გზით.

აუცილებელია აგრეთვე დარგობრივი ან რეგიონული ასოციაციებისა და "რეგიონული კლასტერების" განვითარებისათვის შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- უნდა შეიქმნას ასოციაციების წესდების ნიმუში და დაიწყოს პროექტების დაფინანსება საკონსულტაციო და ტრენინგ ცენტრების შესაქმნელად ისეთ სფეროებში, როგორცაა- ევროკავშირის ბაზრის მოთხოვნები; სტანდარტების დანერგვის და მათი მიღების წესი; საექსპორტო პოტენციალის გამოვლენა და სხვა.
- ასოციაციებზე გრანტები უნდა გაიცეს აგრეთვე მეწარმეთა რეესტრების შესაქმნელად და საბირჟო სისტემების ჩამოსაყალიბებლად. დღესდღეობით ეს ფუნქცია დავალებული აქვს კოოპერატივების განვითარების სააგენტოს. ჩვენი აზრით კი ეს კომერციული პროექტი უნდა გახდეს და ფუნქცია გადაეცეს კომერციულ ორგანიზაციებს ან გაერთიანებებს. სწორად წარმართვის შემთხვევაში, კარგი ბაზა შეიქმნება დროთა განმავლობაში სასაქონლო ბირჟის ჩამოყალიბებისათვის.
- აუცილებელია შესაბამისი დროებითი (მაგ. პირველი 3 ან 5 წელი) საგადასახადო შეღავათების დაწესება ასოციაციებისათვის.
- კიდევ ერთი- ასოციაციების, ისევე როგორც კოოპერატივების შემთხვევაში არ უნდა იყოს დაწესებული მოგების გადასახადის ზღვარი წლიური ბრუნვის მიხედვით, რომელიც მაგალითად შპს-ს შემთხვევაში, 200 000 ლარს შეადგენს;
- რეგიონული კლასტერების და ფერმერთა ასოციაციების მიერ ინიცირებული პროექტები უნდა სარგებლობდნენ გარკვეული

უპირატესობით რეგიონული განვითარების გეგმის შედგენისას და ბიუჯეტის ფორმირებისას.

აგრარული ბეზნესის გამსხვილების ხელშეწყობისათვის აუცილებელია შეიცვალოს ქვეყნის შიგა დაბეგვრის კანონები. გადასახადები და მარეგულირებელი სისტემა მიწის გამოყენებისა და მცირემასშტაბიანი წარმოების არსებული მახასიათებლების შეცვლისათვის რაიმე სტიმულებს არ ქმნის.

სურსათის უსაფრთხოების სტრატეგიის საფუძველზე საქართველომ უნდა განაგრძოს რეფორმების განხორციელება სანიტარული და ფიტოსანიტარულ სფეროში. ევროკავშირში საკმაოდ პოპულარულია და განსაკუთრებით მაღალი ფასით გამოირჩევა ბიო-წარმოება, რომელიც აუცილებლად უნდა გახდეს ქართული აგრარული სექტორის განვითარების ქვაკუთხედი. ამ ტიპის წარმოება ხელს უწყობს გარემოს მდგრად გამოყენებას და შესაძლოა თანხები მისი სტიმულირებისათვის მოძიებულ იქნეს გარემოს დაცვის სამინისტროს პროექტების ფარგლებში.

ბიო-წარმოების განვითარების ხელშეწყობა უნდა განხორციელდეს გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარებისათვის განხორციელებული აქტივობებისათვის ფერმერის ფულადი კომპენსაციით, პესტიციდებისა და ქიმიური სასუქების გამოუყენებლობისათვის პრემიების დაწესებითა და რაც მთავარია, მოწვეულ ნედლეულზე მაღალი სუბსიდირებული ფასის დაწესებით. სუბსიდირებული ფასი უნდა დაწესდეს იმ პროდუქტებზე, რომლებსაც გააქნიათ საექსპორტო პოტენციალი. გადაწყვეტილება ფასის დაწესების შესახებ მიღებულ უნდა იქნეს სპეციალური კვლევების და ასოციაციების მოთხოვნის საფუძველზე. გარდა ამისა, ფასის ანაზღაურება უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ გადამამუშავებელ საწარმოში ნედლეულის ჩაბარებისას. ბაზარზე გასაყიდი ფასის ფორმირება უნდა მოხდეს საბაზრო კანონების შესაბამისად.

აგრარული და რეგიონული ინფრასტრუქტურის რებილიტირებისას აუცილებელია პრიორიტეტების სწორად დასახვა. აუცილებელია იმ რეგიონებისა თუ სოფლების წახალისება, სადაც დარეგისტრირებულია კოოპერატივები და სადაც სჭირდებათ ხელშეწყობა ასოციაციებსა თუ კარტელებს. პრიორიტეტების გამოვლენა ბევრად გამარტივდება ჩვენს მიერ ზემოთ შემოთავაზებული მართვის მოდელის განხორციელების შემთხვევაში.

დღეისათვის რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის 100% მარაგდება ელექტრო ენერჯით, თუმცა აუცილებელია გაგრძელდეს გაზიფიცირებისა და წყლის მიწოდების პროექტები, სადაც მომარაგების მაჩვენებელი დაახლოებით 50% ფარგლებში მერყეობს. გზების რეაბილიტაცია და რეგიონებში ინტერნეტის უზრუნველყოფა ის საშუალებებია, რომლებიც წაახალისებს ახალგაზრდებს დარჩნენ რეგიონში და იქ მიიღონ შემოსავალი. დღეისათვის კი გვაქვს სურათი, როდესაც მიწას ამუშავენ მოხუცები. არადა სიახლეების დანერგვა და მოძიება, დინამიკურ საბაზრო მართონში წარმატებულად ჩაბმისათვის აუცილებლად საჭიროა თანამედროვედ მოაზროვნე, აქტიური ბიზნესმენები.

მისაღებია აგრეთვე საკანონმდებლო რეგულაციები ცხოვრებისათვის ნაკლებად სახარბიელო ტერიტორიების შესახებ, და მათი ხელშეწყობის სტრატეგია, როგორც ამას ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება ითხოვს.

საწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარება უკვე დაწყებულია ქვეყანაში და საკმაოდ კარგი მდგომარეობაა ისეთი მაჩვენებლებით, როგორიცაა ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა და კომუნიკაციის საშუალებები.

საკმაოდ მოცულობითი სამუშაოები ჩატარდა, თუმცა კვლავ სირთულედ რჩება და განვითარებას მოითხოვს:

- სამელიორაციო სისტემების დასრულება;
- მორწყვის თანამედროვე სისტემების დანერგვა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 2 მიმართულებით: ჯერ ერთი ამცირებს წყლის ხარჯვას და მეორეც, ამცირებს ნიადაგის დაზიანების, დამლაშებისა და გამოფიტვის რისკს. სწორედ ამიტომ, ეს ღონისძიება შესაძლოა განხორციელდეს მდგრადი განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში.
- ჯერ კიდევ პრობლემად რჩება არასაკმარისი აგრარული ტექნიკა და მანქანა-დანადგარები. ამ პრობლემის მოსაგვარებლად, ვფიქრობთ ეფექტიანი იქნება კოოპერატივებისა და კარტელებისათვის სპეციალური პროექტის განხორციელება, რომელიც დაეხმარება მათ შეღავათიანი პირობებით ან სალიზინგო წესით ტექნიკის შეძენაში.

რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის თანხების მოზიდვის, აგრეთვე სოფლად მცხოვრებთა შემოსავლის ამაღლების და დარგთაშორისი კავშირების განვითარების ძალიან დიდ პოტენციალს მოიცავს აგრო-ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის შეფასებით უახლოესი 10 წლის მანძილზე ტურისტების მხრიდან მოთხოვნა აგროტურისტულ პროდუქტებზე ათეულში მე-7 პოზიციას იკავებს.[132]

საქართველოში აგროტურისტული პროდუქტების მდიდარი რესურსული პოტენციალია და მათ გონივრულ გამოყენებას პოზიტიური როლის შესრულება შეუძლია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. აგროტურიზმი კულტურულ ტურიზმთან ერთად ტურისტული პროდუქტების მრავალფეროვნების შექმნისა და ეფექტიანი გამოყენების საფუძველია.

აგროტურიზმის სფეროში საქართველოს შედარებითი უპირატესობებია:

- უძველესი ცივილიზაცია,
- არსებული ლეგენდები,
- ტრადიციები,
- გეოგრაფიული მდებარეობა,
- სტრატეგიული სავაჭრო გზები,
- მდიდარი ფლორა და ფაუნა,
- განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობა და სხვა.

ბიზნესის აღნიშნული სახეობა ტრადიციული ქართული სოფლებისათვის რაიმე განსაკუთრებულ დანახარჯებთან არ არის დაკავშირებული, რაც იაფი პროდუქტებისა და მომსახურების მიწოდების საშუალებას იძლევა. აგროტურისტულ პროდუქტებზე შედარებით დაბალი ფასები ხელმისაწვდომი იქნება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ტურისტებისათვის.

თუ გავითვალისწინებთ, რომ დღეს საქართველოში სოფლად მოსახლეობის 47.3% ცხოვრობს, ნათელი გახდება, რომ იაფი და სოფლის ცხოვრების წეს-ჩვეულებების მცოდნე შრომითი რესურსების ეფექტიანი გამოყენებით ქვეყანაში აგროტურიზმის განვითარების მნიშვნელოვანი რეზერვები არსებობს.

მხედველობაშია მისაღები ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც; საქართველოს ტერიტორიის 54.4% ზღვის დონიდან 1000 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. ამ ტერიტორიების უმეტეს ნაწილზე ინტენსიური აგრორული პროდუქტების წარმოების შესაძლებლობები შეზღუდულია. მთისა და მაღალმთიანი ზონის ეკონომიკურ აღმავლობაში ადგილობრივი არაინტენსიური, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოებას და ტრადიციებს, ფლორასა და ფაუნას, ლამაზ ბუნებრივ საცხოვრებელ გარემოს აგროტურიზმის განვითარებაში გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლია. საქართველოს მთიანეთის სამ რეგიონს – აღმოსავლეთ, ჩრდილოეთ და სამხრეთ მთიანეთს განსხვავებული ტრადიციებით, რესურსული პოტენციალით, სოციალურ-ეკონომიკური პირობებით, დიფერენცირებული აგროტურისტული პროდუქტების შეთავაზებაც შეუძლიათ მომხმარებლისათვის. ამასთან, მთის რეგიონებისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშან-თვისებების ორიენტაციით კონკურენტული აგროტურისტული პროდუქტების მიწოდება უკვე შესაძლებელია თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

გაეროს გარემოს დაცვისა და განვითარების მსოფლიო კომისიის მასალების მიხედვით მსოფლიოს მოსახლეობის 10% უშუალოდ არის დამოკიდებული მთის რესურსებზე [133]. ბოლო 50 წლის მანძილზე ტექნიკურმა პროგრესმა მნიშვნელოვნად გაზარდა ბარსა და მთაში ცხოვრების პირობებს შორის განსხვავება. მთის მოსახლეობის შემოსავლები მკვეთრად ჩამორჩება ბარის მოსახლეობის ანალოგიურ მაჩვენებელს. აღნიშნულის გამო შეინიშნება ბარისაკენ მიმართული მიგრაციული პროცესების მკვეთრად გაძლიერება. ეს ტენდენცია საქართველოსთვისაც არის დამახასიათებელი. აგროტურიზმის განვითარება ხელს შეუწყობს შემდეგი პრობლემების მოგვარებას:

- გამოიწვევს არაეფექტიანი მიგრაციული პროცესების შეჩერებას;
- უზრუნველყოფს შემოსავლების შედარებით თანაბარზომიერ განაწილებას ბარისა და მთის მოსახლეობას შორის;
- აამაღლებს აგრორულ სექტორში მომუშავეთა კვალიფიკაციას;
- ხელს შეუწყობს მთიან რეგიონებში არსებული გენდერული პრობლემების მოწესრიგებას;

- უზრუნველყოფს ინოვაციური ტექნოლოგიების შეღწევას მაღალმთიან რეგიონებში და მის ოპტიმალურ შეთანაწყობას ველურ ბუნებასთან;
- განავითარებს ინფრასტრუქტურას და სხვა.

პორტერის ალმასის მეთოდით ფაქტორების პირობების მიხედვით დადგინდა, რომ საქართველოს პოტენციური უპირატესობა გააჩნია აგრარული პროდუქტების წარმოების ტრადიციების მიხედვით, ასევე, შენარჩუნებული აქვს წარმოების ტრადიციული ტექნოლოგიები და პროდუქტების შენახვის უძველესი წესები; მუშახელის ტრადიციული გამოცდილებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ტურისტული მარშრუტების შეთავაზებაც (გასეირნება ახლომდებარე ბუნებრივი და კულტურულ-ისტორიული ძეგლების მოსანახულებლად, თევზაობა, ნადირობა, ცხენებით მომსახურება და სხვა). აღნიშნულს ემატება იაფი სამუშაო ძალის გამოყენების შესაძლებლობები, რაც ადგილობრივი შრომითი, ბუნებრივი, კულტურულ-ისტორიული და სხვა სახის რესურსების კომპლექსური გამოყენების გზით აგროტურისტული პროდუქტების მიწოდების გაზრდის საშუალებას იძლევა.

აგროტურისტული პროდუქტების კონკურენტუნარიანობას ამცირებს კომუნალური მომსახურების დაბალი დონე (ნაგვის გატანა-გადამუშავება, კანალიზაციის სისტემის შექმნა), თანამედროვე კომუნიკაციური საშუალებების მიმწოდებლების არარსებობა და სხვა.

კონკურენტუნარიანი აგროტურისტული პროდუქტების მიწოდების სტიმულირებაში გადამწყვეტია სახელმწიფოს როლი. მაღალმთიანი რეგიონების ეკონომიკური განვითარების პრობლემათა შორის უნდა განვიხილოთ ეკონომიკური გარემოს არამდგრადობა და მკაცრი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები, რასაც ემატება სასაზღვრო მთიანი მასივების პრობლემაც. აქედან გამომდინარე, რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტიული მიმართულებების, კერძოდ ტურიზმის განვითარებაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში მოქმედ ეკონომიკურ პოლიტიკას, კერძოდ მთიანი რეგიონების განვითარების ხელშემწყობი კანონების პაკეტს.

დასახელებული რეგიონების მდგრადი განვითარების ხელშემწყობი პოლიტიკის გატარება დაფუძნებული უნდა იყოს გარემოს და ლანდშაფტების შენარჩუნებაზე. ხელშეწყობა ასევე უნდა გამოიხატებოდეს მიზნობრივ ფინანსურ დახმარებაში, მიწისა



და სხვა სახის გადასახადებისაგან განთავისუფლებაში, სესხების პროცენტის შემცირებაში, ამ რეგიონებისათვის დამახასიათებელი მაღალხარისხოვანი პროდუქტებისა და მომსახურების გაყიდვების ხელშეწყობაში (სვანური ქუდები, ხევესურული ტანსაცმელი, თექის ნაწარმი, წინდები, დაზგურ-სამხატვრო და ჭედური ნაწარმი, ტურისტული მომსახურება და სხვა).

ტურისტული ბილიკების მოწყობისა და ტურისტული კემპინგების ფორმირებისათვის კრედიტების ან სუბსიდიების გაცემა ერთი-ორად გაზრდის ტურისტულ მარშუტებს და შესაბამისად ტურისტების რაოდენობასაც. მაგ: კლდეკარი-რკონის 20 კმ ბილიკის მოწყობა და მასზე მინიშნებების გაკეთება სულ რაღაც 2500 აშშ. დოლარი დაჯდა, იმ ფონზე, რომ ეს იყო საინიციატივო ჯგუფის მიერ შეტანილი პროექტი და იგი არ მოიცავდა მონაწილეთა ხელფასებს. ეს ხარჯი ფარავს მხოლოდ ტექნიკური სამუშაოებისა და ჯგუფის ტრანსპორტირების ხარჯებს. ვფიქრობთ მსგავსი ინიციატივების წახალისება, თუნდაც მცირე ფინანსური დაინტერესებით, მკვეთრად გაზრდის ქვეყნის შიგა ტურისტულ პოტენციალს.

აუცილებლად უნდა გაგრძელდეს ფინანსების ხელმისაწვდომობის კუთხით განხორციელებული სახელმწიფო თანადაფინანსების პროგრამები.

ჩვენი აზრით, დარგის განვითარების სტიმულირებისათვის, ეფექტიანი იქნება კონკურენციის ზრდის ხელშეწყობი ისეთი აქტივობები, როგორცაა სახელმწიფო შესყიდვების სისტემის დახვეწა და შეძლებისდაგვარად ეროვნული პროდუქციის შესყიდვის სტიმულირება; კონკურენციის რეგულირების ეფექტიანი პოლიტიკის ჩამოყალიბება, რომელიც ხელს შეუწყობს აგრარული საწარმოების გამსხვილებას, მაგრამ არ დაუშვებს დარგში მონოპოლიების განვითარებას და მოახდენს მომხმარებელთა ინტერესების მაქსიმალურ ლობირებას.

დარგობრივი სისტემის რეორგანიზაციისა და აგრარულ სექტორში მწარმოებლურობის ამაღლებისათვის აუცილებელია ჩატარდეს დარგობრივი სტრუქტურის ანალიზი და მისი შესაბამისობის განსაზღვრა თანამედროვე მიზნებთან და სტრატეგიებთან. უნდა გამოიყოს:

- ა) საბაზრო დარგები, რომლებიც ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით და მცირე ხელშეწყობით თვითონ შექმნიან საინვესტიციო რესურსებს;

ბ) პერსპექტიული დარგები, რომლებიც საინვესტიციო რესურსებს შექმნიან მათი რესტრუქტურის შემდეგ. ასეთი დარგები ბაზრებთან მიმართებაში წარმოქმნიან აღწარმოების აუცილებელ პირობებს;

გ) სტრუქტურულად დეპრესიული დარგები, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ დაექვემდებარებიან ლიკვიდაციას[68]. ეს გადაწყვეტილება დამოკიდებული იქნება სახელმწიფო სტრატეგიის ისეთ ელემენტებზე, როგორცაა სასურსათო უზრუნველყოფა და დეპრესიული რეგიონების განვითარების პროგრამა.

ჩვენი თვალთახედვით დღეისათვის ქართულ აგრარულ სექტორში **საბაზრო დარგებია:**

- თხილის წარმოება;
- მეღვინეობა და ალკოჰოლური სასმელების წარმოება;
- მეფუტკრეობა;
- ნაწილობრივ ციტრუსები;
- მეცხოველეობიდან- მეცხვარეობა;

ქართველი ექსპორტიორების, ევროკავშირის ექსპერტების და ფაოს მონაცემების ანალიზის საფუძველზე გავაკეთეთ ძირითადი საექსპორტო პოტენციალის მქონე პროდუქტების SWOT ანალიზი.

#### **თხილის წარმოება:**

ქართული თხილის ბაზარი ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული სეგმენტია ქართულ აგრარულ სექტორში. თხილის ექსპორტის წილი მთლიან ქართულ ექსპორტში 6 პროცენტია და მისი მოცულობა ყოველწლიურად იზრდება.

#### **ძლიერი მხარეები:**

1. წარმოებისათვის სახარბიელო კლიმატური პირობები;
2. დარგში უცხოური ინვესტიციების რაოდენობა და ინტერესი მაღალია;
3. მსოფლიო თხილის ბაზარი მზარდია;

#### **სუსტი მხარეები:**

1. მოცულობის სიმცირე თურქულ თხილთან შედარებით;
2. წვრილ ფერმერებში წარმოების, შენახვის და გაშრობის ტექნოლოგიების არცოდნა;

3. ბაზრისათვის საქონლის მცირე პარტიებად მიწოდება.
4. გადამამუშავებელი საწარმოების და სერტიფიცირების სისტემების არქონა.

#### **შესაძლებლობები:**

1. გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება. დღეს ევროპაში სულ უფრო იზრდება მოთხოვნა გადამამუშავებულ პროდუქტზე და არა ისეთ ნედლეულზე, როგორცაა გატეხილი ან მთლიანი თხილი.
2. ფერმერთა გაერთიანება მსხვილი საექსპორტო პარტიების ფორმირებისათვის.
3. წარმოების მოცულობის ზრდა, დარგში ახალი ინვესტიციების და ფერმერთა გაერთიანებების ჩამოყალიბების გზით.

#### **საფრთხეები:**

1. არასახარბიელო ბუნებრივ-კლიმატური პირობები;
2. არამდგრადი პოლიტიკური გარემო;

დღეისათვის ერთადერთი ხელშეწყობა, რომელსაც დარგი საჭიროებს, ესაა საკანონმდებლო და სასერტიფიკაციო ბაზის შექმნა, გადამამუშავებელი თხილის პროდუქტების ექსპორტის სტიმულირებისათვის. შესასწავლია აგრეთვე მსგავსი პროდუქტების-ნუშისა და კაკლის კონკურენტუნარიანობის და წარმოების რენტაბელობის საკითხი.

#### **მეღვინეობა და ალკოჰოლური სასმელების წარმოება.**

ქართული ღვინო დიდი პოპულარობით სარგებლობს რუსულ და დსთ-ს წევრ ქვეყნებში. თუმცა მისი ყველაზე დიდი ბაზარი 2006 წლის ემბარგომდე მაინც რუსეთის ფედერაცია იყო. ევროპულ ბაზარზე ქართული ღვინო ნელ-ნელა იმკვიდრებს თავს. სახელმწიფო აქტიურად ეხმარება მწარმოებლებს ქართული პროდუქციის რეკლამირებაში. სპეციალურად ამ მიზნით შექმნილია ღვინის სააგენტო. მაგრამ სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს, რომ ემბარგომდელ მოცულობას ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ, მიუხედავად იმისა, რომ საექსპორტო ბაზარი მკვეთრად დივერსიფიცირებულია და ქართული ღვინო 40-მდე ქვეყანაში იყიდება.

ეს დარგი ჯერ კიდევ საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან აქტიურ დახმარებას, რამდენადაც ქართული ღვინის ცნობადობა მსოფლიო ბაზარზე ჯერ კიდევ დაბალია, ფასი კი კონკურენტებთან შედარებით, 1-1,5ჯ-ით მეტი.

ჩვენ ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ გაცილებით უკეთესი პოტენციალი და საკუთარი ნიშის მოპოვების საშუალება მსოფლიო ბაზარზე აქვს ტრადიციულ, ქართულ ქვევრის ღვინოს, რომელიც მოყვანილი იქნება ბიო-სტანდარტების დაცვით და დაიკავებს პრემიუმ ბრენდის ნიშას ევროპულ ბაზრებზე. მსგავსი ტიპის პროდუქციის წარმატების მაგალითები უკვე აქვთ ერთეულ კომპანიებს. ვფიქრობთ, ხელისუფლების ამოცანაა ქართული საექსპორტო ღვინის ტრადიციული წესით დაყენების პოპულარიზაცია-ხელშეწყობა.

**ძლიერი მხარეები:**

1. ღვინის დაყენების და ვაზის მოვლის საუკუნოვანი ისტორია;
2. უნიკალური ქართული ჯიშები, რომლებიც განსხვავებული გემური ნიშან-თვისებებით გამოირჩევიან;
3. ქვევრში ღვინის დაყენების ტრადიცია;
4. ღვინის ტურიზმის განვითარება;

**სუსტი მხარეები:**

1. არასათანადოდ განვითარებული ბიო-წარმოების კულტურა;
2. ევროპული წესით დაყენებული ღვინის მაღალი თვითღირებულება;
3. ქართული ღვინის დაბალი ცნობადობა მსოფლიო ბაზრებზე;
4. ფალსიფიცირების საშიშროება;

**შესაძლებლობები:**

1. საქართველოს, როგორც ღვინის მწარმოებელი ქვეყნის პოზიციონირება მსოფლიო ბაზარზე;
2. ადგილწარმოშობის ღვინოების დასახელებების დაპატენტება და პრემიუმ ნიშის მოპოვება მსოფლიო ბაზარზე;
3. ღვინის ტურიზმის გაფართოება;
4. ყურძნის სხვა პროდუქტების პოპულარიზაცია. (მაგ: ჩურჩხელა, თათარა, ბადაგი და სხვა)

### **საფრთხეები:**

1. პოლიტიკური და ეკონომიკური რყევების გამო ტრადიციულ ბაზრებზე გაყიდვების შემცირება;
2. არასახარბიელო კლიმატური პირობები;
3. ფაღსიფიცირების მაღალი რისკი;

### **მეფუტკრეობა:**

მეფუტკრეობა და თაფლის წარმოება ესაა ის ერთ-ერთი საექსპორტო პოტენციალის მქონე პროდუქტი, რომელიც თავად ევროკავშირის ექსპერტებმა გამოავლინეს საქართველოში.

მართალია ქართული თაფლის თვითღირებულება მაღალია, მაგრამ მას გააჩნია უნიკალური ბიო-ქიმიური შემადგენლობა, რაც გამოწვეულია ქართული ნაცრისფერი ფუტკრის ფიზიკური განსხვავებულობით-მას მსოფლიოში ყველაზე დიდი ხორთუმი აქვს და ნექტარს ყვავილის ისეთი სიღრმიდან იღებს, რომელსაც სხვა ფუტკრები ვერ სწვდებიან.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) საქართველოს ევროკავშირის ბაზარზე წელიწადში 1500 ტონა თაფლის გატანის შესაძლებლობას აძლევს. [78] მაგრამ ევროკავშირის ბაზარზე მოხვედრამდე თაფლმა გარკვეული სტანდარტი უნდა დააკმაყოფილოს: თაფლი უნდა იყოს მონოფლორული, გარდა ამისა, მკაცრად არის გაწერილი თაფლში ზოგიერთი ნივთიერების დასაშვები რაოდენობები და საერთოდ აკრძალული ნივთიერებები. ამ ეტაპზე თაფლის შემოწმება ანტიობიოტიკების და პესტიციდების ნარჩენებზე საქართველოში არცერთ ლაბორატორიას არ შეუძლია.

### **ძლიერი მხარეები:**

1. სამი ოქროს მედლის მფლობელი უნიკალური ჯიშის ფუტკარი;
2. განსაკუთრებული ბუნებრივი გარემო, რომელიც ხელს უწყობს თაფლის მაღალი გემური თვისებების ჩამოყალიბებას;
3. უნიკალური ქიმიური შემადგენლობის პროდუქტი;

### **სუსტი მხარეები:**

1. არასათანადოდ განვითარებული ბიო-წარმოების კულტურა - ქართული წარმოების თაფლის დიდ ნაწილში გამოვლინდა ანტიბიოტიკების შემცველობა, რაც არასწორი მოვლის შედეგია და კატეგორიულადაა აკრძალული ევროკავშირში;
2. მცირე ფერმერული მეურნეობები ვერ აწარმოებენ მსხვილი საექსპორტო მოცულობისათვის საჭირო რაოდენობის თაფლს, რაც აფერხებს საექსპორტო პოტენციალის გამოვლენას;
3. არასათანადო ინფრასტრუქტურა;
4. საქართველოში თაფლის ხარისხის შემოწმებისა და სერტიფიცირების საშუალების არ ქონა;

### **შესაძლებლობები:**

1. ქართული თაფლის უნიკალურობის შესახებ ევროპელი მომხმარებლების ინფორმირება;
2. ფერმერთა გაერთიანებების შექმნა საექსპორტო პოტენციალის გაზრდისათვის;
3. ფუტკრის მოვლის თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა;
4. მეფუტკრეობის სხვა პროდუქტების: ფუტკრის რძის, შხამის, ყვავილის მტვერის, ღინდგელის, ცვილისა და ჭეოს ექსპორტირება, რაც ასევე მოთხოვნადია ევროპულ ბაზარზე;

### **საფრთხეები:**

1. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო გამოცხადებულია ნაკრძალად, სტატისტიკის ეროვნული მონაცემების მიხედვით, 2014 წელს დაფიქსირდა ცოცხალი ფუტკრის იმპორტი, რაც ზრდის ქართული ფუტკრის გენის სიწმინდის დარღვევის საფრთხეს;
2. დაავადებების გავრცელების რისკი- სხვადასხვა პესტიციდებითა და სასუქებით, სამრეწველო მტვერითა და გამონაბოლქვით გარემოს დაბინძურება მკვეთრად ზრდის ყვავილებში არასასურველი ნივთიერებების კონცენტრაციას, რაც უარყოფითად მოქმედებს ფუტკრის სიცოცხლისუნარიანობასა და თაფლის ხარისხზე;

### 3. ფალსიფიცირების მაღალი რისკი;

#### **ციტრუსები:**

ციტრუსების წარმოება დასავლეთ საქართველოს მოსახლეობისათვის ტრადიციული დარგია. დღეისათვის ციტრუსების ბაზარს დსთ-ს ქვეყნები წარმოადგენენ. ევროპულ ბაზრებზე გასვლის შესაძლებლობა და პოტენციური გამოსაკვლევი. არსებობს მოსაზრება, რომ ქართული ციტრუსი ვერ გაუწევს კონკურენციას ევროპულ ანალოგებს. ვფიქრობთ გამოსავალია გადამამუშავებელი წარმოების განვითარება, ამისათვის სახელმწიფოს მოუწევს დაეხმაროს გლეხებს სუბსიდირებული ფასით.

#### **მეცხვარეობა:**

საქართველოში საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამობა ყველაზე მაღალია რძისა და ცხოველური პროდუქტების წარმოებაში. გამონაკლისია მხოლოდ ქართული ცხვარი და თუშური მატყლი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი “ქართული ცხვარი”, რომლითაც არიან დაინტერესებული საერთაშორისო ბაზრები, გულისხმობს დუმიან ცხვარს, როგორცაა ე.წ. “თუშური ცხვარი”. რომელიც ძალიან გავს სირიაში და ზოგადად ახლო აღმოსავლეთში გავრცელებულ მეტად პოპულარულ და ძვირადღირებულ ცხვრის ჯიშს, ავასს (AWASSI).

ქართული ცხვრის მიზნობრივი ბაზარი ძირითადად მუსულმანური ქვეყნებია: ლიბია, ლიბანი, სირია, იორდანია, ირანი, საუდის არბეთი, ეგვიპტე, აზერბაიჯანი, ყატარი, კუვეითი, ერაყი, არაბთა გაერთიანებული საემიროები, ომანი და ისრაელი. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში ცხვრის გამოზრდისა და მოშენების პირობები, ძალიან ახლო არის ეკოლოგიურად სუფთა/ორგანული პროდუქტების წარმოებასთან, საკმაოდ სერიოზული შესაძლებლობაა ევროპული ბაზრის ათვისებაც. მით უფრო, რომ აზიის ქვეყნებს პროდუქტის ხარისხის კონტროლის მიმართ არანაკლებ მკაცრი მოთხოვნები გააჩნიათ.

#### **ძლიერი მხარეები:**

1. ცხვრის უნიკალური საჯიშე მახასიათებლები;
2. უნიკალური სტრუქტურის მატყლი;
3. კარგი ბუნებრივი პირობები დარგის განვითარებისათვის;

#### **სუსტი მხარეები:**

1. არასათანადოდ მოწყობილი ინფრასტრუქტურა;

2. ეროვნული ჯიშების გადაშენების საფრთხე (სელექციის არ არსებობა)
3. მატყლის პარსვის, გაშრობისა და შეფუთვისათვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ტექნოლოგიების არ ქონა; რაც მკვეთრად ამცირებს მის ფასს.
4. დარგის არაკომერციალიზაცია. მეცხვარე ფერმერების უმეტესობა არ ახდენს სულადობის აღრიცხვას, არ გააჩნიათ ბუღალტერია და არ იხდიან გადასახადებს.

**შესაძლებლობები:**

1. ცხვრის ყველის ქარხნული წარმოების განვითარება; ამჟამად გუდის ყველი იმდენად არაჰიგიენურ პირობებში იწარმოება, რომ მასზე მოთხოვნა ძალიან დაბალია, მაღალი გემოვნური თვისებების მიუხედავად.
2. წარმოების რესურსის გაზრდა;
3. მატყლის რეალიზაციის გაფართოება და ფასის ზრდა;

**საფრთხეები:**

1. ქვეყანაში ფალსიფიკაციის მაღალი მაჩვენებელი. (მაგ. 2012 წელს ირანის ბაზარზე, ქართული ცხვრის სახელით შევიდა სომხეთიდან შემოყვანილი, დაავადებული საქონელი, რამაც გამოიწვია აღნიშნული ბაზრის საქართველოსთვის დახურვა);
2. არასათანადო საბაჟო რეგულირების გამო, მაღალია ქვეყანაში დაავადებული საქონლის მოხვედრის და ადგილობრივ ცხოველებში დაავადებების გავრცელების საფრთხე.
3. გადასარეკი ტრასები ამორტიზირებული და დანგრეულია, რის გამოც, ზამთრის და ზაფხულის საძოვრებზე გადაადგილებისას მეცხვარეები იძულებული არიან ფარა სოფლებზე და მაგისტრალებზე გაატარონ. გარდა იმისა, რომ ეს ძალიან უსიამოვნო პროცესია ადგილობრივი მოსახლეობისათვის, შეიცავს დაავადებების ეპიდემიურად გავრცელების საფრთხეს, რამდენადაც ცხვარი ცხოველთა დაავადებების ყველაზე "კარგი" გადამტანია.



ესაა ის პროდუქტები, რომლებმაც უკვე მიაღწიეს მეტ-ნაკლებ წარმატებას ევროპულ და აზიურ ბაზრებზე, თუმცა მასშტაბის გაფართოებისათვის კვლავ საჭიროებენ მთავრობის დახმარებას ისეთ საკითხებში, როგორცაა:

- ხარისხის სტანდარტების დანერგვა;
- ადგილწარმოშობის სახელების დაცვა-დაპატენტება;
- სარეკლამო და მარკეტინგულ საქმიანობაში მხარდაჭერა;
- ფალსიფიკაციისაგან დაცვა

რაც შეეხება **პერსპექტიულ დარგებს**, ასეთი დარგების გამოსავლენად საჭიროა კვლევების ჩატარება, ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით და საქართველოს შედარებითი უპირატესობის გამოვლენა თანამედროვე ხილის თუ სხვა აგრარული პროდუქტებისათვის, რომლებზეც დღეისათვის მაღალი და მზარდი მოთხოვნა ფიქსირდება მსოფლიოში.

ერთ-ერთი ასეთი საცდელი პროექტი, რომელიც წარმატებით დაიწყო, არის ლურჯი მოცვის წარმოება. ამერიკული ლურჯი მოცვი, რომელიც გურიისა და აჭარის მაღალმთიანეთის კლიმატურ პირობებს კარგად შეეგუა, უნიკალური თვისებების გამო მსოფლიო ბაზარზე დიდი მოთხოვნით სარგებლობს. საქართველოში მოყვანილი 12 ტონა ლურჯი მოცვი დიდი ბრიტანეთის ბაზარზე წელს პირველად შევიდა. ამჟამად მისი ექსპორტი რუსეთშიც ხორციელდება. თუ რუსეთში 1 კგ ლურჯი მოცვი 3,5 ევრო ღირს, ევროკავშირის ბაზარზე მისი ფასი 4-დან 10 ევრომდე მერყეობს.

კომპანია "Vanrik Agro Group"-მა ლურჯი მოცვის გაშენება ოზურგეთის რაიონის სოფელ ლაითურში 2012 წლის ბოლოს დაიწყო. პროექტში 5 მლნ დოლარის ინვესტიცია ჩაიდო. ლურჯი მოცვის პლანტაცია ამჟამად 50 ჰექტარზეა გაშენებული. კომპანიის მენეჯმენტი უახლოეს მომავალში მეურნეობის 400 ჰა-მდე გაფართოებას აპირებს.

ევროკავშირს რუსეთთან შედარებით უფრო მკაცრი მოთხოვნები აქვს. ევროპის ბაზარი ლურჯი მოცვის რომელიმე კონკრეტული ჯიშის, მაგალითად "მისტის" ერთი ზომისა და კალიბრის მოსავლის მიწოდებას ითხოვს. მომავალში, როცა ჩვენი პლანტაციის მოსავლიანობა გაიზრდება, ამ მოთხოვნას უპრობლემოდ დავაკმაყოფილებთ. რუსეთში კი პროდუქციის "მიქსი" გავგზავნეთ: საქსპორტო პარტიაში სხვადასხვა ჯიშის და სხვადასხვა ზომის მოცვი იყო შერეული. ასეთ

პარტიას ევროპის ბაზარი არ მიიღებს. ლურჯი მოცვის ცუდი ფასი არც რუსეთში აქვს. იქ 1 კგ მოცვი 3,5 ევრო ღირს. თუმცა, ამ კენკრის გაყიდვა ევროკავშირის ბაზარზე უფრო ხელსაყრელია: მაისში, როცა ევროპაში მოცვი ჯერ კიდევ არ არის შემოსული, ჩვენთან კი მოსავლის პირველი პარტია იკრიფება, 1კგ ლურჯი მოცვი 10 ევროც ღირს. როცა მოსავალი კარგად შემოდის, მისი ფასი 4-6 ევრომდე ჩამოდის".

"ჩვენ დიდხანს ვსწავლობდით ამ საკითხს. გვინდოდა მოგვეძებნა სოფლის მეურნეობის ისეთი კულტურა, რომელიც ტრადიციულ, მაგრამ დაბალშემოსავლიან კულტურებთან შედარებით მცირემიწიან ფერმერებს სერიოზულ ეკონომიკურ ეფექტს მოუტანდა. მოცვი სწორედ ასეთი მცენარეა", - ამბობს გაეროს განვითარების ფონდის წარმომადგენელი აჭარაში ლაშა კომახიძე, - "მისი წარმოების ღირებულების ჯაჭვი, მოყვანიდან დაწყებული პროდუქციის რეალიზაციით დამთავრებული, ამის საშუალებას იძლევა. აჭარელ ფერმერს შეუძლია, რომ ცუდი გეოგრაფიული მდებარეობით გამორჩეულ და მძიმე ტექნიკისთვის მიუდგომელ 2000-2200 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (სწორედ ასეთი ფართობის ნაკვეთები აქვს აჭარელ ფერმერთა 90%-ს), საგრძნობი ეკონომიკური ეფექტი ნახოს და იქ, სადაც ადრე 200 ლარის ღირებულების სიმინდის მოსავალს იღებდა, მინიმუმ 7 000 ლარის ღირებულების ლურჯი მოცვის პროდუქცია მოიყვანოს. ბაზარზე მის რეალიზაციას პრობლემა არ ექმნება. ამჟამად ლურჯი მოცვის მიწოდება მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს. მოცვზე მაღალი მოთხოვნა ადგილობრივ ბაზარზეც". [139]

ამ კენკრის პლანტაციის გაშენება იაფი საქმე არ არის. ლურჯი მოცვის 1ჰა-ზე გაშენებას დაახლოებით 17 000 ლარი სჭირდება. მორწყვისთვის აუცილებელია წვეთოვანი სისტემის გაკეთება, რაც დამატებითი ფინანსური ინვესტიციის განხორციელებას მოითხოვს. სამაგიეროდ, საქმიანობის სწორად დაგეგმვისა და კარგი მენეჯმენტის პირობებში ლურჯი მოცვის პლანტაცია ძალიან მომგებიანია და მას მცირემიწიანი ფერმერებისთვის სერიოზული ეკონომიკური ეფექტის მოტანაც შეუძლია.

ევროპელ მყიდველს სჭირდება პროდუქციის მსხვილი რაოდენობები. 2-3 ფერმერს არ აქვს მოსავლის ის რაოდენობა, რომელსაც ევროპული მარკეტები ითხოვენ. ჩვენს სადემონსტრაციო ნაკვეთში 5 ტონა მოცვი მოდის. ეს ძალიან მცირე რაოდენობაა. იმისთვის, რომ ქართულმა ლურჯმა მოცვმა ევროკავშირის ბაზარზე ადგილი

დაიმკვიდროს, ფერმერებმა აუცილებლად უნდა გაზარდონ მოცვის პლანტაციების ფართობი, ამ მოსავლის გასაყიდი პარტიების მოცულობა», [140]

სწორედ ასეთი კულტურების გამოვლენა-დანერგვისათვისაა აუცილებელი სახელმწიფოს მხარდაჭერით ფართომაშტაბიანი კვლევის ჩატარება, საქართველოს ყველა რეგიონში.

**დეპრესიული დარგების** გამოსავლენად კი საჭიროა ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა მთიანი და ნაკლებმოსავლიანი რეგიონებისათვის, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ დახმარებას. მხოლოდ ამ ანალიზის და საკანონმდებლო ბაზის შემდეგ იქნება შესაძლებელი მათი განვითარების გეგმის შედგენა.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის განხორციელება უახლოესი რამდენიმე წლის განმავლობაში, გამოიწვევს დარგში კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების მკვეთრ ინტენსიფიკაციას. ექსპორტის სტიმულირებისათვის აუცილებელია სახელმწიფო დაეხმაროს კერძო სექტორს წმინდა მარკეტინგული კუთხითაც და მის ხელთ არსებული ყველა არხის და რესურსის გამოყენებით მოახდინოს საქართველოს, როგორც მაღალხარისხიანი აგრარული პროდუქტის მწარმოებელი ქვეყნის პოზიციონირება მსოფლიო ბაზარზე. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელი იქნება საექსპორტო პროდუქციის ხარისხის მკაცრი კონტროლი და ადგილწარმოშობის ფალსიფიკაციისაგან კომპანიების დაცვა.

გარდა ზემოაღნიშნული საერთო ღონისძიებებისა, კონკრეტულ საექსპორტო დარგებში აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

ღვინო და ალკოჰოლური სასმელები საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან მარკეტინგულ ღონისძიებებში მხარდაჭერას. აუცილებელია საქართველოს, როგორც ვაზის უძველესი და მრავალფეროვანი ჯიშების მქონე ქვეყნის პოზიციონირება. ამისათვის მხოლოდ გამოფენებში მონაწილეობა არასაკმარისია. ვფიქრობ ექსპორტიორებთან კოორდინაციით, უნდა მოხდეს საქართველოს შესახებ ლეგენდის შექმნა და მისი რეკლამირება.

აუცილებელია აგრეთვე ადგილწარმოშობის დასახელებების დაპატენტება, რათა ექსკლუზიური პროდუქტი დავიცვათ გაყალბებისაგან.

თაფლის ექსპორტირებისათვის დღეისათვის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა შესაბამისი, აკრედიტებული ლაბორატორიის არსებობა, ხარისხის შესაფასებლად.

ბაზარზე შესვლის შემდეგ კი აუცილებელი იქნება აგრეთვე მარკეტინგული დახმარება. უნდა წარმოჩინდეს ქართული ფუტკრის უნიკალურობა და თაფლის განსხვავებული ხარისხი.

მეცხვარეობაში: ცხვრის ექსპორტის განსახორციელებლად ერთ-ერთი ყველაზე მთავარი დოკუმენტი პროცედურების დასაწყებად, არის იმპორტიორ ქვეყანაში შეყვანის ნებართვა. ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩამოთვლილი მოთხოვნების ზუსტ და განუხრელ დაცვას, რათა გაცემული დოკუმენტის სანდოობა ეჭვ-ქვეშ არ დადგეს. არაკეთილსინდისიერად გაცემული სერტიფიკატის შედეგად, როგორც აღვნიშნეთ, ირანის ბაზარი დროებით დაიხურა ჩვენი ქვეყნისთვის. აღნიშნული საფრთხე დღესაც არსებობს. როგორც მეცხვარეთა ასოციაციის პრეზიდენტმა, ბატონმა ბექა გონაშვილის მონაცემებით ყოველგვარი აუცილებელი პირობების დაცვის გარეშე, ამჟამადაც გადის საქართველოდან ქართული სახელით, შეუმოწმებელი სომხური ცხვარი. ცნობისთვის, ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების აბსოლიტურ უმრავლესობაში სომხური ცხვრისათვის ბაზარი დიდი ხანია დაკეტილია და ქართველი მეცხვარეები შიშობენ, რომ თუ ეს პრობლემა არ მოაგვარა სახელმწიფომ, მალე ქართული ცხვარიც დაკარგავს გასაღების ბაზრებს.

## დასკვნები და რეკომენდაციები

ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ დღეისათვის ქართული აგრარული სივრცე მოითხოვს მთლიანი სტრუქტურის ცვლილებას, რათა იგი გახდეს უფრო ეფექტიანი და მოგებაზე ორიენტირებული ფერმერების ერთობლიობა. ვფიქრობთ, ქართული ეკონომიკისათვის ყველაზე მისაღები და ოპტიმალური მოდელია კვების მრეწველობის პროდუქტების ექსპორტზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობა.

ზოგადად აგრარული სფეროს პრობლემები მეტ-ნაკლებად შესწავლილი სფეროა, მაგრამ ქართველი მეცნიერების უმეტესობა აქცენტს თვითუზრუნველყოფის მიღწევის საშუალებებზე აკეთებდა. ჩვენ კი მივიჩნევთ, რომ საქართველოს არ გააჩნია რესურსი, კონკურენცია გაუწიოს თურქეთს იაფი და ბევრი ბოსტნეულის წარმოებაში. კვლევებმა დაადასტურა, რომ უცხოელი ინვესტორებისათვის განსაკუთრებით საინტერესოა პესტიციდებით ნაკლებად დაბინძურებული და სუფთა აგრარული გარემო. შესაბამისად საქართველოს ძლიერი მხარე უნდა გახდეს მაღალხარისხიანი, ეკოლოგიურად სუფთა აგრარული პროდუქციის წარმოება, პრემიუმ სეგმენტის მიდევლისათვის, რომელიც გარკვეულია პროდუქციის ხარისხში.

დამოუკიდებლობის დაბრუნების დღიდან აგრარული სექტორი განიცდიდა რეცესიას. ძველის განურჩევლად ნგრევის და ახლის გაუაზრებლად შენების ტენდენციამ, ისევე როგორც ეკონომიკის სხვა დარგებში, აგრარულ სექტორშიც გამოიწვია წარმოების ეფექტიანობის შემცირება, დარგის დეკაპიტალიზაცია და მოსახლეობის გაღარიბება.

სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს, რომ საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი დამოკიდებულია მიწათმოქმედებიდან მიღებულ შემოსავალზე. ამიტომ ეს სფერო ხშირად ხვდებოდა პოლიტიკოსების ინტერესის საგანი. სახელმწიფო მესვეურნი სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახის დახმარებებს სთავაზობდნენ გლეხურ მეურნეობებს. მაგრამ რა თქმა უნდა, ქაოტურად და ერთჯერადად გაწეული დახმარებებით არ მოხერხდა ქართული სოფლის მეურნეობის განვითარება. სწორედ ამიტომ, ვფიქრობთ რომ მხოლოდ კარგად გათვლილი და ეფექტიანი აგრარული პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ორგანულად იქნება ინტეგრირებული ეროვნულ

ეკონომიკურ პოლიტიკაში, არის ის ერთადერთი გზა, რომლითაც დაცლილი ქართული სოფლების აღდგენასა და ნახევრად შიმშილის ზღვარზე მყოფი მოსახლეობის პრობლემის მოგვარებას შეძლებს ქვეყანა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დისერტაციის მიზნად დავისახეთ ექსპორტზე ორიენტირებული აგრარული პოლიტიკის ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბება და ქართული აგრარული პოლიტიკის ჩვენეული ჩარჩოს შედგენა.

ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების განვითარებისათვის აუცილებელია გასაღების ბაზრის არსებობა. საქართველოს აგრარულ პრდუქტს კარგად იცნობენ და თავისი მომხმარებელი ყავს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ ქვეყნებში. ეს ის ინერციული ბაზრებია, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შევინარჩუნეთ. თუმცა ამჟამინდელი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ეს ბაზრები საკმაოდ არასტაბილურია. შესაბამისად დგება ეკონომიკის გაფართოების აუცილებლობის საკითხი. ვფიქრობთ, ასეთი შესაძლებლობაა ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება და ევროპასთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებები, რომელიც არა მარტო ახალი ბაზრების ათვისების შესაძლებლობას აძლევს ქვეყანას, არამედ ახდენს დარგის განვითარებისათვის ფინანსური დახმარების უზრუნველყოფასაც. აუცილებელია, რომ მოხდეს მიღებული თანხების სწორი მიმართულებით და კოორდინირებული პოლიტიკის ჩარჩოებში დახარჯვა, რათა შედეგად მივიღოთ დარგის რეალური განვითარება და არა დროებითი ეფექტის მიღწევა.

რა თქმა უნდა, შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ჩვენ დღესვე შეგვიძლია პროდუქციის ექსპორტირება ევროპაში, მაგრამ სწორი აგრარული და საექსპორტო პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, ეს სავსებით რეალური, სტაბილური და მომგებიანი ნიშა იქნება ქართული პროდუქტისათვის.

ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული აგრარული პოლიტიკის მიზნები გამომდინარეობს იმ ფაქტიური რეალობიდან, რომელშიც დღეს ქვეყანა იმყოფება და მჭირდოდა დაკავშირებული არა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან, არამედ რეგიონულ ეკონომიკასა და სოციალურ სფეროსთან. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ აგრარული პოლიტიკა მოიცავდეს არა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო, ფერმერული

მეურნეობების განვითარების სტრატეგიას, არამედ იყოს რეგიონული პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი.

ჩატარებული კვლევებისა და ევროპული გამოცდილების შესწავლის საფუძველზე მოვახდინეთ ოთხი ძირითადი სტრატეგიული მიზნის ჩამოყალიბება, რომლებიც თავის თავში მოიცავენ ტაქტიკურ მიზნებს.

5. მიწათმოქმედების ხელშეწყობა;
6. რეგიონული განვითარების ხელშეწყობა;
7. აგრო-მრეწველობის განვითარების ხელშეწყობა;
8. ექსპორტის სტიმულირება.

დარგში არსებული პრობლემების, ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული მიზნების და სხვადასხვა ქვეყნების განვითარების მაგალითების შესწავლის შედეგად, ჩამოყალიბეთ საქართველოს აგრარული პოლიტიკის განხორციელების სტრატეგიისა და ინსტრუმენტების ჩარჩო კონცეფცია:

პირველ რიგში აუცილებელია მოსახლეობის ცნობიერების და ჩართულობის ამაღლება რეფორმების განხორციელების პროცესში. XXI საუკუნეში მოვლენებს ქმნის საზოგადოება, სახელისუფლო სტრუქტურებს კი შეუძლიათ მხოლოდ სტიმულები შექმნან ადამიანების მოქმედებისათვის. სამწუხაროდ დღეს არსებული რეალობა ცხადყოფს, რომ საქართველოში მოსახლეობის მზაობა ჩაერთონ სახელმწიფოს ინიცირებულ პროექტებში, ძალიან დაბალია. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ყველა დღემდე არსებული მხარდამჭერი პროექტით სარგებლობენ, უკვე არსებული ფერმერები. ანუ ისინი, ვისაც ქონდა გარკვეული ბეზნეს-საქმიანობა და მათი გაფართოება სურდათ. თეორიულად, ეს სულაც არაა ცუდი და შესაძლოა ერთი მხრივ კარგიც იყოს, მაგრამ რეალური შედეგის მიღწევა, მხოლოდ მასშტაბის ეფექტით მიიღწევა და ამისათვის საჭიროა ისედაც მცირე სასოფლო-სამეურნეო მიწები სრულად ჩაერთოს წარმოებაში. გარდა საინფორმაციო შეხვედრებისა და მარკეტინგული კამპანიისა, ეფექტიანი იქნება გადამზადებისათვის კადრების შერჩევა. შესარჩევი კონკურსის არსებობა ერთის მხრივ გამოავლენს დაინტერესებული ადამიანების პოტენციურ შესაძლებლობებს, აგრეთვე გამოიწვევს პროექტისადმი მეტად სერიოზულ მიდგომას და მონაწილეთა პასუხისმგებლობის ამაღლებას. რეალურად ხომ ეს ადამიანები უნდა გახდნენ ის მამოძრავებელი რგოლები, რომლებიც

უზრუნვეყოფენ რეგიონში სახელმწიფო პოლიტიკის შესრულებას, იქნება ეს კოოპერატიული ურთიერთობების სტიმულირება, გაერთიანებების ჩამოყალიბება თუ სურსათის უვნებლობისა და ბიო-სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა.

ქართული აგრარული სექტორის ყველაზე ცნობილი და დიდი პრობლემა ძლიერ ფრაგმენტირებული მიწები, რომლებზეც ფაქტიურად შეუძლებელია რენტაბელური წარმოების განვითარება. ამიტომ აგრარული პოლიტიკის ძირითადი მიზანი უნდა იყოს, ფერმერების მოტივირება საწარმოო რესურსების გაერთიანებისათვის. ამჟამად სახელმწიფო ახორციელებს კოოპერატივების სტიმულირების სტრატეგიას: შეიქმნა საკანონმდებლო პაკეტი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ, რომელიც მოიცავს გარკვეულ შეღავათებს კოოპერატივებისათვის და ჩამოყალიბდა კოოპერატივების მართვის და განვითარების ხელშემწყობი სააგენტო, რომელსაც დაევალია იდეის განხორციელება. ჯერ-ჯერობით საბოლოო შედეგებზე საუბარი ნაადრევია, მაგრამ პროექტი მეტ-ნაკლები წარმატებით მიმდინარეობს. რა თქმა უნდა ამ იდეასაც, ისევე როგორც ყოველივე ახალს, თან ახლავს უნდობლობა, ეჭვები და განხორციელების ხარვეზებიც, რომლებიც ძირითადად მოტივირებულია ფერმერებისა და მონაწილე პირების გადამეტებული მოლოდინებით. მსგავსი პრობლემების თავიდან ასაცილებლად, ვფიქრობთ მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს უფრო ღრმა საინფორმაციო კამპანიის წარმოება და ადამიანების უფრო მეტად ინფორმირება თანამედროვე ბაზრის საჭიროებების და მოთხოვნების შესახებ.

მაგრამ გარდა მიწის ერთობლივად დამუშავებისა, აუცილებელია მიღებული პროდუქციის პოზიციონირება ბაზარზე, შესაბამისობის სერტიფიკატების მოპოვება და სხვა. ამ ყველაფრის მისაღწევად რიგით ფერმერს არ ყოფნის ცოდნა და განათლება, არც ფინანსები, რომ პროფესიონალები დაიქირაოს მსგავს შემთხვევებში. გარდა ამისა, დარგში ბევრი პრობლემაა, რომელიც კომპლექსურ გადაწყვეტას მოითხოვს, ამას ემატება ის ფაქტიც, რომ ექსპორტის დაგეგმვისათვის აუცილებელია საქონლის მსხვილი პარტიების ფორმირება, რაც გაცილებით უფრო მეტი ძალების კონსოლიდირებას მოითხოვს, ვიდრე 10 ან თუნდაც 20 ფერმერის შესაძლებლობებია.

მასშტაბის ეფექტის მიღწევისათვის ქართული და ევროპელი მეცნიერების ნაშრომების ანალიზის, ქართული რეალობის განხილვისა და ლოგიკური ანალიზის



საფუძველზე შეეცადეთ შეგვექმნა "რეგიონული კლასტერის" მოდელი, რომელთა განვითარებაც შეამცირებს სახელმწიფო ხარჯების მოცულობას აგრარულ სექტორში ისეთი ღონისძიებებისათვის, როგორცაა: ახალი საექსპორტო ბაზრების მოძიება; ევროპულ და მსოფლიო ბაზრის მოთხოვნილებების მიხედვით წარმოების დაგეგმვა; ფერმერთა ცოდნის ღონის ამაღლება; დარგში ფინანსების მოძიება; წარმოების ინოვაციური ტექნოლოგიების შემოტანა და სხვა. (იხ. დიაგრამა 3.4.)

ფერმერთა ასოციაციები უნდა შეიქმნას ფერმერთა და კოოპერატივთა ნებაყოფლობითი გაერთიანებით, საწევრო შენატანების საფუძველზე, თუმცა ეს შესატანები არ უნდა იყოს ასოციაციის ძირითადი დაფინანსების წყარო. ეს შენატანები განკუთვნილი იქნება ასოციაციის ძირითადი რამდენიმე თანამშრომლის ხელფასის ხარჯების დასაფარად.

ასოციაციაში გაწევრიანებულ ფერმერებს დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე, რაიმე ურთიერთვალდებულება არ წარმოეშობათ. თუმცა ასოციაცია შესაძლოა იქცეს ფერმერთა საერთო ინტერესების გამოვლენის და ურთიერთთანამშრომლობის პლატფორმად ისეთ სფეროებში, როგორცაა: პროდუქციის მსხვილი საექსპორტო პარტიების ფორმირება; ხარისხის სერტიფიკატის მოპოვება; დარგის ექსპერტების მოწვევა; ინოვაციური ტექნოლოგიების შესახებ უცხოელი ან ადგილობრივი ტრენერების მოწვევა და სხვა.

ასოციაციების ძირითადი მიზნები უნდა იყოს: წევრთა რაოდენობის ზრდა; გასაღების პოტენციური ბაზრების მოძიება; წევრებისათვის რეკომენდაციების გაწევა ბაზრის მოთხოვნილებათა ცვლილების შესახებ; დარგში სიახლეებისა და თანამედროვე ტენდენციების კვლევისათვის პროექტების მომზადება და გრანტების მოზიდვა; ასოციაციაში გაწევრიანებულ ფერმერთა საერთო ან/და ინდივიდუალური პრობლემების გადაჭრისათვის პროექტების მომზადება და დაფინანსების მოძიება; საერთაშორისო სტანდარტების დანერგვისათვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება; საერთაშორისო პარტნიორების და ინვესტორების მოძიება; პროდუქციის მსხვილი საექსპორტო პარტიების კონსოლიდირება, ბაზარზე სტაბილური მიწოდების უზრუნველყოფისათვის;

სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნული ასოციაციების წახალისება გამოხატული იქნება საგადასახადო შეღავათებით და მათ მიერ წარმოდგენილი პროექტების

უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით. მაგალითად, სხვა თანაბარ პირობებში, ჩვეულებრივ საკონსულტაციო შპს-სა და ბიზნეს-ასოციაციას შორის, უპირატესობა მიენიჭება ასოციაციას. აგრეთვე რეგიონული ხარჯების გეგმაში შესაძლოა პრიორიტეტად განისაზღვროს ის პროექტი, რომელსაც წარადგენს კონკრეტული ასოციაცია.

რაც შეეხება საერთაშორისო სტანდარტებთან ურთიერთკავშირს აქ იგულისხმება სახელმწიფოს მიერ ზოგიერთი სტანდარტის ეროვნული კანონის დონეზე აყვანა, ან ქვეყანაში შესაბამისი ლაბორატორიის შექმნა, რაც საშუალებას მისცემს ფერმერებს, ნაკლები დანახარჯებით მოიპოვონ ექსპორტირებისათვის აუცილებელი დოკუმენტაცია.

სახგასმით უნდა ავლნიშნოთ, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის გარეშე, აღნიშნული ტიპის ორგანიზაციებს ეფექტიანი განვითარების ნაკლები შესაძლებლობა აქვთ. აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- უნდა შეიქმნას ასოციაციების წესდების ნიმუში და დაიწყოს პროექტების დაფინანსება საკონსულტაციო და ტრენინგ ცენტრების შესაქმნელად ისეთ სფეროებში, როგორცაა: ევროკავშირის ბაზრის მოთხოვნები; სტანდარტების დანერგვის და მათი მიღების წესი; საექსპორტო პოტენციალის გამოვლენა და სხვა.
- ასოციაციებზე გრანტები უნდა გაიცეს აგრეთვე მეწარმეთა რეესტრების შესაქმნელად და საბირჟო სისტემების ჩამოსაყალიბებლად. დღესდღეობით ეს ფუნქცია დავალებული აქვს კოოპერატივების განვითარების სააგენტოს. ჩვენი აზრით კი ეს კომერციული პროექტი უნდა გახდეს და ფუნქცია გადაეცეს კომერციულ ორგანიზაციებს ან გაერთიანებებს. სწორად წარმართვის შემთხვევაში, დროთა განმავლობაში სასაქონლო ბირჟის ჩამოყალიბებისათვის შესაბამისი საფუძველი შეიქმნება.
- გაერთიანებებს უნდა მიეცეთ კომერციული საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა.
- აუცილებელია შესაბამისი დროებითი (მაგ. პირველი 3 ან 5 წელი) საგადასახადო შეღავათების დაწესება ასოციაციებისათვის.

- კიდევ ერთი- ასოციაციების, ისევე როგორც კოოპერატივების შემთხვევაში არ უნდა იყოს დაწესებული მოგების გადასახადის ზღვარი წლიური ბრუნვის მიხედვით, რომელიც მაგალითად შპს-ს შემთხვევაში, 200 000 ლარს შეადგენს;
- რეგიონული კლასტერების და ფერმერთა ასოციაციების მიერ ინიცირებული პროექტები უნდა სარგებლობდნენ გარკვეული უპირატესობით რეგიონული განვითარების გეგმის შედგენისას და ბიუჯეტის ფორმირებისას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აუცილებელია რეგიონის განვითარების ერთიანი პოლიტიკის გატარება, რამდენადაც სწორად ფორმირებულმა რეგიონულმა პოლიტიკამ უნდა მოახდინოს აგრარული სექტორის ისეთი რესურსებით მომარაგება, როგორცაა: ახალგაზრდა და ნოვატორი სამუშაო ძალა; საწარმოო ინფრასტრუქტურა; ენერგო-რესურსები და სხვა.

დღეისათვის აგრარულ პოლიტიკას ახორციელებს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რეგიონული პოლიტიკის გამტარებელია რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, გარდა ამისა, საწარმოო რესურსების ნაწილი გადანაწილებულია გარემოს დაცვის სამინისტროსა და ეკონომიკის სამინისტროს მფლობელობაში, რომლებიც დაქვემდებარებული სსიპ-ების საშუალებით ახორციელებენ განვითარების სტრატეგიებს. ამ უწყებებს შორის კოორდინაცია ძალიან დაბალია. თითქმის არ არსებობს აგრეთვე რაიმე ტიპის ფორმალიზებული ურთიერთ-კავშირი ბიზნესის წარმომადგენლებთან, რაც კიდევ უფრო ნაკლებ-ეფექტიანს ხდის მთავრობის მუშაობას. ამ პრობლემის გადასაჭრელად ქართველ ბიზნესმენებთან კონსულტაციისა და ევროპული გამოცდილების შესწავლის საფუძველზე ჩამოვაყალიბეთ რეგიონული პოლიტიკის მართვის სქემატური მოდელი. სადაც ვეცადეთ მაქსიმალურად მოგვეხდინა დაინტერესებული მხარეების ინტეგრირებული მუშაობისათვის საჭირო სისტემის შექმნა. (იხ. დიაგრამა 3.5)

დღეისათვის ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებში ცალ-ცალკე ფუნქციონირებს "ექსპორტის სააგენტო" და "ღვინის ეროვნული სააგენტო". რეალურად ამ ორი ორგანიზაციის ფუნქცია-მოვალეობები ურთიერთგადამფარველია და საბოლოოდ არცერთი მათგანი არ მუშაობს ექსპორტისათვის არსებული შიდა ბარიერების გადალახვაზე, საკანონმდებლო და სტანდარტიზაციის სამუშაოების შესრულებაზე.

ჩვენს მიერ შემოთავაზებულ მოდელში ეს სსიპ ფორმალურად გამოსულია რომელიმე კონკრეტული სამინისტროს დაქვემდებარებიდან, ექვემდებარება საქართველოს მთავრობის მეთაურს და მისი ფუნქციაა ექსპორტის საკითხების კვლევა როგორც მაკროეკონომიკულ და იურიდიულ, ისე მარკეტინგულ დონეზე.

სააგენტოს ეგიდით გარკვეული პერიოდულობით (წელიწადში რამდენჯერმე) და რიგგარეშედ - სპეციალური საჭიროებისას ან ბიზნეს-ასოციაციის მოთხოვნით, უნდა მოეწიოს კონფერენციები, შეხვედრები და დისკუსიები, რათა მოხდეს კონკრეტული პრობლემების, შესაძლებლობების და საფრთხეების გამოვლენა, გაანალიზება. ამავე სააგენტოს ფუნქცია იქნება ბიზნეს-ასოციაციებთან და სამთავრობო უწყებებთან, ასევე პარლამენტის შესაბამის კომიტეტებთან მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა ახალი საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავება-წარდგენისათვის

ამ ორგანიზაციაში აგრარული სფეროს წარმომადგენლები უნდა იყვნენ ფერმერთა გაერთიანებები და ასოციაციები, რაც კიდევ ერთი დამატებითი სტიმული იქნება მსგავსი გაერთიანებების ჩამოყალიბება, გამსხვილება და გაძლიერებისათვის.

სააგენტოს დაფინანსების წყარო იქნება სახელმწიფო ბიუჯეტი და დონორი ორგანიზაციებისაგან მიღებული გრანტები.

ექსპორტის ეროვნული სამსახურის დაქვემდებარებაში ცალკე დეპარტამენტად გამოყოფით პროექტების შესრულების დეპარტამენტი, რამდენადაც პროექტების განხორციელება ყველაზე ხშირად ხდება კორუფციის წყარო. მით უფრო, ისეთ შემთხვევებში, როდესაც პროექტს "მრავალი მაკონტროლებელი" ჰყავს. ყველა პროექტი, რომელიც განხორციელდება ექსპორტის სტიმულირების კუთხით და სამინისტროების ინიციატივით, მოხვედება ერთი სტრუქტურის ხელში და შესაბამისად პასუხისმგებლობის გადანაწილებაც არ მოხდება, რაც გაამკაცრებს და გამჭვირვალეს გახდის პროექტის მიმდინარეობის კონტროლს. ამავე სააგენტოს დაქვემდებარება ისეთი "შემსრულებელი" სსიპ-ები, როგორიცაა "შექანიზატორი"; "პროექტების მართვის სააგენტო" და სხვა.

გარდა ამისა, აგრარული პოლიტიკის გამტარებლებად შეიძლება ჩაითვალოს რეგიონული კლასტერები, რომელთა მოდელიც ზემოთ შემოგთავაზეთ, რამდენადაც ისინიც იქნებიან დარგში ინვესტიციების, კვლევების და საერთაშორისო გამოცდილების იმპორტიორები. სწორედ მათ მიერ მიღწეული შედეგების და

გამოვლენილი პრობლემების მთავრობამდე მიტანა უნდა დაევალოს ექსპორტის სტიმულირების ასოციაციას. სააგენტოს საქმიანობა მიმართული უნდა იყოს რეგიონული კლასტერების მაქსიმალურად გაძლიერებისაკენ. შედეგად ისეთი კაპიტალ-ტევადი ფუნქციები, როგორცაა: საექსპორტო ბაზრების კვლევა, ინოვაციების მოძიება, ახალი საექსპორტო პროდუქტების გამოვლენა და სხვა, ეტაპობრივად უნდა გადავიდეს ამ რეგიონული გაერთიანებების ფუნქციებში. ეს შეამცირებს სახელმწიფოს ხარჯებს და გამოანთავისუფლებს დამატებით სახსრებს დეპრესიული და არაკომერციული რეგიონების განვითარებისათვის, რომელთა შენარჩუნებაც სასიცოცხლოდ აუცილებელია ქვეყნისათვის. (მაგ: სასაზღვრო ზოლის სოფლები, მაღალმთიანი რეგიონები და სხვა).

ნებისმიერი ეკონომიკისათვის აგრო-წარმოების განვითარება უდავოდ ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ექსპორტის სტიმულირებისათვის და უარყოფითი საერთაშორისო სავაჭრო ბალანსის დაძლევისათვის, ვფიქრობთ აუცილებელია, რომ მოხდეს არა მხოლოდ ნედლეულის, არამედ უკვე გადამამუშავებული პროდუქციის ექსპორტირება. ნედლეულის არსებობა თავის თავად ქმნის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებისათვის საჭირო ნიადაგს, მაგრამ საწყის ეტაპზე აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა ისეთ საკითხებში, როგორცაა ნედლეულის ფასი: მწარმოებელს სურს იაფი ნედლეულის მოპოვება, ფერმერს კი ისეთი შემოსავლის მიღება, რომ ღირსეულად ცხოვრება შეძლოს... სწორედ ამ შემთხვევაშია აუცილებელი სახელმწიფო სუბსიდირება. გონივრულ მინიმუმამდე თანხის შევსება. ეს ერთი მხრივ გამოიწვევს წარმოების მოცულობის გაზრდას და მეორე მხრივ ფერმერების სტიმულირებას წარმოების გაფართოებისა და თვითღირებულების შემცირებისაკენ.

ბიო-წარმოების განვითარების ხელშეწყობა უნდა განხორციელდეს გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარებისათვის განხორციელებული აქტივობებისათვის ფერმერის ფულადი კომპენსაციით, პესტიციდებისა და ქიმიური სასუქების გამოუყენებლობისათვის პრემიების დაწესებითა და რაც მთავარია, მოწვეულ ნედლეულზე მაღალი სუბსიდირებული ფასის დაწესებით. სუბსიდირებული ფასი უნდა დაწესდეს იმ პროდუქტებზე, რომლებსაც გააჩნიათ საექსპორტო პოტენციალი. გადაწყვეტილება ფასის დაწესების შესახებ მიღებულ უნდა იქნეს სპეციალური

კვლევების და ასოციაციების მოთხოვნის საფუძველზე. გარდა ამისა, ფასის ანაზღაურება უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ გადამამუშავებელ საწარმოში ნედლეულის ჩაბარებისას. ბაზარზე გასაყიდი ფასის ფორმირება უნდა მოხდეს საბაზრო კანონების შესაბამისად.

აგრარული და რეგიონული ინფრასტრუქტურის რეაბილიტირებისას აუცილებელია პროგრამების სწორად დასახვა. აუცილებელია იმ რეგიონებისა თუ სოფლების წახალისება, სადაც დარეგისტრირებულია კოოპერატივები და სადაც სჭირდებათ ხელშეწყობა ასოციაციებსა თუ კარტელებს. პროგრამების გამოვლენა ბევრად გამარტივდება ჩვენს მიერ ზემოთ შემოთავაზებული მართვის მოდელის განხორციელების შემთხვევაში.

ჩვენი აზრით, დარგის განვითარების სტიმულირებისათვის, ეფექტიანი იქნება კონკურენციის ზრდის ხელშეწყობი ისეთი აქტივობები, როგორცაა სახელმწიფო შესყიდვების სისტემის დახვეწა და შეძლებისდაგვარად ეროვნული პროდუქციის შესყიდვის სტიმულირება; კონკურენციის რეგულირების ეფექტიანი პოლიტიკის ჩამოყალიბება, რომელიც ხელს შეუწყობს აგრარული საწარმოების გამსხვილებას, მაგრამ არ დაუშვებს დარგში მონოპოლიების განვითარებას და მოახდენს მომხმარებელთა ინტერესების მაქსიმალურ ლობირებას.

დარგობრივი სისტემის რეორგანიზაციისა და აგრარულ სექტორში მწარმოებლურობის ამაღლებისათვის აუცილებელია ჩატარდეს დარგობრივი სტრუქტურის ანალიზი და მისი შესაბამისობის განსაზღვრა თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებთან.

ქართველი ექსპორტიორების, ევროკავშირის ექსპერტების და ფაოს მონაცემების ანალიზის საფუძველზე გავაკეთეთ ძირითადი საექსპორტო პოტენციალის მქონე პროდუქტების SWOT ანალიზი.

ჩვენი თვალთახედვით დღეისათვის ქართულ აგრარულ სექტორში საბაზრო დარგები, რომლებიც ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით და მცირე ხელშეწყობით თვითონ შექმნიან საინვესტიციო რესურსებს, არის:

(1) თხილის წარმოება. ქართული თხილის ბაზარი ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული სეგმენტია ქართულ აგრარულ სექტორში. თხილის ექსპორტის წილი მთლიან ქართულ ექსპორტში 6 პროცენტია და მისი მოცულობა ყოველწლიურად

იზრდება. დღეისათვის ერთადერთი ხელშეწყობა, რომელსაც დარგი საჭიროებს, ესაა საკანონმდებლო და სასერტიფიკაციო ბაზის შექმნა, გადამუშავებული თხილის პროდუქტების ექსპორტის სტიმულირებისათვის. შესასწავლია აგრეთვე მსგავსი პროდუქტების-ნუშისა და კაკლის კონკურენტუნარიანობის და წარმოების რენტაბელობის საკითხი.

